ოქროს ვარდი - საჩუქრად კათოლიკოს-პატრიარქს A2

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ქრონიკა "ვარდების რევოლუციის" წელი A8

კვირის TV პროგრამა B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ორშაბათი, 5 იანვარი, 2004 წელი. №2 (551) ფასი 50 თეთრი

"ვარდების რევოლუციის" ფინანსური აკორდი

წინასწარი მონაცემებით, მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტია.

გიორგი ასანიშვილი

უმაგალითო არჩევნები

"გაბრაზებულმა ხალხმა" თავისი მრისხანება "ვარდების რევოლუციის" დროს, ეტყობა, ბოლომდე დახარჯა და 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებზე პოლიტიკური ნება უკვე მშვიდად, უემოციოდ, გააზრებულად გამოხატა. ამით რევოლუცია ლოგიკურ დასასრულამდე მივიდა, - გუშინ ქვეყნის მოსახლეობამ საქართველოს პრეზიდენტად "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი მიხეილ სააკაშვილი აირჩია.

არჩევნების შედეგების "კანონიზებისთვის" ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს დამკვირვებლების, ექსპერტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების დასკვნებსა და შეფასებებს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ თითქმის ყველა კითხვის ნიშანი მოხსნილია. თითქმის ყველა ერთხმად აღიარებს, რომ არჩევნების მიმდინარეობისას, მართალია, დარღვევები იყო, მაგრამ, - არა არსებითი ხასიათის.

"რაიმე სერიოზულ ინციდენტსა და ექსცესს ადგილი არ ჰქონია. ხელისუფლების მხრიდან საარჩევნო პროცესში ჩარევის არც ერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა, რაც უპრეცედენტო ამბავია საქართველოს უახლეს ისტორიაში. დარღვევების უმეტესობა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, საარჩევნო ადმინისტრაციების მხრიდან დაუდევრობისა და არაორგანიზებულობის შედეგია," - აცხადებს ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენელი თამარ ჟვანია.

დაახლოებით იგივე მოსაზრება გააჩნიათ "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წევრებსაც. ქეთი ხუციშვილის თქმით, 4 იანვრის არჩევნები მაქსიმალურად კანონის დაცვით ჩატარდა. ტექნიკური ხასიათის ხარვეზების ჩამოთვლასთან ერთად, იგი ხაზს უსვამს, რომ საარჩევნო ადმინისტრაციები და დამკვირვებლები კარგად თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან, რისი წყალობითაც შესაძლებელი გახდა, ზოგიერთი დარღვევა თავიდან ყოფილიყო აცილებული.

გუშინდელი არჩევნებით ცესკოს თავმჯდომარეც კმაყოფილია. **"არჩევნები სამართლიანად და თავისუფლად ჩატარდა. მასობრივ, ორგანიზებულ გაყალბებას ადგილი არ ჰქონია,"** - აღნიშნა გუშინ გვიან ღამით "არჩევნების მედია ცენტრში" გამართულ პრეს-კონფერენციაზე ზურაბ ჭიაბერაშვილმა.

პოლიტოლოგი გია ნოდია კი საპრეზიდენტო არჩევნების ყველაზე დიდ "ნაკლად" იმას მიიჩნევს, რომ პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის კონკურენცია, ფაქტობრივად, არ არსებობდა. რაც შეეხება არჩევნების ხარისხს, ნოდია აცხადებს, რომ არსებობდა სკეპტიციზმი, თითქოს შედარებით მოკლე დროში მაღალ დონეზე მისი ორგანიზება ვერ მოხერხდებოდა, მაგრამ ეს პროგნოზი არ გამართლდა.

ამინდი

თბილისი	11
ქუთაისი	14
ბათუმი	15
სოხუმი	11
ფოთი	14
თელავი	11
ზუგდიდი	13
გორი	9
ახმეტა	10
ჭიათურა	11

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1100
ევრო	2.6615
გირვანქა სტერლ.	3.7602
რუბლი	0.0716

პირველი გამოცდა ჩაბარებულია

წინ კიდევ არაერთი გამოცდაა

ეკა კვესიტაძე

"მე კარგად ვხვდები, რა მძიმე ტვირთი დამაწვა, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ, რომ ადამიანებს იმედები არ გავუცრუო. ჩვენ ვერ მოვაგვარებთ ყველა პრობლემას ერთ დღეში, მაგრამ შევძლებთ, რომ მოსახლეობას პროგრესი დავანახოთ და პოზიტიური დინამიკა შევინარჩუნოთ," – განაცხადა გუშინ მიხეილ სააკაშვილმა და უპრეცედენტო უწოდა მოსახლეობის იმ აქტიურობას, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებზე დაფიქსირდა.

ის, რომ ეგზიტპოლების მიხედვით სააკაშვილმა საპრეზიდენტო არჩევნებში 85 პროცენტით გაიმარჯვა, თავად ახალმა პრეზიდენტმა იმით ახსნა, რომ სერიოზულმა კანდიდატებმა არჩევნებში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს.

ეს საპრეზიდენტო არჩევნები ახალი ხელისუფლებისთვის პირველი გამოცდა იყო და მთელი მსოფლიო ელოდა, რომ ის დემოკრატიულად, წინა არჩევნებზე გაცილებით მაღალი სტანდარტებით ჩატარდებოდა. თუმცა, არჩევნებში სააკაშვილის უალტერნატივობის გამო, გუშინ ყველა უცხოელი აცხადებდა, რომ ეს არცთუ ისე სერიოზული ტესტი იყო იმის გამოსავლენად, რამდენად დემოკრატიული იქნება მომავალი არჩევნები საქართველოში.

"ყველაზე სერიოზული ტესტი მომავალი საპარლამენტო არჩევნებია, როცა არჩევნების დროს კონკურენცია გაცილებით მაღალი იქნება. ქვეყანას სჭირდება არა მარტო კარგი პრეზიდენტი და აღმასრულებელი ხელისუფლება, არამედ კარგი პარლამენტიც," – განაცხადა ევროსაბჭოს დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელმა მათიას იორშმა.

საარჩევნო პროცესის სერიოზულ გაუმჯობესებაზე მხოლოდ კარგად ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ რომ შეიძლება დაიწყოს საუბარი, ამას ყველა უცხოელი დამკვირვებელი და ექსპერტი აღნიშნავს. თუმცა, ყველა მათგანი ადასტურებს, რომ ეს არჩევნები გაცილებით დემოკრატიულად და ნაკლები დარღვევებით ჩატარდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

დარღვევებზე მეტი - შეცდომები

ლელა მჭედლიძე

"ამ არჩევნების დროს, დარღვევებზე მეტი, შეცდომები იყო. სერიოზული დარღვევები დაფიქსირებული არ ყოფილა," - ასეთი მოსაზრება გამოთქვა გუშინ "გლობალ სტრატეჯი გრუპის" ექსპერტმა სკოტ ელდერმა. ამავე დროს, უცხოელი ექსპერტი გუშინ, დღის სამი საათისთვის, მოსახლეობის მაღალ აქტივობასაც აღნიშნავდა. ელდერის მოსაზრება, მისი პირადი დაკვირვების და გამოკითხვების გარდა, სხვა უცხოელი თუ ადგილობრივი დამკვირვებლების მონაცემებსაც ეყრდნობოდა, რომელიც ეგზიტპოლებითაც დასტურდებოდა. თუმცა, "მედია-ცენტრში" შეკრებილებმა ეგზიტპოლის შესახებ კონკრეტული საუბარი საღამოსთვის გადადეს. დარღვევების თაობაზე "მედია-ცენტრში" მიწვეულთაგან უფრო კონკრეტულად "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცისა" და "სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენლები საუბრობდნენ. ყველაზე საინტერესო კი, ალბათ, არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლის რაოდენობის წინასწარი დათვლის ის ხერხი იყო, რომელსაც ნაძალადევში №29 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა "მიაგნეს". "ინტერესიანი" კომისიის წევრები ამომრჩევლისათვის მიცემული ბიულეტენის ჩამოხეულ ყუას თავისთვის იტოვებდნენ...

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენლის განცხადებით, ყველაზე ნაკლები დარღვევა სამგორის რაიონში დაფიქსირდა. შედარებით სერიოზული დარღვევები იყო მცხეთის რაიონში, სადაც ოჯახის წევრები ერთმანეთის მაგივრად აძლევდნენ ხმას. თბილისში, ისევე, როგორც ზოგ სხვა ქალაქსა და რაიონში (მაგალითად, დუშეთში), სიებში ამომრჩეველთა პირადობის მოწმობის ნომრები წინასწარ იყო ჩაწერილი

გაგრძელება A3 გვერდზე

არჩევნები ამომრჩეველთა აქტიურობამ გადაარჩინა

თამარ მჭედლიშვილი

საარჩევნო უბნებზე მისული მილიონ 700 ათასი ამომრჩეველი, მინიმალური რაოდენობის დარღვევები, მხოლოდ რამდენიმე საჩივარი და სრული სიმშვიდე ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში – უკვე ათ წელზე მეტია, რაც არჩევნების ასეთი ფონი საქართველოში არ ყოფილა. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დილიდანვე საკმაოდ მშვიდი ატმოსფერო სუფევდა და იგი მთელი დღის მანძილზე არ შეცვლილა. "დღეს საქართველომ დემოკრატიის გამოცდა ჩააბარა," – ეს განცხადება ცესკო-ს თავმჯდომარემ უკვე მას მერე გააკეთა, რაც საარჩევნო უბნები დაიხურა და ცნობილი გახდა, რომ საქართველოში არჩევნები შედგა.

ბუნებრივია, გუშინ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში თავმოყრილ დამკვირვებლებსა და ჟურნალისტებს ყველაზე მეტად იმ ამომრჩეველთა რაოდენობა აინტერესებდათ, რომელიც კენჭისყრაში იღებდა მონაწილეობას. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მიხეილ სააკაშვილის გამარჯვებას საფრთხე არ ემუქრებოდა. საშიშროება მხოლოდ ამომრჩეველთა შესაძლო პასიურობაში "იმალებოდა".

გაგრძელება A3 გვერდზე

არჩევნები "გრევისა" და "ქურდული" ზეწოლის გარეშე

"დიდი იმედი გაგვიჩნდა და ხმასაც იმას ვაძლევთ, ვინც ეს იმედი დაგვიბრუნა," – ორთაჭალის საპყრობილის პატიმართა დიდმა უმრავლესობამ საპრეზიდენტო არჩევნები გუშინ ასეთი იმედიანი განწყობილებით ჩაატარა.

ინგა ალავიძე

"მას შემდეგ, რაც ზვიად გამსახურდიას მივეცი ხმა, არჩევნებში აღარ მიმიღია მონაწილეობა, ახლა გადავწყვიტე ხმა მივცე საკაშვილს. ვფიქრობ, რომ სიტუაცია შეიცვლება, ალბათ, ამნისტიასაც გამოსცემს. იცით, თანაც სურვილი გამიჩნდა, რომ ამ პროცესების მონაწილე ვიყო. თუ არაფერი შეიცვლება, მე, მისი ამომრჩეველი, პასუხს მოვთხოვ პრეზიდენტს იმისთვის, რომ არ გაამართლა ჩემი იმედი..."

გაგრძელება A7 გვერდზე

A2 არჩევნები A3 არჩევნები A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ქრონიკა

B1 ომბუდსმენი B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 TV-პროგრამა B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

"დაპირებებს თუ არ შეგვისრულებს!.."

მაია მოსიაშვილი
რუსთავიდან

მშვიდი სახეები და არც ერთი ინციდენტი 54 საარჩევნო უბანზე, არც ერთი საჩივარი და ოქმი, ამომრჩეველთა მაღალი აქტივობა და სრული კეთილგანწყობა, - მოკლედ ასე შეიძლება დახასიათდეს 4 იანვრის კენჭისყრა რუსთავში. "ვარდების რევოლუციის" მონაპოვარ არჩევნებზე ხალხი სადღესასწაულო განწყობით, ხალისით მიდიოდა და შუადღისას უბნებზე რიგებიც გაჩნდა.

თენგიზ გურასიძე, 50 წლის: **"არჩევნებზე მივედით იმიტომ, რომ გვინდა კარგად ვიცხოვროთ. რასაც გვპირდება, თუ შეასრულებს, კარგი კაცი იქნება. თუ არა და, როგორც დავაყენეთ, ისე გადმოვაყენებთ..."**

ნორა ბაქრაძე, პენსიონერი: **"არჩევნების შემდეგ დაპირებების შესრულებას ველოდებით, პენსიებს გვპირდებიან, დახმარებას... უკეთესობა იყოს და ჩემი მოსვლით თუ რამე გაკეთდება... ხომ ხედავთ, ძლივს ვდგავარ ფეხზე, მაგრამ მაინც წამოვედი, შვილო."**

ეთერ კაპანაძე, 45 წლის: **"ჩვენ ვალდებულნი ვართ, რომ ხმა მივცეთ, რადგან წესიერი პრეზიდენტი გვინდა გვყავდეს. თუ დაპირებებს შეასრულებს, ძალიან კარგი, თუ არა და გადავაყენებთ ისევ..."**

დიმიტრი სიხარულიძე, 23 წლის: **"არჩევნებზე სერიოზული ცვლილებებისთვის ხმის მისაცემად მოვედი. ახლა ძალზე რთული, ახალი ეპოქა იწყება. ძველი სახელისუფლებო სისტემის რეალურად შეცვლის მხარდასაჭერად მოვედი არჩევნებზე."**

მანანა ცინცაძე, 41 წლის: **"იმედი გაჩნდა სიახლის, უკეთესი ხვალინდელი დღის. მთელი ჩვენი ეზო იყო მოსული, ძალიან გახარებულნი ვართ ყველანი და მხოლოდ კარგის მოლოდინი გვაქვს."**

ზურა ჯღარკავა, 42 წლის: **"ხვალინდელი დღის იმედი გაგვიჩნდა, ესაა ყველაზე მთავარი. ჩვენ ვალდებულნი ვართ, ხმა მივცეთ ცვლილებებს."**

დღის სამი საათისთვის წინასწარ რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 80 პროცენტს ხმა უკვე მიცემული ჰქონდა. თითოეულ უბანზე საშუალოდ 200-მა ადამიანმა კი დამატებითი სიით მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა. ერთადერთი პრობლემა საარჩევნო უბნებზე საღამოს 6 საათისათვის გაჩნდა - ზოგიერთ მათგანზე ბიულეტენები დააკლდათ. როგორც მე-20 საოლქო საარჩევნო კომისიაში განმარტეს, პრობლემა უმოკლეს დროში გადაიჭრა და ხმა ყველა მსურველმა მისცა.

მთელი დღის მანძილზე რუსთავის უბნებზე საარჩევნო პროცესს აკვირდებოდნენ ეუთო-ს მოკლევადიანი დამკვირვებლები, ასევე "სამართლიანი არჩევნების", "თავისუფლების ინსტიტუტის" და "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" დამკვირვებლები. გუშინ არასამთავრობოებს, საარჩევნო კანონდარღვევების დიდი დეფიციტის გამო, რუსთავის საოლქო კომისიაში არც ერთი საჩივარი არ შეუტანიათ.

წინასწარი მონაცემებით, რუსთავში 4 იანვრის კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 44 703-მა ამომრჩეველმა, აქედან 12 618-მა - დამატებითი სიით, რაც იმას ნიშნავს, რომ არჩევანი წინასწარ რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 85 პროცენტმა გააკეთა.

რაც შეეხება პრეზიდენტობის კანდიდატებს, რუსთაველები ამ მხრივ გამონაკლისნი არ ყოფილან და მათი ფავორიტიც მიხეილ სააკაშვილი იყო. იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც ხმა სხვა კანდიდატებს მისცეს. ერთ-ერთ მათგანზე რუსთავის საოლქო კომისიაში ცოცხალ ანეგდოტს ჰყვებოდნენ:

მე-17 უბანზე კაცმა ბიულეტენი აიღო და ხმის მისაცემ კაბინაში შევიდა. იქიდან გამოსულს კონვერტი მისცეს. კაცმა ის ჯიბეში ჩაიდო და გასასვლელისკენ წავიდა.

- სად მიდიხარ, ხმა უნდა მისცეო, - გააჩერეს.

- უკვე შემოვხაზეო, - თავი კაბინისკენ გაიქნია კაცმა.

ნახეს და... კედელზე გაკრულ სადემონსტრაციო სიაზე "როინ ლიპარტელიანი" იყო შემოხაზული. კაცი გვარად ჟორჟოლიანი აღმოჩნდა...

... "ჩვენ ვალდებულნი ვართ, ხმა მივცეთ ცვლილებებს", "ხვალინდელი დღის იმედით", "დაპირებებს თუ შეგვისრულებენ" - ეს ფრაზები იმას მოწმობს, რომ 2004 წლის 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებს ხალხი მომზადებული შეხვდა; რომ ჩვენთან სამოქალაქო საზოგადოება და სამოქალაქო აზროვნება უკვე არსებობს და რომ ეს ხალხი, თავის დროზე, აუცილებლად მოითხოვს იმას, რასაც ჰპირდებოდნენ.

მოკლედ

შევარდნაძე პრეზიდენტს ირჩევს

ექსპრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ კვირას, რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებზე თბილისის კრწანისის მე-9 საარჩევნო უბანში მისცა ხმა. ჟურნალისტების შეკითხვაზე, მისცა თუ არა ხმა პრეზიდენტობის რეალურ კანდიდატს, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ლიდერს მიხეილ სააკაშვილს, შევარდნაძემ განაცხადა, რომ შეკითხვა "ახლოს არის სინამდვილესთან". ექსპრეზიდენტმა მომავალ პრეზიდენტს ურჩია, "ნაკლები ილაპარაკოს და ბევრი აკეთოს". **პრაიმ-ნიუსი**

ხაშურის რაიონის სოფელ ფლევში არჩევნები ჩაიშალა

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჭიაბერაშვილმა გუშინ სამართალდამცავებს მიმართა, გამოიძინოს ხაშურის რაიონის სოფელ ფლევის 30-ე საარჩევნო უბანზე რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებისა და პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის განმეორებითი კენჭისყრის ჩაშლის მიზეზები.

როგორც ჭიაბერაშვილმა კვირას გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, სოფელ ფლევში არჩევნების ჩაშლა დაკავშირებულია არა საპრეზიდენტო არჩევნებთან, არამედ მაჟორიტარი დეპუტატის განმეორებით კენჭისყრასთან, სადაც ერთმანეთს უპირისპირდებიან ბლოკი "ახალი საქართველოსთვის" კანდიდატი სიმონ ნოზაძე და ბლოკი "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" კანდიდატი ვალერი გელაშვილი.

ჭიაბერაშვილის თქმით, ფლევში დეპუტატობის ერთ-ერთი კანდიდატის მხარდამჭერები ადგილობრივ საარჩევნო კომისიას უნდობლობას უცხადებენ.

სოფელ ფლევის საარჩევნო უბნის მისასვლელი ერთ-ერთი დეპუტატობის კანდიდატის მომხრეებმა ამწეთი ჩახერგეს, რის გამოც არჩევნები ჩაიშალა. **პრაიმ-ნიუსი**

ოზურგეთში კომისიის წევრი გულის ინფარქტით გარდაიცვალა

ოზურგეთის რაიონის სოფელ ლიხაურის 32-ე საარჩევნო უბანში საარჩევნო კომისიის წევრი "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" წარმომადგენელი 75 წლის ნოდარ მეგრელიშვილი გულის ინფარქტით გარდაიცვალა.

როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილების უფროსი გივი ორდენიძე იუწყება, მეგრელიშვილის გარდაცვალება არ არის დაკავშირებული რაიმე ინციდენტთან ამ უბანზე. **პრაიმ-ნიუსი**

"აჭარის სამთავრობო სტრუქტურები არჩევნების ბოიკოტირებას ფარულად ახდენენ"

"სახალხო მოძრაობა - ჩვენი აჭარას" ერთ-ერთი ლიდერი თამაზ დიასამიძე მიიჩნევს, რომ აჭარის ავტონომიის სამთავრობო სტრუქტურები კვირას მიმდინარე რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების ბოიკოტირებას ფარული მეთოდებით ახდენდნენ.

თამაზ დიასამიძემ ამომრჩეველზე ზემოქმედება უწოდა აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრის ჯემალ გოგიტიძის განცხადებას იმის თაობაზე, რომ ის ბოიკოტს უცხადებს საპრეზიდენტო არჩევნებს. დიასამიძის ინფორმაციით, აჭარაში შუადღისთვის არ იყო მიღწეული ამომრჩეველთა აქტიურობის ის ხარისხი, რომელიც არჩევნების ლეგიტიმაციას სჭირდებოდა: "აქტიურობა რაიონებში უფრო მაღალია, ვიდრე ქალაქში". დიასამიძის თქმით, სახალხო მოძრაობას აჭარაში გახსნილ 265 უბანზე 800-მდე დამკვირვებელი ჰყავდა გადანაწილებული. **პრაიმ-ნიუსი**

ლეიბორისტები - მიხეილ სააკაშვილს პრეზიდენტად ცესკო "დანიშნავს"

"ლეიბორისტული (შრომის) პარტია" კრიტიკულად აფასებს საქართველოში მიმდინარე რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებს. გუშინ გამართულ ბრიფინგზე "ლეიბორისტული პარტიის" საინფორმაციო დეპარტამენტის თავმჯდომარემ გელა დანელიამ განაცხადა, რომ ცესკო-ო, რომლის შემადგენლობის უმრავლესობა არსებული ხელისუფლების მხარდამჭერია, პრეზიდენტად დანიშნავს "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ლიდერს მიხეილ სააკაშვილს. დანელიას აზრით, ექსპრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ კვირას მიხეილ სააკაშვილის ღია მხარდაჭერით წერტილი დაუსვა მითს ნოემბრის "ვარდების რევოლუციის" შესახებ. **პრაიმ-ნიუსი**

ორი სიტყვით

თბილისი. სპეციალურად საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო ნაწილების მოსამსახურეებისთვის 4 იანვრის არჩევნებისთვის მხოლოდ ორი საარჩევნო უბანი გაიხსნა, ერთი - ვაზიანის სამხედრო ბაზის, მეორე კი - სამხედრო აკადემიის ტერიტორიაზე. აკადემიის კურსანტებისა და ვაზიანზე დისლოცირებული ნაწილების წარმომადგენელთა გარდა, სხვა სამხედრო მოსამსახურეებმა ხმა უახლოეს საარჩევნო უბნებზე მისცეს. **მედია-ნიუსი**

ოქროს ვარდი - საჩუქრად კათოლიკოს-პატრიარქს

სოფო ბუკია

მიხეილ სააკაშვილისთვის, სხვა სიმბოლოებთან ერთად, ისიც ნიშანდობლივი აღმოჩნდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნები კათოლიკოს-პატრიარქის დაბადების დღეს დაემთხვა.

პრეზიდენტობის კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი, სიცხიანი და გრიპიანი, საკუთარ საარჩევნო უბანში ხმის მისაცემად დღის სამის ნახევრისთვის გამოცხადდა. სხვათა შორის, მას ყოფილმა პრეზიდენტმა დაასწრო, ედუარდ შევარდნაძემ არ დაიზარა და საკუთარი მოქალაქეობრივი პოზიცია დილის ცხრის ნახევარზე დააფიქსირა.

მეცნიერებათა აკადემიის შენობაში გახსნილ საარჩევნო უბანში სააკაშვილს დილიდანვე ელოდნენ ათას ენაზე მოლაპარაკე ჟურნალისტები, ჩვეულებრივი ამომრჩევლები, რუსთაველზე მოსეირნე ცნობისმოყვარე გამვლელები. სააკაშვილის გამოჩენა, როგორც ყოველთვის, მქუხარე ტაშითა და ვარდების თაიგულით აღინიშნა. ხმის მისაცემად მორჩილად ჩამწკრივებულმა ამომრჩევლებმა, ძლივს მოახლოებული რიგი მიატოვეს და პრეზიდენტობის კანდიდატს შემოეხვივნენ - მომავალ გამარჯვებას ულოცავდნენ, კოცნიდნენ და ეხვეოდნენ. თავად დღის გმირი ძალიან ბედნიერი ჩანდა, რასაც ვერ იტყოდით მის გაძლიერებულ დაცვაზე, მათ გულშემატკივართა გუნდისგან სააკაშვილის დახსნა დიდ შრომად დაუჯდათ.

პირველი კომენტარი საარჩევნო უბანში შესვლამდე გაკეთდა. სააკაშვილმა კიდევ ერთხელ მოუწოდა მოსახლეობას საარჩევნო აქტივობისკენ და რუსული ტელეკომპანიების მიმართ დიდი საყვედური გამოთქვა. **"დღეს მთელი დღის განმავლობაში რუსული ტელეკომპანიები აცხადებენ, რომ საქართველოს ამომრჩეველი პასიურობს და არჩევნები საქართველოში არ შედგება. მინდა გითხრათ, რომ ეს ინფორმაცია სრული სიცრუეა. არასდროს საქართველოში ამომრჩეველი ასეთი აქტიური არ ყოფილა. მინდა კიდევ ერთხელ მოვუწოდო ყველას, ვისაც ჯერ არ მიუღია მონაწილეობა არჩევნებში – ნუ შეუშინდებით ნურაფერს, ნურც სიცივეს, ნურც რიგებს, ყველანი მოდით არჩევნებზე, რათა მთელ მსოფლიოში არავინ გაბედოს იმის თქმა, რომ საქართველოს მოსახლეობამ არჩევნებში არ იაქტიურა, არავის არ უნდა მივცეთ უფლება, ეჭვი შეიტანოს საქართველოს პრეზიდენტის ლეგიტიმურობაში,"** – განაცხადა პრეზიდენტობის კანდიდატმა.

მოქალაქეობრივი ვალის მოხდის შემდეგ ოქროს ვარდით ხელდამშვენებული სააკაშვილი საპატრიარქოში მივიდა და უწმინდესსა და უნეტარესს, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია მეორეს დაბადების დღე მიულოცა.

პატრიარქისა და პრეზიდენტობის კანდიდატის შეხვედრა, დაახლოებით, ოც წუთს გაგრძელდა. **"სიმბოლურია და სასიხარულო, რომ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები დაემთხვა ისეთ ღირსშესანიშნავ თარიღს, როგორიც ჩვენი უწმინდესისა და უნეტარესის დაბადების დღეა. ძალიან დიდია ქართული ეკლესიის როლი და ავტორიტეტი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. მიმაჩნია, რომ ჩვენი ეკლესია ქვეყნის განვითარების უმთავრესი გარანტია. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო პატრიარქს იმისთვის, რომ მან არაერთგზის მოუწოდა მოსახლეობას არჩევნებში მიეღო მონაწილეობა. ჩემთვის, პირადად, უდიდესი სასიკეთო ნიშანი იყო ის, რომ 22 ნოემბერს პატრიარქი პარლამენტის სხდომაზე არ გამოცხადდა... მე მას დაბადების დღე მივულოცე და სიმბოლურად ოქროს ვარდი გადავეცი საჩუქრად,"** – განაცხადა სააკაშვილმა შეხვედრის დასრულების შემდეგ.

"კიდევ ერთხელ მინდა ვთხოვო საქართველოს მოსახლეობას, მივიდნენ არჩევნებზე. მჯერა, რომ ხვალინდელი დღე საქართველოსთვის ძალიან ნათელი იქნება," – აღნიშნა პატრიარქმა, რომელიც საკუთარ საარჩევნო უბანზე გუშინ დილითვე გამოცხადდა.

შაშიაშვილმა ამომრჩეველი მაშინ მოისაკლისა, როცა უბნებთან რიგები იდგა

ბექა სისაური
ქუთაისიდან

ქუთაისში არჩევნებმა არნახულად სტაბილურად და მშვიდად ჩაიარა. აღნიშნულის შესახებ კმაყოფილებას გამოხატავდნენ როგორც საერთაშორისო დამკვირვებლები, ასევე ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც. არჩევნებისას დაფიქსირებული დარღვევების უმრავლესობა კი უმნიშვნელო იყო და უფრო ტექნიკურ ხასიათს ატარებდა.

ქუთაისში 96 საარჩევნო უბანია, რომელთაგან ექვს უბანში, საპრეზიდენტოსთან ერთად, მაჟორიტარული არჩევნებიც მიმდინარეობდა (ეს ის ექვსი უბანია, რომელთა საარჩევნო ყუთებიც თავის დროზე გაურკვეველი მიმართულებით გაუჩინარდა). ნინო ბურჯანაძის ძირითადმა კონკურენტმა - დოდო შელიამ აღარ ისურვა ბრძოლის გაგრძელება და კანდიდატურა მოხსნა. რაც შეეხება დანარჩენ ათამდე კანდიდატს, როგორც ქუთაისში ხუმრობენ, მათ არათუ ამომრჩეველი, საკუთარი ოჯახის წევრებიც არ მისცემენ ხმას. ასე რომ, ნინო ბურჯანაძის გამარჯვებას აღნიშნულ უბნებში არაფერი ემუქრება.

რაც შეეხება პრეზიდენტობის კანდიდატს თემურ შაშიაშვილს, მან 12 საათისთვის ხმა საკუთარ საარჩევნო უბანში მისცა და ედუარდ შევარდნაძის მისამართით, რომელსაც ბოლომდე უერთგულა, კრიტიკული განცხადებები გააკეთა: **"მინდა ბატონ ედუარდ შევარდნაძეს მივულოცო. როგორც მეუბნებიან, მან ხმა საკაშვილს მისცა. ყოჩაღ! კარგია... მე კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ ესენი მუდმივად ერთად იყვნენ. ყველაფერი რომ ვაპატიო შევარდნაძეს, ასეთი ხელისუფლების დატოვებას არ ვაპატიებ!"** საღამოს კი, პრეზიდენტობის იგივე კანდიდატი, ამომრჩეველთა დაბალ აქტივობაზე მაშინ ალაპარაკდა, როდესაც საარჩევნო უბნებთან ამომრჩეველთა რიგები იდგა.

"მიმაჩნია, რომ არჩევნები არ შედგა და დღეს მხოლოდ დანიშნული მთავრობა დაამტკიცეს. საარჩევნო უბნებში მოსახლეობის 50 პროცენტიც არ მივიდა და მათგან ყველა ახალ მატარებელში ჩაჯდომას რატომ მოინდომებდა?... ვიღაცას ჰგონია, რომ საარჩევნო ყუთებთან რიგები დგას. არადა ხმის მიცემას 5-10 წუთი სჭირდება. სწორედ ეს ქმნის შთაბეჭდილებას, რომ აქტივობა მაღალია," - აცხადებდა შაშიაშვილი.

მიუხედავად ყოფილი რწუნებულის ფიცი-მტკიცისა, ქუთაისის მოსახლეობა არჩევნებზე უჩვეულოდ მობილიზებული იყო. ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ავთო ოსეფაშვილი ჯერ კიდევ შუადღისით აცხადებდა, რომ ამომრჩეველთა 40 პროცენტი საარჩევნო უბნებზე უკვე მისული გახლდათ. ზოგიერთი მოქალაქე კი ყუთში ბიულეტენის ჩაგდებამდე პირჯვარს იწერდა და საკუთარ ხმას ლოცავდა.

თავის მხრივ აქტიურობდა ახალი რწმუნებულიც. დათო მუმლაძე შაბათს იმერეთის ყველა რაიონის საოლქო საარჩევნო კომისიებს ეწვია და მათი მზადების ხარისხი შეამოწმა, კვირა დილით კი მუმლაძემ იგივე პროცედურა კვლავ გაიმეორა. **"არჩევნების ორგანიზებულად ჩატარების თაობაზე შაბათს და კვირას იმერეთის თორმეტივე საარჩევნო ოლქს ვეწვიე და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ არჩევნები კარგად იყო ორგანიზებული. დღეისათვის კი არც ერთ რაიონში არანაირი დარღვევა და პრობლემა არ ყოფილა,"** - თქვა დათო მუმლაძემ.

"24 საათი" "სამართლიანი არჩევნების" დასავლეთ საქართველოს კოორდინატორს მერაბ მეშველიანსაც დაუკავშირდა. მისი განმარტებით, იმერეთში გარკვეული დარღვევები დაფიქსირდა, თუმცა მათი მაჩვენებელი უმნიშვნელო იყო და არჩევნების შედეგებზე გავლენას ვერ მოახდენდა.

"ქუთაისში მშვიდი მდგომარეობა იყო, თუმცა საარჩევნო ადმინისტრაციების მხრიდან გარკვეულ დარღვევებს ადგილი მაინც ჰქონდა. იყო შემთხვევები, როდესაც ამომრჩევლებს პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გარეშე ეძლეოდათ საშუალება ხმის მიცემისა. ასევე პრობლემა იყო ისიც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, მორწმუნე ადამიანებისთვის ხმის შენარჩუნების მოტივით, მარკირებას არ აკეთებდნენ. ზოგან არ იყო კაბინების საკმარისი რაოდენობა. რაც შეეხება რაიონებს, პრობლემები პირადობის მოწმობებთან დაკავშირებით, ფაქტობრივად, ყველა რაიონში იყო. ხარაგაულში დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც ოჯახის წევრის მაგივრად იყო ხმის მიცემის მცდელობა. საჩხერეში კი ბიულეტენი ისე ჩავარდა ყუთში, რომ მასზე ხელმოწერაც კი არ იყო გაკეთებული... ასეთი ტექნიკური დარღვევები არჩევნების საბოლოო შედეგებზე პრინციპულ გავლენას არ მოახდენს. საარჩევნო ადმინისტრაციებს კი გარკვეული სამუშაოების ჩატარება სჭირდებათ, რათა მომავალი არჩევნები უფრო უკეთესად ჩატარდეს," - განაცხადა მერაბ მეშველიანმა.

"იმედი მაქვს, ბაზარში აღარ დავდგები"

ამბობს 103 წლის ნინა ხომასურიძე

ზვიად რუაძე
კახეთიდან

გურჯაანელები არჩევნებზე ვარდებით მივიდნენ.

კახეთში საპრეზიდენტო არჩევნებმა დიდი ანშლაგით ჩაიარა. რეგიონის მოსახლეობა მიხეილ სააკაშვილის გამარჯვებას წინასწარ ზეიმობდა. განსაკუთრებული ხალისი კი თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალაში შეინიშნებოდა. აზერბაიჯანელებით დასახლებული სოფელი დემოკრატიულ არჩევნებს ცეკვა-სიმღერით აღნიშნავდა.

საგულისხმოა, რომ მედეა მეზვრიშვილი არჩევნებს სწორედ ამ სოფელში იგებდა. ამჟამად კი შევარდნაძისა და მეზვრიშვილის მარწუხებიდან გამოთავისუფლებული ყარაჯალელები ემოციებს ვერ ფარავდნენ. **"ახლა გავიგეთ თავისუფლების გემო. წავიდა მეზვრიშვილისა და შევარდნაძის დრო. გაუმარჯოს მიხეილ სააკაშვილს!"** - იძახდა თემურ აშიროვი. სამოც წელს მიტანებული დურსუნ ყურბანოვი კი სიხარულის ცრემლებს ვერ ფარავდა და ხავერდოვანი რევოლუციის გმირებს მუსულმანურად ლოცავდა. თავად მედეა მეზვრიშვილმა, რომლის სავარძელიც ვარდების რევოლუციას შეეწირა, სააკაშვილისგან გაბრაზებულმა, არჩევანი თემურ შაშიაშვილზე შეაჩერა. მან ხმა საგარეჯოში მისცა. **"მე ძალიან კარგი განწყობით ვარ. გავაკეთე ჩემი არჩევანი და ხმა თემურ შაშიაშვილს მივეცი,"** - გვითხრა მედეა მეზვრიშვილმა.

დიდი მხიარულება იყო გურჯაანის რაიონშიც. სოფელ ბაკურციხის მოსახლეობამ 4 იანვრის აღსანიშნავად სოფლის ცენტრში სუფრა გაშალა და საბოლოოდ ძველი მთავრობა "ბაიათებით" გააცილა. პირველი ამომრჩეველი კი ამ რაიონში 103 წლის ნინა ხომასურიძე იყო, რომელმაც, სააკაშვილის ხათრით, საპრეზიდენტო არჩევნებში პირველად მიიღო მონაწილეობა. **"მე ეგ ბიჭი მომწონს. ეტყობა, რომ პენსიონერებზე ზრუნავს. იმედი მაქვს, რომ ქვეყანას ეშველება, ბაზარში აღარ დავდგები სავაჭროდ და ტკბილი სიბერით მოვკვდები,"** - განგვიცხადა საუკუნეს გადაცილებულმა ქალბატონმა. ბევრი ამომრჩეველი კი საარჩევნო უბნებში ვარდებით ხელში მიდიოდა: **"ეს არჩევნები სიმბოლურია, რადგან სწორედ ვარდებით ხელში მოიპოვა საქართველომ კიდევ ერთხელ თავისუფლება. ჩვენ გვწამს ახალგაზრდების და სწორედ მათ ვუჭერთ მხარს,"** - ამბობენ გურჯაანელები.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, გუშინდელ არჩევნებზე ინციდენტს და დარღვევებს ადგილი მაინც ჰქონდა. გურჯაანის მე-12 საუბნო კომისიის თავმჯდომარემ სამართლიანი არჩევნების დამკვირვებელი უბნიდან გააძევა. ამ ფაქტს რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ნანა დევიძე იმით ხსნის, რომ საუბნო კომისიები არაკომპეტენტური პირებით იყო დაკომპლექტებული. **"ეს ასე იმიტომ მოხდა, რომ ჩვენი დამკვირვებლები საარჩევნო პროცედურებში ძალზე კარგად იყვნენ გაცნობიერებულები. ალბათ კომისიის თავმჯდომარეს ზაზა ყვირალაშვილს ეს არ ანყობდა, იმიტომ, რომ არჩევნებს თავის ჭკუაზე ვერ წარმართავდა. თუმცა, ეს პრობლემა მალევე მოგვარდა და ჩვენმა დამკვირვებელმა განაგრძო დაკისრებული მოვალეობის შესრულება".**

დარღვევებს კი, ძირითადად, ადგილი ჰქონდა დედოფლისწყაროში. როგორც სამართლიანი არჩევნების დამკვირვებელმა "24 საათს" აცნობა, "ნაციონალები" ურნებში ნორმაზე მეტი ბიულეტენის ჩაყრას ცდილობდნენ. ეს ფაქტი კი მიხეილ სააკაშვილის შტაბში არ დაადასტურეს. **"ამ ჭორს აგორებენ ის ადამიანები, ვისაც სააკაშვილის წინასწარ არ უხარია,"** - გვითხრეს შტაბში.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ყველაზე მშვიდად და აქტიურად არჩევნები მსოფლიოში ცხელ წერტილად და ტერორისტების თავშესაფრად გამოცხადებულ პანკისის ხეობაში ჩატარდა. დღის ბოლოს კი ახმეტის საოლქო კომისიაში იმასაც ხუმრობდნენ, რომ შესაძლოა ბიულეტენები დაგვაკლდეს. **"ბიულეტენების ნაკლებობაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ პანკისსა და ახმეტაში ამომრჩეველთა 70-მა პროცენტმა მიიღო მონაწილეობა,"** - გვითხრა რაიონის საოლქო კომისიის თავმჯდომარემ ბესო ელანიძემ.

წინასწარი მონაცემებით კახეთის რეგიონიდან ამომრჩეველთა ყველაზე დიდი აქტივობა იყო თელავსა და გურჯაანის რაიონებში. ამ ყველაფერს კი თვალს, უამრავ უცხოელ დამკვირვებელთან ერთად, "სამართლიანი არჩევნები" და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებიც ადევნებდნენ.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამაბეჭდები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

პირველი გამოცდა ჩაბარებულია

პირველი გვერდიდან

"ამ და წინა არჩევნებს შორის განსხვავება დიდია, – აცხადებს მარკ მალენი, ამერიკის ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის წარმომადგენელი, - **მოსახლეობის აქტიურობა მაღალი იყო. მაგრამ ამ არჩევნების დემოკრატიულობა დიდწილად განაპირობა იმან, რომ კონკურენცია არ იყო და, შესაბამისად, არ იყო ზეწოლა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაზე. იმისათვის, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნები კარგად ჩატარდეს, კიდევ ბევრი იქნება გასაკეთებელი."**

"უნდა მოხდეს ამომრჩეველთა სიებისთვის საბოლოო სახის მიცემა. გარდა ამისა, უნდა შეიცვალოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის შედგენის წესი, ის უფრო არაპოლიტიზებული უნდა გახდეს," – ეს არის იმ რეკომენდაციათა ნაწილი, რომელიც, მათიას იორშის აზრით, ახალმა ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს. ამ რეკომენდაციათა შესრულება ხელისუფლებას საპარლამენტო არჩევნებისათვის მოუწევს. ახალი პარლამენტის არჩევნები კი, ახალი პრეზიდენტის განცხადებით, უახლოეს მომავალში გაიმართება და მას პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელი დანიშნავს.

საპარლამენტო არჩევნებთან ერთად, ახალ პრეზიდენტს წინ ბევრი გამოცდა ელის. კითხვაზე, როგორ აპირებს იმ პრობლემების გადაჭრას, რომელიც ქვეყნის მოსახლეობას აწუხებს, მიხეილ სააკაშვილს, ჯერჯერობით, მოკლე და ზოგადი პასუხი აქვს: **"ჩვენ კონსტიტუციაში ცვლილებები უნდა შევიტანოთ და პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტი შემოვიღოთ, რომელიც გაცილებით მოქნილი და ეფექტური იქნება. გარდა ამისა, ჩვენ მომზადებული გვაქვს ანტიკორუფციულ ღონისძიებათა პაკეტი, რომლის განხორციელებასაც მალე დავიწყებთ."**

პასუხისმგებლობა მთელ გუნდზე გადანაწილდება.

გიორგი აბესაძის ფოტო

დარღვევებზე მეტი - შეცდომები

პირველი გვერდიდან

და მხოლოდ ხელმოწერები აკლდა. "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენლის განცხადებით, ეს შეიძლება უბნებზე შედეგების გაუქმების მიზეზი გახდეს. მართალია, დუშეთში დაფიქსირებული დარღვევის შესახებ დამკვირვებლებმა საჩივარი ოპერატიულად დაწერეს, მაგრამ კომისიის თავმჯდომარე მარინა ნონიაშვილმა იგი არ მიიღო. გარდა ამისა, იმის გამო, რომ დუშეთის შსს-მ პირადობის მოწმობის გაცემა დროულად ვერ უზრუნველყო, მოსახლეობა სტუდბილეთებითა და მართვის მოწმობით აძლევდა ხმას. ერთი პირობა, ყველა სურათიანი საბუთით ხმის მიცემა გადაწყვიტეს ქუთაისშიც, მაგრამ კონკრეტული ახსნა-განმარტების შემდეგ მდგომარეობა გამოსწორდა და მოსახლეობამ კანონით განსაზღვრული საბუთებით გაანაგრძო ხმის მიცემა. გუშინ "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა" და "სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენლები დარღვევებს თუ არჩევნებში მონაწილე მოსახლეობის რაოდენობას ვერ აკონკრეტებდნენ. ცნობილი იყო, რომ ხულოსა და ქედაში მოსახლეობას ძველი პასპორტები ჩაბარებული, ხოლო ახალი აღებული არ ჰქონდა, რაც, ხმის მიცემის თვალსაზრისით, სერიოზულ პრობლემებს ქმნიდა.

დამკვირვებლები დარღვევებზე მეტად საარჩევნო ადმინისტრაციების შეცდომებზე ამახვილებდნენ ყურადღებას.

ირაკლი ლეკიშვილის ფოტო

ქვემო ქართლში მდგომარეობა ვერც რევოლუციამ შეცვალა. "სამართლიანი არჩევნების" წევრ თამარ ჟვანიას განცხადებით, მარნეულში მე-13 უბანზე ხმებს სხვის მაგივრად აძლევდნენ. 31-ე საარჩევნო კომისიის წევრებმა, როგორც ჩანს, შუადღისთვის თავისი სამუშაო გეგმა შესრულებულად ჩათვალეს, საარჩევნო უბანი დაკეტეს და ქეიფიც გააჩაღეს. დმანისში დამკვირვებლებმა უკვე "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებს "ჩაავლეს", რომლებიც ბიულეტენებს სხვისი პასპორტებით იღებდნენ...

არჩევნები ამომრჩეველთა აქტიურობამ გადაარჩინა

პირველი გვერდიდან

იმის მიუხედავად, რომ წინასწარი რეგისტრაცია მილიონ შვიდასი ათას ამომრჩეველს ჰქონდა გავლილი, დღის პირველ ნახევარში ცესკო-ში არჩევნების ჩაშლის საფრთხეზე მაინც აქტიურად საუბრობდნენ. თავად ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჭიაბერაშვილმა მოსახლეობას საარჩევნო უბნებზე მისვლისაკენ არაერთგზის მოუწოდა.

ეს არც იყო გასაკვირი, რადგან უკანასკნელ წუთამდე არ არსებობდა იმის მყარი გარანტიები, რომ არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლებოდა, თუნდაც, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამომრჩეველთა აქტიურობის თაობაზე დილის საათებში ცესკო-ში ზუსტი ინფორმაცია არ არსებობდა.

პირველი მონაცემები მხოლოდ დღის თორმეტი საათისთვის გახდა ცნობილი, რომლის თანახმადაც, კენჭისყრაში მონაწილეობა 580 747 ათას ამომრჩეველს ჰქონდა მიღებული. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჭიაბერაშვილმა მხოლოდ საღამოს ხუთი საათისთვის განაცხადა, რომ მოსახლეობის აქტიურობა საკმაოდ მაღალი იყო. საღამოს შვიდი საათისთვის უკვე ოფიციალურად დასახელდა ამომრჩეველთა ის რაოდენობა, რომელმაც საარჩევნო უბნებს მიაკითხა – მილიონ 600 000. საღამოს რვა საათისთვის კი დასახელდა ზუსტი ციფრი - არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 50 პროცენტზე მეტმა, უფრო ზუსტად, მილიონ 759 279-მა ამომრჩეველმა.

"მე ორჯერ მომინია არჩევნების შემდეგ შეფასებების გაკეთება. პირველად - ორი ნოემბრის არჩევნების შემდგომ, როგორც დამკვირვებელმა და ახლა, როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ. მაშინაც და ახლაც ვაცხადებ, რომ საქართველოს მოსახლეობამ ჩააბარა ის გამოცდა, რომელიც ქვეყანას მსოფლიო თანამეგობრობის ღირსეულ წევრად აქცევს... საქართველოში დემოკრატია ამომრჩევლებმა გადაარჩინეს," – თქვა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ.

მისივე თქმით, **"წინა არჩევნებთან შედარებით, დარღვევათა რაოდენობა უბნებზე მინიმალური იყო, თუმცა ამის მიუხედავად, ცენტრალური საარჩევნო კომისია უყურადღებოდ არ დატოვებს არც ერთ მათგანს და დამნაშავეების მიმართ შესაბამის ზომებს მიიღებს."**

საგულისხმოა, რომ გუშინ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არ გამოჩენილან მისი ოპოზიციონერი წევრები, "ლეიბორისტ" ბადრი ნიაურის გარდა, რომელმაც საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და ცენტრალური საარჩევნო კომისია საქართველოს მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებების დარღვევაში დაადანაშაულა. თუმცა, ასეთ განცხადებებს "ლეიბორისტები" ამ ბოლო დროს საკმაოდ ხშირად აკეთებენ.

საუბარია ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის დადგენის იმ წესზე, რომელიც ცესკო-მ მიიღო. როგორც ბადრი ნიაურმა განაცხადა, **"არჩევნები ექს-პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ დანიშნა კანდიდატის მიხეილ სააკაშვილის სასარგებლოდ."** მისი თქმით, **"ცესკო, სადაც უმრავლესობა ხელისუფლების მიერ დანიშნული წევრია, საპრეზიდენტო არჩევნების მიმართ იდეალურ სურათს ხატავს, თუმცა ეს მხოლოდ ილუზიებია."** მან ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაციის წესს "მახინჯი ფორმა" უწოდა და აღნიშნა, რომ ამჟამად საქართველოში კვლავ არ არსებობს ამომრჩეველთა ზუსტი რაოდენობა. ბადრი ნიაურის თქმით, გაზაფხულზე დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებზე ბევრი პოლიტიკური პრობლემა შეიქმნება, რადგან ამჟამად პარტიები საპრეზიდენტო არჩევნების მონიტორინგს არ ახორციელებენ.

და ბოლოს: გუშინ არჩევნები არ გამართულა კოდორის ხეობის სოფლებში, რადგან უამინდობის გამო იქ საარჩევნო ბიულეტენების ჩატანა ვერ მოხერხდა. გუშინვე პირველი ინფორმაცია ჩამოვიდა უზბეკეთის დედაქალაქიდან, სადაც არჩევნებში მონაწილეობა მიიღო საქართველოს 79-მა მოქალაქემ. 75 ხმა მიხეილ სააკაშვილმა მიიღო, ორი – ზურაბ ქელეხსაშვილმა, ხოლო დანარჩენმა ორმა ამომრჩეველმა ყველა კანდიდატი გადახაზა.

საშობაო პროფესია

საქართველოში შობა სულ რამდენიმე დღეში დადგება. თუმცა, ქრისტიანული სამყაროს დიდმა ნაწილმა ეს დღესასწაული უკვე იზეიმა. დასავლეთში ამ დღესასწაულთან დიდი ფასდაკლებები და გაცხოველებული ვაჭრობაც ასოცირდება. ამ პერიოდში თავს იჩენს უამრავი დროებითი - საშობაო პროფესია. ყოველი წლის ბოლოს ამერიკის სავაჭრო ცენტრებში ათასობით სანტა-კლაუსი ჩნდება. სავაჭრო ცენტრების მეპატრონეებს ისინი მხოლოდ ბავშვების გასართობად როდი აჰყავთ. პროფესიონალ თოვლის ბაბუებს ვაჭრობის გამოცოცხლება და ნავაჭრის გაორმაგება შეუძლიათ. ეს სეზონი პროფესიონალი თოვლის ბაბუებისთვის წელიწადის ყველაზე სარფიანი პერიოდია, როდესაც მათ ხუთიოდე კვირაში რამდენიმე ათასი დოლარის შოვნა შეუძლიათ.

თოვლის ბაბუების სეზონი, ტრადიციულად, ნოემბრის შუა რიცხვებიდან იწყება და 25 დეკემბრამდე, კათოლიკების შობამდე გრძელდება. ამ დროს სავაჭრო ცენტრებში შენდება პატარა საბავშო ქალაქები, ყველა საჭირო ატრიბუტით, ნაძვის ხეებისა და ხელოვნური თოვლის ჩათვლით. დეკორაციების სახეობა მთლიანად დიზაინერების გემოვნებაზეა დამოკიდებული. განსაკუთრებით პოპულარულია მექანიკური ორკესტრი და საშობაო პერსონაჟების ფიგურები, მაგალითად, ჩრდილოეთის ირმები.

“საშობაო ქალაქის” მშენებლობას, საშუალოდ, შვიდი დღე სჭირდება. ამის შემდეგ სანტა მუშაობას იწყებს. ის ჯდება “ქალაქის” ცენტრში მოთავსებულ სავარძელში, რომლის წინაც დგება ბავშვების თვალუწვდენელი რიგი. თითოეულ პატარას სანტასთან ცალკე გასაუბრების საშუალება ეძლევა. საუბრის ძირითადი თემაა, თუ როგორ იქცეოდა ესა თუ ის პატარა მთელი წლის განმავლობაში და რა სათამაშოს მიღება სურს საშობაოდ. სანტას სამსახური მონოტონურ და მძიმე სამუშაოდ ითვლება. სხვათა შორის, ამ ბოლო დროს სანტა-კლაუსების დაკვირვებით, უკანასკნელი წლების განმავლობაში ბავშვებმა წონაში იმდენად მოიმატეს, რომ ზოგიერთ სანტას მათი მუხლებზე ჩამოჯდომა ძვირი უჯდება.

ჭკვიან და გამოცდილ სანტებს სეზონზე, დაახლოებით, ხუთ კვირაში, სულ ცოტა, 30 ათასი ამერიკული დოლარის გამომუშავება შეუძლიათ. პროფესიონალებისგან განსხვავებით, მოყვარულ სანტა-კლაუსებს სეზონზე მხოლოდ შვიდი-რვა ათასი ამერიკული დოლარის შოვნა შეუძლიათ, დაახლოებით იმდენივესი, რასაც სწრაფი კვების რესტორნის თანამშრომლები, ან დამლაგებლები ღებულობენ.

დღეს სანტას პროფესიას ადამიანები ძალიან იშვიათად ირჩევენ. საერთაშორისო სავაჭრო ცენტრების მრჩეველთა საბჭოს მონაცემებით, შეერთებულ შტატებში დღეისათვის 1 მილიონ 200 ათასამდე სავაჭრო ცენტრი ფუნქციონირებს, რომელსაც სეზონზე მხოლოდ ერთი სანტა ესაჭიროება. შარშან სავაჭრო კორპორაციამ Wal-Mart , პირველად დაიქირვა თოვლის ბაბუები საკუთარი 2996 უნივერმაღისათვის, ისიც - მხოლოდ ერთი დღით.

წლების განმავლობაში სანტა-კლაუსების ბაზარს სამი უმსხვილესი კომპანია აკონტროლებს. ესენია Noerr Programs, Santa Plus, Cherry Hill Photo. მთელი წლის განმავლობაში ხსენებული კომპანიები სხვადასხვა ქვეყნებიდან პოტენციური თოვლის ბაბუების ავტობიოგრაფიებს ღებულობენ და მათ ნოემბრამდე ახარისხებენ. სანტას თითოეულმა პრეტენდენტმა უნდა დაამტკიცოს, რომ წარსულში მათ არ ჰქონიათ რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედება ჩადენილი და რომ ისინი ნარკოტიკების მოხმარებაში არ არიან შემჩნეულნი. გარდა ამისა, ტრადიციული სანტა მსხვილი გაბარიტების პატრონიც უნდა იყოს.

მათ, ვინც შერჩევის პროცესს წარმატებით გაივლიან, შეუძლიათ თავი პროფესიონალ თოვლის ბაბუებად ჩათვალონ. მათი მომსახურება შეიძლება აუქციონზეც კი გაიყიდოს. გასული წლის ნოემბერში კომპანია Pre-Employ.com, რომელმაც სამუშაოს მაძიებელი, დაახლოებით, თოვლის ბაბუის 1000 კანდიდატის მონაცემები გააანალიზა, აღმოაჩინა, რომ მათგან 7 პროცენტს წარსულში სხვადასხვა სახის დანაშაული ჰქონდა ჩადენილი. კომპანიის ვიცე-პრეზიდენტის განცხადებით, ეს მაჩვენებელი ბევრად დაბალია, ვიდრე შეერთებულ შტატებში. აქ სანტა-კლაუსების პრეტენდენტების თითქმის 15 პროცენტს წარსულში ჩადენილი კრიმინალური ფაქტები დაუმტკიცდათ.

ასეთი მაღალი ანაზღაურების მიუხედავად, სანტების სამუშაო ძალიან მძიმეა, ისინი კვირაში ხშირად შვიდივე დღეს მუშაობენ - დღე-ღამეში, დაახლოებით, ათი საათი. მთელი დღის განმავლობაში მათ, სულ ცოტა, ასი ბავშვის მოფერება და ტკბილი სიტყვებით გასტუმრება უხდებათ. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, საშობაო სეზონზე ერთ სავაჭრო ცენტრს 8758 ბავშვი და მათი 4638 მშობელი სტუმრობს. თუმცა, ისინი სავაჭრო ცენტრში უფრო ხშირად სანტასთან სურათის გადასაღებად შემოდიან. ფოტოსთან ერთად ბავშვები მცირეოდენ საჩუქარსაც ღებულობენ სანტასგან, რაც მათ მშობლებს 9-25 ამერიკულ დოლარამდე უჯდებათ. წელს განსაკუთრებული სიახლე იყო ის, რომ სანტებს მუშაობა, ბავშვების გარდა, შინაურ ცხოველებთანაც მოუწიათ. სავაჭრო ცენტრებმა დააწესეს ერთი სპეციალური დღე კვირაში იმ ოჯახებისთვის, რომელთაც არ ჰყავთ ბავშვები. მათ შეუძლიათ აქ საკუთარი ძაღლები, კატები, ან კიდევ სხვა შინაური ცხოველი მოიყვანონ და სანტებთან ერთად ფოტო გადაუღონ.

მოამზადა მარიამ ჯაჭვაძემ

რუსი ეკონომიკური ექსპერტები - საქართველოს ეკონომიკის შესახებ

რუსეთში "ველიკოდერჟავული" მისწრაფებები კვლავ აქტუალურია

თამარ ივანიძე

PAO "ЕЭС России" -ს თავკაცი ანატოლი ჩუბაისი ქართული ენერგოაქტივების ხელში ჩაგდებით კმაყოფილია

ახალი წლის პირველ დღეებში რუსული საინფორმაციო საშუალებების ერთ-ერთი მთავარი თემა საქართველო, მოსალოდნელი საპრეზიდენტო არჩევნები და, ზოგადად, საქართველოში შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია გახლდათ. ახალი წლის დღეებში რუსული პროპაგანდა განსაკუთრებით ცდილობდა, მკითხველი დაერწმუნებინა, რომ საქართველოს ეკონომიკა რუსეთის გარეშე კრახისთვის არის განწირული და საერთაშორისო დახმარებები მას დიდად ვერ წაადგება.

“ვფიქრობ, რომ ახლო მომავალში საქართველო სერიოზულ დახმარებას მიიღებს, მაგრამ ქართველები ამ დახმარების მოცულობით, ალბათ, იმედგაცრუებულები დარჩებიან”, - განაცხადა ცენტრალური აზიისა და კავკასიის ინსტიტუტის დირექტორმა ჩარლზ ფეირბანკსმა. მისი ინფორმაციით, ვაშინგტონმა საქართველოსთვის 21 მილიონი ამერიკული დოლარის მოცულობის დახმარება გადაწყვიტა, რაც "ზღვაში წვეთია". ამის მიზეზად კი ჩარლზ ფეირბანკსსაც და სხვა ექსპერტებსაც მიაჩნიათ, რომ **"დღემდე საქართველოს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების და ქვეყნების მხრიდან არაერთი დახმარება მიუღია. თუმცა, გამოყოფილი დახმარებების მნიშვნელოვანი ნაწილი იყო დატაცებული და არამიზნობრივად გახარჯული”**. საინტერესოა - აქვე რუსი ექსპერტები არ საუბრობენ იმაზე, რომ ახალი, თვისობრივად შეცვლილი ხელისუფლება ახალ შანსებს იმსახურებს, რისი ნიშნებიც გასულ წელს უკვე გამოჩნდა და რაც "პირველადი" უცხოური დახმარებებით გამოიხატა. არ საუბრობენ არც იმაზე, რომ დეკემბერში საქართველოსთვის გამონახული თანხები მართლაც მეტად მცირეა, რადგან, როგორც წესი, დახმარებების მოცულობა ბიუჯეტების დამტკიცების დროს დგინდება ხოლმე, რაც უკვე წლევანდელ თებერვალ-მარტში უნდა მოხდეს.

სამაგიეროდ, რუსი ექსპერტები საუბრობენ რუსეთ-საქართველოს ეკონომიკურ ურთიერთობებში დაგროვილ იმ მძიმე მემკვიდრეობაზე, რომელიც ახალ პრეზიდენტს ხვდება: საქართველოს დავალიანებამ მარტო რუსეთის ფედერაციისადმი (მიწოდებული გაზისა და ელექტროენერგიის საფასურის გარეშე) 156 მილიონ დოლარს გადაჭარბა. მიმდინარე წელს ამოიწურა ვალის დაფარვის ორწლიანი ვადა, რომელზედაც საქართველოს მთავრობამ 2001 წელს პარიზის კლუბში მიაღწია თანხმობას. გარდა პროცენტული გაანგარიშებისა (4%), საქართველო 2003 წელს ვალდებული იყო რუსეთისთვის ძირითადი ვალიდან 22.400.000 ამერიკული დოლარი გადაეხადა. ეს ვალდებულება საქართველოს მთავრობამ არ შეასრულა. სხვათა შორის, რუსეთის სამთავრობო წრეებში ამის არც განსაკუთრებული მოლოდინი ჰქონიათ. რუსეთის მიმართ საქართველოს დავალიანებამ გაზისა და ელექტროენერგიის ნაწილში 150 მილიონ დოლარს გადააჭარბა, შესაბამისად, 100 მილიონი და 50 მილიონი დოლარი. ასე რომ, ამ დავალიანების ჩათვლით საქართველოს რუსეთის 300 მილიონ დოლარზე მეტი ვალი მართებს. რუსეთი საქართველოსთვის ერთ-ერთი მთავარი ფინანსური სპონსორი და ელექტროენერგიის ძირითადი მიმწოდებელია. უკვე გადაწყვეტილია, რომ ფულადი ტრანსფერები მოსკოვიდან თბილისში აღარ გადაირიცხება.

ცხადია, ეს ვალი მართლაც აწევს საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას ზურგზე, თუმცა სსგ-სთან უკვე დამთბარი ურთიერთობა და მისი მოსალოდნელი მხარდაჭერა პარიზის კლუბში ამ პრობლემას, სავარაუდოდ, დროებით მაინც გაანეიტრალებს.

აქვე რუსი ექსპერტები იმასაც ამბობენ, რომ მიუხედავად ორმხრივი ურთიერთობების გართულებებისა, საქართველო-რუსეთს შორის ვაჭრობა გასულ წელს შარშანდელთან შედარებით 7.7 პროცენტით გაიზარდა (101.800.000 მილიონი დოლარი). მიმდინარე წლის ოქტომბერში საქართველოში ჩატარდა რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური ფორუმი. ორი ქვეყნის ბიზნესმენებმა ერთობლივი ბიზნეს-პროექტების განხორციელებაზე პირადად იმსჯელეს. ამავე წლის აგვისტოში კი PAO "ЕЭС России" -მ ამერიკული “ეი-ი-ეს-ისგან” იყიდა მთელი მისი აქტივები, რომელიც საქართველოში გააჩნდა.

ამ ინფორმაციის პარალელურად, რუსი ექსპერტები დასავლელი ინვესტორების მხრიდან საქართველოს მიმართ ინტერესის დაკარგვაზე საუბრობენ. ამბობენ, რომ არა მარტო დასავლეთის, არამედ რუსეთის მხრიდანაც საქართველოში ინვესტიციებმა აშკარად იკლო, რასაც, თურმე, ექსპერტიზი შევარდნაძე ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდა.

საინტერესოა, რომ რუსი ექსპერტები აქ არ ახსენებენ იმ ფაქტს, რომ გასულ წელს საქართველოში შემოსულმა უცხოურმა ინვესტიციებმა რუსეთში შესულ უცხოურ ინვესტიციებს ორი პროცენტით გადააჭარბა, რაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დაწყებით იყო განპირობებული, ეს კი თავისთავად არ არის ხელწამოსაკრავი ფაქტი. სხვათა შორის, ექსპერტებმა ამ ნავთობსადენის მშენებლობას გვერდი ვერ აუარეს, თუმცა, რა თქმა უნდა, ამ ფაქტის მიმართ დიდი აღფრთოვანება არ გამოუხატავთ.

ყველაფერი ზემოთქმულის "ლოგიკური" დასასრული კი გახლავთ რუსი ექსპერტების დასკვნა, რომელიც მენტორული, ველიკოდერჟავული ტონით არის დაწერილი და პირდაპირ მიმართულია საქართველოს ახალი პრეზიდენტისადმი: **"რუსეთის ბაზრის გარეშე საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, პრაქტიკულად არასიცოცხლისუნარიანია. თუკი ამას საქართველოს ახალი პრეზიდენტი არ გააცნობიერებს, მას შევარდნაძის ბედი ელოდება. შეიძლება ყველაფრის წინააღმდეგ წავიდეს კაცი, ეკონომიკის გარდა".**

მოკლედ

2003 წლის ბიუჯეტი 82 პროცენტით შესრულდა

გასული წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა, 31 დეკემბრის ოპერატიული მონაცემებით, 922.97 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წლის პროგნოზის მხოლოდ 82 პროცენტს შეადგენს. საგადასახადო შემოსავლების სახით ბიუჯეტში წლის მანძილზე 547.52 მილიონი ლარი შევიდა, არასაგადასახადო შემოსავლების სახით — 33.92 მილიონი ლარი. პრივატიზაციიდან 2003 წელს ბიუჯეტმა 23.45 მილიონი ლარი მიიღო. ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტმა, წლის ბოლო დღის ჩათვლით, სახელმწიფო ბიუჯეტში 485.77 მილიონი ლარის მობილიზება შეძლო და ამ მაჩვენებლით წლიური გეგმა 91 პროცენტით შეასრულა. საბაჟო დეპარტამენტმა ბიუჯეტში 301.78 მილიონი ლარი შეიტანა, ხოლო წლიური გეგმა 79 პროცენტით შეასრულა. **მედია-ნიუსი**

გუშინ რეგიონებს დენი შეუზღუდავად მიეწოდებოდა

გუშინ თბილისს და რეგიონებს ელექტროენერგია შეუზღუდავად მიეწოდებოდა. საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის 51 რაიონული ფილიალი ელექტროენერგიის 24-საათიანი გრაფიკით მარაგდებოდნენ. კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის ავთანდილ დვალიშვილის განცხადებით, 6 იანვრიდან რეგიონებში ელექტროენერგიის საფასურის შესაბამისი გრაფიკები დაწესდება. შეგახსენებთ, რომ რეგიონების უწყვეტი ელექტრომომარაგება გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის მიერ რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის (150 მეგავატი დღე-ღამეში) შემდეგ გახდა შესაძლებელი. რუსული დენის იმპორტი 31 დეკემბრიდან დაიწყო. კომპანია იმპორტის საფასურს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ ზამთრის გათბობის პროგრამის ფარგლებში მიღებული 2 მილიონი დოლარით გადაიხდის. **მედია-ნიუსი**

ბელორუსის სამხედრო პროფილის ყველა საწარმო ერთ უწყებაში გაერთიანდება

ბელორუსის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო ქვეყნის სამხედრო-სამრეწველო დარგის მიღწევებით კმაყოფილია და მის "შემდგომ აყვავებაზე ზრუნვას" იწყებს. მან უკვე გამოსცა განკარგულება, რომლის მიხედვითაც სამხედრო პროფილის ყველა საწარმო ერთ კონცერნში გაერთიანდება, და არა ეკონომიკის სამინისტროს, არამედ რომელიმე სპეციალურ უწყებას დაექვემდებარება. ოფიციალური მონაცემებით, ბელორუსში ასეთი 66 საწარმო ფუნქციონირებს, საიდანაც ქვეყნის ბიუჯეტში წელიწადში, დაახლოებით, 2 მილიარდ დოლარამდე თანხა შედის. ექსპერტთა განცხადებით, ამ მონაცემების გადამოწმება შეუძლებელია, თუმცა ცნობილია, რომ პერუსთან ბელორუსს საკმაოდ ძვირადღირებული კონტრაქტები აქვს გაფორმებული. მარტო 18 მოდიფიცირებულ გამანადგურებელ "მიგ –29" -ისა და მისი სათადარიგო ნაწილების მიწოდებისთვის პერუმ 385 მილიონი დოლარი გადაიხადა. მთლიანად 2003 წელს კი იარაღის ექსპორტმა 5 მილიარდი დოლარი შეადგინა. ბელორუსის ოფიციალური წრეები პოტენციურ მომხმარებელთა ვინაობას მაინცადამაინც არ ასაიდუმლოებენ - საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა უკვე განაცხადა, რომ 2004 წელს ქვეყანაში წარმოებული სამხედრო ტექნიკა, ძირითადად - ტანკები, ქვეითთა საბრძოლო მანქანები, მსხვილკალიბრიანი საარტილერიო სისტემები, წინა წლების მსგავსად, ირანში, კოტ დე ვუარში, სუდანსა და ალჟირში გასაღდება. ლუკაშენკოს იდეას სამხედრო წარმოების ერთ უწყებაში გაერთიანების შესახებ, ბელორუსის თავდაცვის სამინისტროში სკეპტიკურად უყურებენ და აცხადებენ, რომ თუ იგი რეალურად განხორციელდება, მაშინ ქვეყნის ზემოაღნიშნული მიღწევები, შესაძლოა, მინიმუმამდე შემცირდეს. **მედია-ნიუსი**

ორი სიტყვით

მოსკოვი. წელს 1 იანვრიდან მოსკოველებს კომუნალური მომსახურების, წყალმომარაგების, გათბობის, ნაგვის გატანისა და ბუნებრივი აირის გადასახადები საგრძნობლად გაეზარდათ. ამას გარდა, გაიზარდა ბინის ქირის გადასახადიც. მომავალი წლიდან ადგილობრივი ხელისუფლება საქალაქო ტრანსპორტის ღირებულების გაზრდასაც გეგმავს, მათ შორის, მეტროსიც. მინისქვეშა ტრანსპორტის ღირებულება ორ ეტაპად გაიზრდება და მისი ფასი, სულ ცოტა, ორჯერ მოიმატებს. მოსკოვის მერიის განცხადებით, ტრანსპორტის გაძვირებული ტარიფები ძალაში, უკეთეს შემთხვევაში, თებერვალში შევა. **ნიუს.რუ**

■ ■ ■

სამხრეთ აზია. სამხრეთ აზიის ქვეყნები შეთანხმდნენ რეგიონში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის თაობაზე. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ამან შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ამ რეგიონის სიღარიბიდან გამოსვლაში. გადაწყვეტილება ამ რეგიონის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე ცოტა ხნის წინათ მიიღეს. გარდა იმისა, რომ ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლამ შეიძლება ინდოეთისა და პაკისტანის პოლიტიკა და ვაჭრობა გააუმჯობესოს, შესაძლებელია, ხსენებული რეგიონის პატარა სახელმწიფოები მნიშვნელოვნად დააზარალოს და შრი-ლანკის, ნეპალის, ბანგლადეშისა და მადაგასკარის ბაზრები ინდური საქონლით გაჯერდეს. **ნიუს.რუ**



ამერიკული დესანტი მარსზე

გუშინ ამერიკის ავიაკოსმოსურმა ადმინისტრაციამ, "ნასამ" "სპირიტისაგან" პირველი სიგნალი მიიღო. სიგნალმა დედამიწაზე აღფრთოვანება გამოიწვია – ამერიკელების მიერ გაშვებული ზონდი მარსზე დაეშვა.

სიგნალი იმას ნიშნავს, რომ ზონდი არ დაზიანებულა და მალე წითელი პლანეტის შესახებ ინფორმაციის გადმოცემას დაიწყებს. ამერიკელების სიხარულს აორკეცებს ის გარემოება, რომ ევროპის ავიაკოსმოსური სააგენტოს მიერ გაშვებულმა ანალოგიურმა ზონდმა კატასტროფა განიცადა.

მალე ზონდს ამერიკული თანამგზავრი ოდისეი ჩაუვლის და მისი მეშვეობით "სპირიტი" გადმოსცემს დამატებით ინფორმაციას როგორც საკუთარი თავის, ისე მარსის ზედაპირის შესახებ. ამის შემდეგ, მოდულმა ცხრა დღის მანძილზე უნდა "დაისვენოს" და მზის ბატარეების საშუალებით ენერგიით დაიტვირთოს.

ამჟამად ან წარსულში მარსზე სიცოცხლის არსებობის დადასტურება უდიდეს გავლენას მოახდენს მთელ კაცობრიობაზე, – აცხადებს ცნობილი ფრანგი პლანეტოლოგი კლოდ დ`იუსტონი, რომელიც "სპირიტის" ერთ-ერთი ოპერატორია. მისი თქმით, დედამიწიდან მარსამდე სიგნალის მიღწევას ოთხი წუთი სჭირდება. ზონდის საპლანეტთაშორისო მოგზაურობას კი, დაახლოებით, ექვსი თვე დასჭირდა.

სპეციალისტებს მარსზე ცოცხალი არსების აღმოჩენის იმედი ნაკლებად აქვთ. ბუნებრივი კარბონატების ანუ ცოცხალი ორგანიზმების მიერ დატოვებული ნივთიერებების აღმოჩენაც უდიდესი სენსაცია იქნება.

"სპირიტი" მარსზე დაეშვა

ავიაკატასტროფა ეგვიპტეში

გუშინ წითელ ზღვაში მთელი დღე-ღამის მანძილზე გრძელდებოდა შაბათს დაღუპული თვითმფრინავის მგზავრების ძებნა. ეგვიპტური ავიაკომპანიის "ფლეშ ეარლაინისის" კუთვნილი "ბოინგ-737" ეგვიპტის საკურორტო ქალაქ შარმ ელ-შეიხიდან პარიზში მიფრინავდა. საწვავისათვის თვითმფრინავი კაიროში ცოტა ხნით უნდა დამჯდარიყო. ეკიპაჟის და მგზავრების ჩათვლით, ბოინგის ბორტზე 148 ადამიანი იმყოფებოდა, რომელთა შორის ბევრი ბავშვი იყო. ისინი მშობლებთან ერთად შარმ ელ-შეიხის კურორტზე ისვენებდნენ. 135 მგზავრიდან 129 ფრანგი იყო, ხოლო ექვსი - ეგვიპტელი. საფრანგეთის და ეგვიპტის ოფიციალური პირების განცხადებით, ტრაგედია თვითმფრინავის ტექნიკური გაუმართაობის გამო დატრიალდა.

"ბოინგ-737" აფრენიდან რამდენიმე წუთში წითელ ზღვაში ჩავარდა. მისი ნამსხვრევები შარმ ელ-შეიხიდან 15 კილომეტრში იქნა ნაპოვნი. თვითმფრინავის ბორტზე მყოფი ყველა ადამიანი დაიღუპა.

საძიებო სამუშაოებში უკვე ჩაერთნენ ფრანგი მაშველებიც. ისინი ეგვიპტელ კოლეგებთან ერთად წითელ ზღვაში ეძებენ დაღუპული მგზავრების ცხედრებს. **"მაშველები ცდილობენ ზვიგენების მოგერიებას, რომლებიც ცხედრებს ჭამენ,"** - აცხადებს ერთ-ერთი მაშველი.

ეგვიპტის ავიაციის მინისტრის აჰმედ საფიგის განცხადებით, თვითმფრინავი დაახლოებით ათასი მეტრის სიმაღლეზე იმყოფებოდა, როდესაც კურსიდან გადაუხვია და რამდენიმე წამში ზღვაში ჩავარდა. ამასთანავე, დისპეტჩერებს არ მიუღიათ არანაირი სიგნალი უბედურების შესახებ.

ეგვიპტის და საფრანგეთის ოფიციალური პირები ტერორისტული აქტის მიზეზით თვითმრინავის ჩამოვარდნას აბსოლუტურად გამორიცხავენ. **"ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს ტრაგიკული შემთხვევა იყო. სხვა მიზეზების ვარაუდისათვის არანაირი საბაბი არ არსებობს,"** - დასძინა საფრანგეთის ტრანსპორტის მინისტრმა ჟილ დე რობინმა.

ბოინგ-737 აფრენამდე

კოლუმბიელი ექსტრემისტების ლიდერი დაპატიმრებულია

შაბათს ეკვადორში დაპატიმრებული კოლუმბიელი ამბოხებულების ლიდერი უკვე სამშობლოშია დეპორტირებული. ოფიციალური ბოგოტას განცხადებით, მემარცხენე ექსტრემისტული დაჯგუფების – კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელი რიკარდო პალმერა, იგივე სიმონ ტრინიდადი კოლუმბიის, ეკვადორის და აშშ-ს სპეცსამსახურების ერთობლივი სპეცოპერაციის შედეგად დააპატიმრეს.

კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული ძალები, რომლებიც უკვე რამდენიმე ათეული წელია, ჯუნგლებიდან აწარმოებენ პარტიზანულ ბრძოლას ხელისუფლების წინააღმდეგ, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა დიდი ხნის წინ შეიყვანა საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების სიაში. ეს ორგანიზაცია აქტიურადაა ჩართული ნარკობიზნესშიც.

2002 წელს კოლუმბიის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა ალვარო ურიბემ მემარცხენე ამბოხებულებთან მოლაპარაკება სცადა, თუმცა, აწ უკვე დაპატიმრებული რიკარდო პალმერას ინიციატივით ეს პროცესი ჩაიშალა.

დამკვირვებლები აცხადებენ, რომ 53 წლის პალმერას დაპატიმრება პრეზიდენტ ალვარო ურიბეს ერთ-ერთი მთავარი წარმატებაა მას შემდეგ, რაც ის ქაოსში ჩაფლულ ქვეყანას ჩაუდგა სათავეში. უმთავრესი, რასაც ის ამომრჩევლებს დაჰპირდა, მემარცხენე ექსტრემისტების დამარცხება იყო.

კოლუმბიის ოფიციალური წარმომადგენლების ცნობით, რიკარდო პალმერა კოლუმბიის საზღვართან ახლოს ეკვადორის ჯუნგლებში დააპატიმრეს.

კოლუმბიის რევოლუციურ შეიარაღებულ ძალებს 22 წევრისგან შემდგარი მმართველი საბჭო ხელმძღვანელობს. რიკარდო პალმერა კი, ამ მმართველი ორგანოს ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი წევრი იყო. მათი დაჯგუფება 16 ათასამდე მარქსისტი მებრძოლისგან შედგება. რიკარდო პალმერას, თუკი დანაშაული დაუმტკიცდა, სულ ცოტა, 30-წლიანი პატიმრობა ელოდება.



რიკარდო პალმერა

განათლება მშობლიურ ენაზე

რუსეთი მოითხოვს, რომ დსთ-სა და ბალტიის სახელმწიფოთა რუსულენოვან მოსახლეობას დაუკანონდეს მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება, – იუწყება რუსული ტელეარხი "ენტვე".

"ეს სახელმწიფოები გაგებით უნდა მოეკიდონ იმას, რომ ისეთ დიდ ეთნიკურ უმცირესობას, როგორიც რუსებია, ჰქონდეთ თავიანთ ენაზე განათლების, სახელმწიფო ინსტანციებისადმი მიმართვისა და ინფორმაციის მიღების საშუალება. ეს სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და ამაში უცნაური არაფერია," – განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ელეონორა მიტროფანოვამ.

მისი თქმით, ბევრი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელს აქვს რუსეთში მშობლიურ ენაზე განათლების მიღების საშუალება, შესაბამისად, საზღვარგარეთ მცხოვრებ რუსებსაც ასეთივე უფლება უნდა ჰქონდეთ.

საყურადღებოა, რომ რუსეთი დაჟინებით მოითხოვს ამ უფლებას ყოფილ საბჭოთა კავშირში მცხოვრები თანამემამულეებისათვის, მაშინ, როდესაც არაფერს ამბობს დასავლეთში მცხოვრები რუსების მშობლიურ ენაზე განათლებაზე.

ბოლო ხანს რუსეთი აქტიურად ცდილობს რუსული ენისათვის დსთ-ს ქვეყნებში ოფიციალური სტატუსის მინიჭებას.

რამდენიმე კვირის წინ რუსულმა ენამ ნახევრადოფიციალური სტატუსი მიიღო მოლდოვაში.

ტონი ბლერი ერაყში ჩავიდა

გუშინ, მოულოდნელი ხანმოკლე ვიზიტით, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი ერაყს ეწვია. ის სამხრეთ ერაყის ქალაქ ბასრაში ჩავიდა, სადაც ბრიტანეთის სამხედრო ძალების სარდლობაა განთავსებული. ტონი ბლერმა ასევე მოინახულა პოლიციის სასწავლებელი, სადაც ერაყელ პოლიციელებს ბრიტანელი ინსტრუქტორები წვრთნიან. ამის შემდეგ, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ათიათასკაციანი ბრიტანული სამხედრო კონტიგენტის წინაშე სიტყვით გამოვიდა. მისი თქმით, ერაყუნული კამპანიის უმთავრეს ამოცანას სამხედრო გამარჯვების მოპოვება კი არ წარმოადგენდა, რაც ბრიტანელმა ჯარისკაცებმა წარმატებით მოახერხეს, არამედ უმთავრესია მშვიდობის დამყარება და ერაყისათვის დახმარების გაწევა სტაბილური და აყვავებული დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნისათვის. ამასთანავე, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დაადასტურა, რომ ლონდონი არ აპირებს ერაყის მალე დატოვებას და ბრიტანელი სამხედროები ქვეყანაში მას შემდეგაც დარჩებიან, როდესაც ხელისუფლება ერაყელებს გადაეცემათ.

ომის შემდეგ ტონი ბლერმა ერაყი პირველად მაისში მოინახულა. მის შემდეგ, ბლიც-ვიზიტებით ერაყს აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში და ესპანეთის პრემიერ-მინისტრი ხოსე მარია აზნარი ეწვივნენ. მათ მსგავსად, ტონი ბლერმაც ქალაქი ბასრა და ერაყის ტერიტორია რამდენიმე საათში დატოვა.

ტონი ბლერი ბრიტანელ ჯარისკაცებთან ერთად ბასრაში

წარმატება საქართველოში

ამ ახალი წლის ნათელ წერტილად ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა საქართველო იქცა. წარმატებული დიპლომატიის შედეგად მოხერხდა ის, რომ საქართველო არ იქცა ამერიკა-რუსეთს შორის მორიგი დაპირისპირების ობიექტად. ამ შორეულ ქვეყანაში სახელები და მოვლენები შეიძლება ჩვენი მკითხველისათვის სრულიად უცნობი იყოს, მაგრამ დღეს იგი ყურადღების ცენტრშია. 23 ნოემბრის "ვარდების რევოლუციის" შემდეგ, აშკარად გამოჩნდა, რომ ამ ქვეყნის მომავლის შესახებ მოსკოვსა და ვაშინგტონს სრულიად განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ და მზად იყვნენ, თავიანთი შეხედულებები აქტიურად დაეცვათ.

საქართველოში არეულობა კიდევ ერთი თავის ტკივილი იქნებოდა პრეზიდენტ ბუშისათვის მაშინ, როდესაც ამერიკული ჯარები გაჭედილნი არიან ერაყში. თანაც, დესტაბილიზაცია საფრთხის ქვეშ დააყენებდა კასპიის ზღვიდან დასავლეთისაკენ მიმავალი ნავთობსადენის მშენებლობას. ახლა კი, როგორც ჩანს, საფრთხემ ჩაიარა.

კვირას დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნები კიდევ უფრო განამტკიცებს საქართველოს სტაბილურობას, მით უმეტეს, რომ აჭარამ, რომელიც არჩევნების ბოიკოტით იმუქრებოდა, არჩევნებში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა – როგორც ჩანს, მოსკოვის ზეწოლის შედეგად.

იმისათვის, რომ გავიგოთ, როგორ მიაღწია საქართველომ წარმატებას, უნდა გავიხსენოთ გასული წლის მიწურული, როდესაც ვაშინგტონმა საქართველოში ხელისუფლების შეცვლას დაუჭირა მხარი. მართალია, შევარდნაძე ვაშინგტონის განსაკუთრებულ მეგობრად ითვლებოდა, მაგრამ მისი მთავრობის კორუმპირებულობამ და უნიათობამ ბუშის ადმინისტრაციას იმედი გაუცრუა. 2 ნოემბრამდე აშშ-მ არაერთხელ მოუწოდა შევარდნაძეს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებისაკენ. არჩევნების წინ ბუშმა პირადად გაუგზავნა შევარდნაძეს წერილი.

ეს მოწოდებები და გაფრთხილებები დამკვირვებლებმა იმის ნიშნად აღიქვეს, რომ ვაშინგტონის სიმპათიები ოპოზიციისაკენ იხრებოდა, რომელსაც ამერიკაში განათლებამიღებული იურისტი მიხეილ სააკაშვილი ხელმძღვანელობდა. თბილისში გავრცელდა ჭორები, რომ სააკაშვილს სატელეფონო კონტაქტები ჰქონდა აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს თანამშრომლებთან.

ვაშინგტონის შიში გამართლდა. შევარდნაძის პარტიამ არჩევნები მასობრივი გაყალბების წყალობით მოიგო. პრო-ამერიკული ოპოზიცია პროტესტის ნიშნად ქუჩებში გამოვიდა. 22 ნოემბერს მომიტინგეებმა პარლამენტის შენობა დაიკავეს.

ჰაერში დენთის სუნი დადგა. მაგრამ კრიზისი შევარდნაძემ განმუხტა, როდესაც თავისი გადადგომის შესახებ გამოაცხადა. თანამდებობის დატოვების შემდეგ, შევარდნაძემ განაცხადა, რომ აშშ-მ მას უღალატა. მან პარალელი გაავლო საკუთარსა და მილოშევიჩის დამხობას შორის და თქვა, რომ "ვილაცას ჰქონდა გეგმა".

ვარდების რევოლუციის შემდეგ ამერიკასა და რუსეთს შორის ურთიერთობები შესამჩნევად დაიძაბა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა ვაშინგტონი შეთქმულების მოწყობაში დაადანაშაულა. 6 დეკემბერს მან განაცხადა: "ვფიქრობ, საკმარისი საფუძველი არსებობს, ვივარაუდოთ, რომ მომხდარი მოვლენები სპონტანური ხასიათის არ იყო."

პრეზიდენტმა პუტინმა მოსკოვში მიიწვია საქართველოს სამი რეგიონის სეპარატისტულად განწყობილი ლიდერი. მათ განაცხადეს, რომ 4 იანვრის არჩევნებს ბოიკოტს გამოუცხადებდნენ. აჭარის ლიდერმა აბაშიძემ განაცხადა, რომ საქართველოს სახელმწიფო მოწყობის შეცვლას გეგმავდა.

კონფრონტაციის რისკი კიდევ უფრო გაიზარდა 5 დეკემბერს აშშ-ს თავდაცვის მინისტრის, დონალდ რამსფელდის თბილისში ვიზიტის შემდეგ. რამსფელდმა რუსებს საქართველოდან სამხედრო ბაზების დაუყოვნებლივ გაყვანა მოსთხოვა და მიანიშნა, რომ ვაშინგტონი მზადაა კავკასიაში საკუთარი ჯარების გასაგზავნად. მეორე დღეს სახელმწიფო მდივანმა, კოლინ პაუელმა დაგმო "სეპარატისტული ელემენტები, რომლებიც ძირს უთხრიან საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას".

ის, რაც შემდეგ მოხდა, უხმაურო დიპლომატიის ტრიუმფად უნდა ჩაითვალოს. ამერიკის ელჩი თბილისში, რიჩარდ მაილსი აჭარაში 23 დეკემბერს ჩავიდა. ორი დღის შემდეგ ნინო ბურჯანაძე მოსკოვს ეწვია და პრეზიდენტ პუტინთან მოლაპარაკება გამართა.

ქართველმა რეფორმატორმა ამ შეხვედრას "გარღვევა" უწოდა. მან განაცხადა, რომ საქართველოს ახალი მთავრობა პროდასავლურ საგარეო პოლიტიკას გააგრძელებს, მაგრამ აუცილებელია რუსეთთან გონივრული კომპრომისის მოძიებაც. რამდენიმე დღის შემდეგ აბაშიძემ განაცხადა, რომ 4 იანვრის არჩევნებში აჭარა მონაწილეობას მიიღებდა.

ასე რომ, საქართველო არმომხდარ კრიზისად იქცა. როდესაც გაიგებთ, რომ კვირის არჩევნებში მიხეილ სააკაშვილმა გაიმარჯვა, შეგიძლიათ თქვენს თავს უთხრათ, რომ 2004 წელი შესანიშნავად დაიწყო და იმედი იქონიოთ, რომ მთელი წელი ასეთივე იღბლიანი იქნება.

ვაშინგტონ პოსტი

ტერაქტი ფილიპინებზე

10 ადამიანი დაიღუპა ფილიპინებში, კალათბურთის დარბაზში მომხდარი აფეთქების შედეგად. კუნძულ მანდანაოზე მდებარე ქალაქ პარანგის მკვიდრნი აცხადებენ, რომ ტრაგედია ადგილობრივ პოლიტიკოსებს შორის დაპირისპირებამ გამოიწვია.

მუსლიმური ქალაქის ქრისტიანი მერის განცხადებით, ეს აფეთქება მისი მოკვლის მცდელობა იყო, თანაც, არა პირველი. ამჯერად მკვლელებმა სულ ოდნავ აცდინეს მიზანს: დაიღუპა მერის სამი მცველი, თავად ვივენსიო ბატაგა კი დაიჭრა.

10 მაისს ფილიპინებში ერთდროულად საყოველთაო, რეგიონული და ადგილობრივი არჩევნები ჩატარდება. აზიის ყველაზე ქაოტურ დემოკრატიაში არჩევნებს ყოველთვის თან ახლავს ძალადობა, დაშინება და გაყალბება. წინა არჩევნებს რამდენიმე ათეული ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

ბომბი, რომელიც სპორტდარბაზის წინ გაჩერებულ მოტოციკლეტში იყო ჩადებული, მაშინ აფეთქდა, როდესაც მერი სამიათასკაციანი აუდიტორიის წინაშე სიტყვით გამოდიოდა.

რელიგიური შეუწყნარებლობა ფილიპინებისთვის გადაუჭრელ პრობლემად იქცა. მოსახლეობის უმეტესობას კათოლიკენი შეადგენენ, თუმცა დიდია ისლამური უმრავლესობაც. ქალაქ პარანგის შემოგარენი ჯემაა ისლამიასა და მისი ადგილობრივი განშტოების "მოროს ისლამური გათავისუფლების ფრონტის" ბუდეს წარმოადგენს.

ორი სიტყვით

ავღანეთი. სამკვირიანი ინტენსიური განხილვების შემდეგ, ავღანეთის უხუცესთა საბჭოს წევრებისა და ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთაგან შემდგარმა ორგანომ – ლოია ჯირგამ ავღანეთის კონსტიტუციის პროექტის საბოლოო ვარიანტი მოიწონა. ლოია ჯირგას თავმჯდომარემ სიბგათულა მუჯადედიმ განაცხადა, რომ დელეგატები უახლოეს მომავალში ოფიციალურად დაამტკიცებენ ქვეყნის მთავარ კანონს. კონსტიტუციის პროექტის საბოლოო ვარიანტი ავღანეთში ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობის შექმნას ითვალისწინებს, რაც ამჟამინდელი ლიდერის ჰამიდ კარზაის ინტერესებში შედის. ლოია ჯირგას დელეგატები დიდი ხნის მანძილზე ათანხმებდნენ ერთმანეთში კონსტიტუციის მუხლებს. განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაეთმო კანონპროექტის იმ ნაწილის განხილვას, რომელიც ავღანეთის სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შეეხება.

■ ■ ■

პაკისტანი. პაკისტანში სამხრეთ აზიის ქვეყნების სამიტი გაიხსნა. ისლამაბადში ჩასულ რეგიონის ლიდერებს შორის ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ატალ ბეჰარ ვაჯპაიცაა. ისლამაბადში უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომებია მიღებული, რადგანაც არსებობდა ინფორმაცია ინდოეთის ლიდერზე შესაძლო თავდასხმის შესახებ.

ვაჯპაის ვიზიტს დამკვირვებლები საკმაოდ მაღალ შეაფასებას აძლევენ და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ამ სტუმრობას დიდი მნიშვნელობა აქვს ორი დაპირისპირებული ქვეყნის ურთიერთობების დარეგულირებისათვის. ამის მიზეზს კი ის ფაქტი წარმოადგენს, რომ 1999 წლის შემდეგ ვაჯპაი მეზობელ პაკისტანს პირველად ეწვია. თავად ვაჯპაი კი აცხადებს, რომ ის პაკისტანის ლიდერთან შეხვედრის დროს, არ აპირებს განსაკუთრებული საკითხების განხილვას და მისი ვიზიტის მიზანს მხოლოდ რეგიონული თანამშრომლობისათვის ხელშეწყობა და სამიტის მუშაობაში მონაწილეობის მიღება წარმოადგენს. "ორმხრივი მოლაპარაკებები ისლამაბადში არ გაიმართება. თუკი ეს სამიტი წარმატებული გამოდგება და გზას გაუხსნის თანამშრომლობას, ეს ძალიან კარგი იქნება მთლიანად რეგიონისათვის. ასეთ შემთხვევაში, სხვა პრობლემატური საკითხების გადაჭრაც შესაძლებელი გახდება," - განაცხადა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა.

■ ■ ■

ირანი. ირანში მომხდარი მიწისძვრის შემდეგ მაშველებმა პირველ სეროზულ წარმატებას მიაღწიეს - მათ ნანგრევებიდან 97 წლის ქალის ცოცხლად ამოყვანა შეძლეს. მოხუცი ქალაქ ბამში სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლის საშუალებით იპოვნეს. საინფორმაციო ექსპერტთა განცხადებით, ეს არის უნიკალური შემთხვევა, როდესაც რვა დღის განმავლობაში ჟანგბადის სერიოზული სიმცირის პირობებში და სასმელი წყლის გარეშე ადამიანი ცოცხალი გადარჩა. მაშველებმა მოხუცის დღის სინათლეზე ამოყვანას სამი საათი მოანდომეს. "ღმერთმა სიცოცხლე მაჩუქა," - განაცხადა მოხუცმა. წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების წარმომადგენლების განცხადებით, გადარჩენილ მოხუცს ერთი ნაკაწრიც კი არ აქვს და ის სავსებით უვნებელია.

"ხალხი ნაკადად მოდის!"

ერთ-ერთი საუბნო კომისიის თავმჯდომარის ეს განცხადება მთლიანად შეესაბამებოდა გუშინდელ არჩევნებს. ხალხი არჩევნებზე ისე მიდიოდა, როგორც ზეიმზე – მთელი ოჯახებითა და სადღესასწაულო განწყობილებით. როგორც რამდენიმე უბნის გამოკითხვამ აჩვენა, ამის მიზეზი ყოფილა ამომრჩეველთა დიდი იმედი, რომ საქართველოში ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება.

არჩევნები შედგა.

ბავშვმაც კი იცის, ვინ არის მიშა!

ზაზა ფაჩუაშვილი

ვაზისუბნის 34-ე უბნის კიბეებთან მივხვდით, რომ არჩევნები აუცილებლად შედგებოდა.

კიბეზე რის ვაი-ვაგლახით ჩამოდიოდა ერთი ყავარჯნიანი მოხუცი, რომელიც არჩევნებზე სრულიად მარტო მისულიყო. სხვა მის შესახებ ვერაფერი გავიგეთ, იმიტომ, რომ მოხუცმა ქალბატონმა ჩვენს მიმართვაზე გვიპასუხა - ყრუ ვარ, არაფერი მესმისო. მერე გაგვიღიმა და გვითხრა, რუსულად გვითხრა: ნუ გეშინიათ, მე უკვე შემოვხვედი. გამოკითხვაც ამ უბნიდან დავიწყეთ, სადაც კიდევ ერთ საინტერესო ქალბატონს შევხვდით, რომელიც ხმის მისაცემად ამერიკიდან ჩამოსულიყო.

ისნის რაიონის მე-5 საარჩევნო ოლქის 34-ე უბანი

კომისიის თავმჯდომარე ციცინო ბედელაშვილი: "**შვიდ საათზე მოხდა ფუნქციების განაწილება; რვაზე პირველი ამომრჩეველი მოვიდა; სამი საათისთვის ხმა მისცა 750-მა კაცმა. სულ სიით გვყავს 1033 ამომრჩეველი. დამატებით სიასაც ვაკეთებთ. რაც მთავარია, ისეთი შემთხვევები, რაც წინა არჩევნებზე იყო, დღეს არ დაფიქსირებულა. არჩევანის საშუალებაც ყველას აქვს და არც მკვდარი სულებია სიაში. ეს, იცით, როგორ მოვახერხეთ? ორჯერ შემოვიარეთ კორპუსები და აღვრიცხეთ ამომრჩეველი.**"

ციური ბედელაშვილი: "**ოთხი წელია, მე და ჩემი ქალიშვილი ამერიკაში ვიმყოფებით. რა თქმა უნდა, წასვლა აქაურმა ეკონომიკურმა პირობებმა გვაიძულა. ორივემ ვერ მოვახერხეთ, მაგრამ მე დროებით ჩამოვედი, რომ ჩემს ქართველ ხალხს შევუერთდე ამ არჩევნებზე. ალბათ, არ გაგიჭირდებათ მიხვედრა, თუ ვინ ავირჩიე. დიდი სიხარულით და სიამოვნებით მივეცი ხმა სააკაშვილ მიშკას. ეს არის ადამიანი, რომელსაც ნამდვილად დიდი ღვაწლი მიუძღვის იმ ვითარების შეცვლაში, რამაც საქართველოდან წასვლა გადაგვაწყვეტინა. იქ გულისყურით ვადევნებდით თვალს "სიენენ"-ის გადაცემებს და ყველაფერი ვიცოდით, რაც აქ ხდებოდა. ყველამ გაიგო, რა ხალხი ყოფილა საქართველოში და სულ მეტირებოდა, რომ დატანჯულმა ქართველებმა ცვლილებებს მიაღწიეს. მე ნიუ-იორკში ვცხოვრობ და, მერწმუნეთ, რომ ამ არჩევანით მთელი ნიუ-იორკელი ქართველების ნება-სურვილს გამოვხატავ. იქ ყველა მიშას უჭერს მხარს. ჩვენ ყველას - იქ გადახვეწილ ქართველობას, დიდი იმედი გვაქვს იმისა, რომ ამიერიდან საქართველოში ვითარება უკეთესობისკენ შეიცვლება და ბოლოს და ბოლოს შევძლებთ სამშობლოში დაბრუნებას.**"

ირმა ნიშნიანიძე: "**ძალიან მიხარია, რომ არავითარი პრობლემა არ არის და არჩევნები მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს. შარშან ქაოსი იყო. ხმაა? – სააკაშვილს მივეცი.**"

35-ე უბანი

კომისიის თავმჯდომარე მარინა მამარდაშვილი: "**უბანზე 1200 ამომრჩეველია; ნახევარი დღის განმავლობაში ხმა მისცა ხუთასმა ამომრჩეველმა; აქტივობა ძალიან კარგია - ხალხი დილის რვა საათიდან მოდის. ვინც რეგისტრაცია გაიარა, ისინი სიაში არიან, ვინც – არა, დამატებით სიაში შეგვყავს და, ყოველგვარი პრობლემის გარეშე, ვაძლევთ არჩევანის გაკეთების საშუალებას.**"

დავით სუზანიშვილი: "**მთელი ოჯახით მოვედი არჩევნებზე. აი, ეს პატარა ჩემი შვილიშვილია, ჩემი მოსახელე. ამისთვის მინდა ყველაფერი. ძალიან კარგი განწყობით მოვედი და აქაც კარგი სიტუაცია დამხვდა. ყველა სიაშია, ყველას აქვს არჩევანის საშუალება. ნოემბრის აქციების მონაწილე ვარ. ხმას სააკაშვილს ვაძლევ და დიდი იმედი მაქვს, რომ ბევრ კარგ საქმეს გააკეთებს.**"

ვაგიკ დავითიანი: "**რა კარგი სიტუაციაა, კაცო. ყველა მოდის წყნარად, მშვიდად აძლევს ხმას, მიდის. წინა რა უბედურება იყო? მე სააკაშვილი შემოვხაზე - "პიატი". რა ვიცი, აბა, ჯერჯერობით რაც თქვა, ყველაფერი გააკეთა. ვნახოთ, მერე რას იზამს.**"

ლამარა მჭედლიშვილი: "**მე, შვილო, პენსიონერი ქალი ვარ. აი, მოვედი და...ძალიან კარგად ჩაიარა არჩევნებმა, მშვიდობიანად, ყოველგვარი უხეშობის, ძალადობის გარეშე. წინაზე რიგში ვიდექი - ერთი ამბავი იყო, ხალხი სიაში არა ჰყავდათ, ეხლა კიდე მშვენივრად არის ყველაფერი. მე ვისაც მივეცი ხმა, ღმერთმა ბედნიერად ამყოფოს... რა თქმა უნდა, სააკაშვილი.**"

32-ე უბანი

კომისიის თავმჯდომარე ლალი ჭოლაძე: "**ხალხი მოდის ნაკადად. ისეთი სასიამოვნო ვითარება შეიქმნა, რომ ყველა კმაყოფილები ვართ – კომისიაც და ამომრჩეველიც. ხალხი, როგორც ზეიმზე, ისე მოდის ბავშვებთან ერთად. ამდენი გაღიმებული და იმედიანი სახე ჯერ არ მინახავს. ამის ფონზე წინა არჩევნების გახსენებაც არ ღირს.**

ამომრჩეველთა მთლიანი კონტინგენტი 1545 ადამიანია. წინასწარი რეგისტრაცია გაიარა 750-მა. ამ დროისათვის (2.45 სთ) ხმა მისცა 600-მა ამომრჩეველმა."

ნინო ნოზაძე: "**არანაირი პრობლემა არ მქონია. ყველაფერი ისე კეთდება, როგორც საჭიროა. წინა არჩევნებთან შედარებაც კი არ შეიძლება. მაშინ რაღაც არეულობა იყო; ახლა დალაგებული ვითარებაა. ხმა ვის მივეცი, არ გეტყვი.**"

თენგიზ ჩოლორავა: "**არჩევნები სრულყოფილად მიმდინარეობს და ეს ძალიან სასიამოვნოა. უკეთესობა აშკარად იგრძნობა. ჩვენც მაგის იმედი გვაქვს, რა! მიშასაც იმიტომ ვირჩევთ.**"

რაც მეტია მხარდამჭერი, მით მეტია პასუხისმგებლობა

შინდისელის სიზმარი: ამაღლებულ ადგილას იდგა მიშა, დიდ ფართობზე უამრავ ძროხას აძოვებდა და გახარებული იყო

ვერიკო თევზაძე

"არასოდეს არც ერთ არჩევნებში არ მიმიღია მონაწილეობა. ამ სიბერეში გადავწყვიტე, პირველად მივსულიყავი საარჩევნო ყუთთან და ხმა მიხეილ სააკაშვილისთვის მიმეცა. ძალიან მიხარია, ასე მგონია, რაღაც გვეშველება," - შინდისელ ელენე მეზურნიშვილში 76 წლის ასაკში გაიღვიძა მოქალაქეობრივმა პასუხისმგებლობამ.

"მსგავსი განწყობა 1991 წლის შემდეგ არ მქონია. ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ახლიდან ვიწყებთ ყველაფერს," - გეოლოგ ჯონი შუბითიძის აზრით, საქართველოს მომავალმა პრეზიდენტმა, უპირველესად ხელისუფლებაში სტრუქტურული ცვლილებები უნდა გაატაროს. გუშინ საუბნო კომისიების წევრები ერთხმად აცხადებდნენ, რომ მათ არასოდეს უნახავთ ამომრჩეველთა ასეთი აქტიურობა. *"24 საათთან"* საუბრისას ამომრჩეველთა უმრავლესობამ, საკუთარი სურვილით, სავზაროდ გამოხატა მიხეილ სააკაშვილისადმი მხარდაჭერა. თუმცა, იგივე ამომრჩევლები მკაცრად აცხადებენ, რომ თუ ახალმა ხელისუფლებამაც გაუმტყუნა ხალხს იმედები, წინა ხელისუფლებაზე უარესი დღე დაადგება.

შინდისიდან თბილი მოკითხვები გამოგიგზავნათ მოსე მეზურნიშვილმა, ვაჟა ცინდელაშვილმა, დათო პაპიაშვილმა, მიშა გიორგაძემ და ჯონდო ლევანიშვილმა.

ფოტო: ვალერიან ფალავანდიშვილის

ქალაქის პოლიციის ყოფილი "შეფი" სოსო ალავიძე საკმაოდ სიმპათიურად გამოიყურებოდა. ჩვენი გაზეთის ფოტორეპორტიორის დანახვისას მან სასწრაფოდ მოიხსნა შავი სათვალე. ვაკის რაიონის N14 უბნის ამომრჩეველი იოსებ ალავიძე გუშინ გაჭირვებული ხალხის ქომაგად მოგვევლინა: **"ამაღლებული განწყობით მოვედი, სულმოუთქმელად ველოდი, როდის გაიხსნებოდა საარჩევნო უბანი. როგორც ხედავთ, დიდი რიგებია. საქართველოს მომავალ პრეზიდენტს ვუსურვებ, დაემყარებინოს მშვიდობა, აღედგინოს ტერიტორიული მთლიანობა და გაემართლებინოს ამ გაჭირვებული ხალხის ნდობა. ეს არის თითოეული ჩვენგანის სურვილიც და მოლოდინიც... თუ პრეზიდენტმა იმედები არ გაამართლა, ხალხი ბრძენია და თავად მიიღებს შესაფერის გადაწყვეტილებას."**

კონსერვატორიის თანამშრომელი მადლენა ვარდოსანიძე ვაკის მე-18 საარჩევნო უბანზე ვარდით გამოცხადდა: **"მიხეილ სააკაშვილის დიდი იმედი მაქვს. ეგ უშველის საქართველოს! კი, ასე იქნება, ინტუიცია არასოდეს მღალატობს."**

ფიზიკოსი ხათუნა ზუბიტაშვილი, რომელმაც ვაკე-საბურთალოს მე-16 უბანზე მისცა ხმა, საქართველოს მომავალი პრეზიდენტისგან ეროვნული პოლიტიკის გატარებას, მოსახლეობაზე ზრუნვას და საქართველოს მთლიანობის აღდგენას მოელის.

"ვერ გეტყვით, რომ ამაღლებულ განწყობაზე ვიმყოფები. ძალიან აპოლიტიკური ადამიანი ვარ და, მოკლედ რომ გითხრათ, მოვედი იმისთვის, რათა ჩემი მოქალაქეობრივი ვალი მომეხადა. ახალი პრეზიდენტისგან მაინც მოველი სიახლეს," - ვაკე-საბურთალოს რაიონში მცხოვრები, საკმაოდ პრაგმატულად მოაზროვნე ახალგაზრდა ინჟინერ-გეოდეზისტი გიორგი ჭიაურელი მომავლის იმედს მაინც არ კარგავს.

"თუ ახალმა პრეზიდენტმა იმედები არ გაამართლა? – უნდა გაამართლოს... ასეთი შეკითხვა არც უნდა დასვათ!" – ღამის დამტუქსა გურამ ვარდოსანიძემ. საქართველოს ახალი პრეზიდენტის ასევე უყოყმანოდ სჯერა პროფესიით მძღოლს ედუარდ ეგიზაროვს. ეს პოზიცია მან "24 საათთან" საუბრისას ვაკის N18 უბანზე დააფიქსირა.

წავკისის N52 უბანში არჩევნების დღეს ვარდებით შეხვდნენ. **"მაღალი წნევით მოვედი იმისთვის, რომ ხმა მივცე მიხეილ სააკაშვილს. აი, ხომ ხედავთ, შვილიშვილი წამოვიყოლე, გზაში რომ არ წავქცეულიყავი... ამას წინათ საპარლამენტო არჩევნებისას კომისიის წევრებმა მითხრეს, პირველი ნომერი უნდა შემოხაზოო. დღეს ასეთი რამ არავის გაუბედავს,"** – დიასახლისი ცავრენა ქოროლაშვილი დარწმუნებულია, რომ სააკაშვილის გაპრეზიდენტების შემთხვევაში საქართველოში მათხოვრების რიცხვი საგრძნობლად შემცირდება. წავკისის საუბნო კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მათ მუშაობაში დიდად დაეხმარა წინასწარი რეგისტრაციის ჩატარება.

შინდისში ვარდები არა, მაგრამ გაზეთი "24 საათი" ჰქონდათ გადაშლილი და კითხულობდნენ. ჩვენმა სტუმრობამ შინდისელები უზომოდ გაახარა. საუბნო კომისიის შემდეგ სოფლის "ბირჟაც" მოვინახულეთ: **"არავის გავუფრთხილებივართ, ამას და ამას უნდა მისცეთ ხმაო. ყველამ საკუთარი გულის კარნახით დაუჭირა მხარი მიშას. რასაც დაგვპირდა, თუკი შეასრულებს, ყველანი გვერდში ამოვუდგებით. მოგვიკითხეთ თბილისელები და ახალი ხელისუფლება,"** - შინდისიდან თბილი მოკითხვები გამოგიგზავნათ მოსე მეზურნიშვილმა, ვაჟა ცინდელაშვილმა, დათო პაპიაშვილმა, მიშა გიორგაძემ და ჯონდო ლევანიშვილმა.

ამავე სოფლის მკვიდრმა ავთანდილ მეზურნიშვილმა მას შემდეგ გადაწყვიტა სააკაშვილის მხარდაჭერად არჩევნებში მონაწილეობა, როცა სიზმარში **"ბატონი მიხეილი კარგად ნახა"**. ამაღლებულ ადგილას მდგარა, დიდ ფართობზე უამრავ ძროხას აძოვებდა და გახარებული იყო. ავთანდილ მეზურნიშვილის ერთი შეხედვით გულუბრყვილო სიზმარი სულაც არ გახლავთ ღიმილისმომგვრელი: ჯერჯერობით, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს მხოლოდ სიზმრების ახდენისა სჯერათ. საბედნიეროდ, ისინი იმედს გამოთქვამენ, რომ 4 იანვრიდან საქართველოში დაიწყება ახალი ეპოქა, სადაც უბრალო ადამიანებს სიზმრებზე უფრო ადვილად ხელისუფლების დანაპირები აუხდებათ.

საბურთალოს 36-ე უბანზე, შუადღის სამი საათისთვის, უგრძესი რიგი იდგა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის, მაკა მალაციძისთვის ეს პირველი საპრეზიდენტო არჩევნები იყო. **"საქართველოს ახალმა პრეზიდენტმა არ უნდა დაივიწყოს, რომ იგი ხალხის მიერ არის არჩეული,"** - ეკონომისტ ნუნუ კაპანაძის საუბარში გამაფრთხილებელი ტონი შეინიშნებოდა. **"ჩემი აზრით, საქართველოს მომავალი პრეზიდენტი ხალხს დანაპირებს შეუსრულებს. შინაგანად დარწმუნებული ვარ, რაც კი სასიკეთო გაკეთდება ქვეყანაში, ყველაფერ ამის თანამონაწილე ჩვენც გავხდებით, რადგან ამომრჩეველი პასუხისმგებელია იმაზე, ვისაც და რასაც ხმა მისცა,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბარში ზურაბ ჭიჭინაშვილმა.

4 იანვარს მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერები თავიანთ არჩევანს საჯაროდ აფიქსირებდნენ, საქართველოს მოქალაქეები დიდ იმედებს ამყარებენ სააკაშვილზე, თუმცა წინდახედულებასაც იჩენენ. საკმაოდ ბევრმა ადამიანმა გუშინ გვითხრა, რომ ისინი იზიარებენ მწერალ ზაალ სამადაშვილის 4 იანვრის გამოსვლას რადიო "მწვანე ტალღაში": **"რაც უფრო მეტი მხარდამჭერი ეყოლება მიხეილ სააკაშვილს, მით უფრო მეტი ადამიანის წინაშე იქნება პასუხისმგებელი, მით უფრო მეტი ადამიანის იმედი უნდა გაამართლოს მან."**

ყველაზე დიდი ოვაციები ფილარმონიაში

სოფო ბუკია

"ეგზიტპოლის შედეგები ასეთია: მიხეილ სააკაშვილი - 85,8 პროცენტი"... ფილარმონიის გადაჭედილი დარბაზი სხვა ციფრების გამოცხადებას არ დაელოდა, "მიშა, მიშა!" – დაიყვირეს დარბაზში და ერთმანეთს გადაეხვივნენ, ისე, როგორც 12 საათის დადგომასთან ერთად ახალ წელს ულოცავენ ხოლმე.

შემდეგ დარბაზში მოქმედი პრეზიდენტი ნინო ბურჯანაძე გამოჩნდა და ყველას მადლობა გადაუხადა ნოემბერში გამოჩენილი მამაცობისთვის, არჩევნებზე მისვლისთვის. **"მიშას ნამდვილად ეკუთვნოდა ეს გამარჯვება, მან ეს დაიმსახურა, როგორც ნამდვილმა ლიდერმა,"** – აღნიშნა მან.

"მთელი ძალებით ვეცდებით, თქვენი ნდობა გავამართლოთ," – შეჰპირდა ხალხს ზურაბ ჟვანია.

სააკაშვილს დარბაზი ოვაციებით შეხვდა. ალბათ, არც ერთ სხვა გამომსვლელს ფილარმონიაში ასეთი აპლოდისმენტები არ ღირსებია. განსაკუთრებული სითბოთი ესალმებოდნენ შეკრებილები სანდრა რულოვსს.

"დიდი მადლობა, ხალხო, იმისთვის, რაც თქვენ გააკეთეთ. მე არა მაქვს არანაირი უფლება, თქვენი ნდობა არ გავამართლო. მე კარგად მესმის, რამოდენა ტვირთი მაწევს მხრებზე... თითოეული თქვენგანი ნამდვილი გმირია!" – მიესალმა "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი დარბაზს.

ფილარმონიიდან სააკაშვილი სასტუმრო "შერატონ მეტეხში" გაემგზავრა, სადაც არჩევნებში გამარჯვების შემდეგ პირველი პრესკონფერენცია გამართა. ფილარმონიის დარბაზი მალე დაიცალა. **"დამშვიდებული გულით მივდივარ. რამდენი ხანია, ქართველებს არ გვყოლია არჩეული პრეზიდენტი... ერთ დღეში არაფერი შეიცვლება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მომავალ ახალ წელს საქართველო სულ სხვა იქნება, გაცილებით უკეთესი,"** – გვითხრა ერთმა ხანშიშესულმა ქალბატონმა. ამ ქალბატონის აზრს გუშინ ფილარმონიაში შეკრებილი უკლებლივ ყველა ადამიანი იზიარებდა.

ფილარმონიაში შეკრებილი მხარდამჭერები ესალმებიან პრეზიდენტს და პირველ ქალბატონს.

ფოტო: გიორგი გაბუნიას

არჩევნები "გრევისა" და "ქურდული" ზეწოლის გარეშე

პირველი გვერდიდან

”ხმას სააკაშვილს ვაძლევ, თბილისელი კაცია, თანაც ახალგაზრდაა, ჩვენი ასაკისაა და რაც არ უნდა იყოს, შევარდნაძის მსგავსად ვერ მოიქცევა. როგორ ფიქრობთ, ახალი პრეზიდენტი გამოსცემს ამნისტიას?”

”სააკაშვილმა ამნისტია უნდა გამოსცეს, ასე ხდება ყველა ნორმალურ ქვეყანაში, ჩვენს უკან ოჯახები, მეგობრები, სანათესაოა და ყველანი იმედიანად არიან განწყობილნი. შევარდნაძის პოლიტიკა, იცით, როგორი იყო? უშვებდა იმ პატიმრებს, მხედრიონელებს და ზვიადისტებს, ვინც პოლიტიკურად აწყობდა...”

”აქ უმეტესობას, იცით, როგორ უჭირს? ხმის მისაცემად აქამდე ვერ გამოვიდნენ იმიტომ, რომ ტანსაცმელი არ აქვთ, ელოდებიან, სხვები როდის მისცემენ ხმას, რომ შემდეგ ტანსაცმელი გამოართვან. ჩემთან საკანში ახალგაზრდა კაცია. იცით, რატომ დაიჭირეს? წლების მანძილზე უმოქმედო ელექტროსადენები ჩამოხსნა. დაიჭირეს, ფული არ ჰქონდა, პოლიციისთვის რომ მიეცა და ხუთი წელი მიუსაჯეს. ორი ძროხა გააყიდინეს, მაგრამ უკვე გვიანი იყო... აი, ასეთი ხალხისთვის უნდა გამოსცენ ამნისტია...”

“პატიოსანი მთავრობის ხელში ყველაფერი აეწყობა,” – ასეთია პატიმართა განწყობილება და სურვილი, რომ მათ მიერ დანახული მომავლის იმედი დაიცვან.

სხვათა შორის, თუ სხვა დროს პატიმრები ჟურნალისტებთან საუბარს თავს არიდებენ, გუშინ ორთაჭალის ციხეში დადგმულ საარჩევნო ყუთთან თავმოყრილი პატიმრები განსაკუთრებული სიტყვაუხვობით გამოირჩეოდნენ. ყველა სხვა არჩევნებისგან განსხვავებით, მე-5 იზოლატორი გუშინ მართლაც გამორჩეულად ”პოლიტზებული” იყო. გაჩენილ იმედს, რომელმაც პატიმრები საარჩევნო ყუთთან მიიყვანა, დიდი სიახლის მოლოდინი ედო საფუძვლად. ამ ადამიანებისთვის, რომელთა ნაწილიც ციხის გისოსებს მიღმა მართლაც სოციალური გაჭირვების გამო აღმოჩნდნენ, “ხავერდოვანი რევოლუციის” გამარჯვება, გარდა დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობისა, უამრავი სოციალური პრობლემის მოგვარებასთან და პირად კეთილდღეობასთანაც იგივდება. ამიტომაც, ”ვარდების რევოლუციის” შემდეგ ციხის მთავარი სასაუბრო თემა ამნისტია გახდა. ასე იყო გუშინაც. ყველა ამომრჩეველი პატიმარი ბიულეტენს საარჩევნო ყუთში ამნისტიის მოლოდინით აგდებდა.

პატიმრებს ამნისტიის იმედი აქვთ.

გარდა ორთაჭალის საპყრობილისა, სადაც 1642 ამომრჩეველია, საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა თბილისის №1 საპატიმროში, ბათუმის, ზუგდიდისა და ქუთაისის საპყრობილეებში და, ასევე, ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. ხმის უფლების მქონე პატიმართა რაოდენობა 3 ათასს აღწევს და მათმა დიდმა უმრავლესობამ გუშინ საკუთარი არჩევანი გააკეთა. თანაც ისე, რომ ტრადიციული წინასწარი საპრეზიდენტო კამპანია ციხეში არ ჩატარებულა და, როგორც ციხის სლენგზე მოსაუბრე ტუსაღები აცხადებენ, ხმების მოსაპოვებლად ”ციხეში არც გრევი შეუგზავნიათ” და არც ციხის არაოფიციალურ მაკონტროლებლებს - ”კანონიერ ქურდებს” გაუციათ მითითებები.

იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის გია გეწაძის განცხადებით, საარჩევნო პროცესს თვალყურს ადევნებდნენ როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივი დამკვირვებლები. **”არჩევნები ექსცესების გარეშე მიმდინარეობდა და პატიმრებზე პოლიტიკური ზემოქმედება გამორიცხული იყო,”** – განაცხადა გია გეწაძემ. ციხეში ჩატარებული არჩევნების კანონიერება არასამთავრობო ორგანიზაცია ”სამართლიანი არჩევნების” დამკვირვებლებმაც დაგვიდასტურეს.

უახლოეს მომავალში ვირადობის მოწმობები შეიცვლება

საარჩევნო შეღავათები იმ ხალხისთვის, ვინც პირადობის მოწმობების აღება ვერ მოასწრო, არჩევნების დღესაც გრძელდებოდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო განყოფილებები მოქალაქეებისათვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემას კვირას დღის ბოლომდე აგრძელებდნენ.

შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილის, ამჟამად შს სამინისტროს საპასპორტო-სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის ეროვნული ბიუროს უფროსის დავით თოდუას განცხადებით, აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულია შს მინისტრის გიორგი ბარამიძისა და ცესკო-ს თავმჯდომარის ზურაბ ჭიაბერაშვილის შეთანხმების საფუძველზე. შს მინისტრის გიორგი ბარამიძის ბრძანებით, შს სამინისტროს საპასპორტო განყოფილებებმა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების უფასოდ გაცემა ათი დღის წინ დაიწყეს იმ მოქალაქეებზე, ვისაც ასეთი დოკუმენტი საერთოდ არ ჰქონდა, დაკარგა, ან არ ჰქონდა შეცვლილი ძველი საბჭოთა სიმბოლიკიანი პასპორტი.

გუშინ საპასპორტო განყოფილებებმა ჩვეულ რეჟიმში მუშაობა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემა დილის 8 საათიდან დაიწყეს და არჩევნების დასრულებამდე გააგრძელეს. დავით თოდუას თქმით, საპასპორტო განყოფილებაში გამარტივებული წესით მიღებულია, დაახლოებით, ასი ათასი მოქალაქის განცხადება, რომელთაგან 73 ათასზე გაცემულია პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

”ყველა იმ პირს, რომელსაც 30 დეკემბრამდე ჰქონდა ჩაბარებული საბჭოთა სიმბოლიკიანი პასპორტი და საჭირო დოკუმენტები ახალი პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მისაღებად, შეუძლიათ ეს დოკუმენტი აიღონ და არჩევნებში მიიღონ მონაწილეობა,” – განაცხადა გუშინდელ პრესკონფერენციაზე საპასპორტო-სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის ეროვნული ბიუროს უფროსმა.

ჟურნალისტებთან შეხვედრისას თოდუამ კიდევ ერთ მოსალოდნელ სიახლეზეც ისაუბრა.

მისი თქმით, საქართველოს მოქალაქეთა პირადობის მოწმობები გაყალბებისგან დაუცველია. ამიტომ მისი გამოცვლა დღის წესრიგში დგას და ამისათვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს. პირადობის მოწმობები საქართველოში 1994 წლიდან გაიცემა. დღემდე ასეთი მოწმობა მილიონ 800 ათას მოქალაქეს აქვს მიღებული. პირადობის მოწმობის ასაღებად ოფიციალური სახელმწიფო გადასახადი 2,5 ლარია. თოდუა ვერ აკონკრეტებს, როდის დაიწყება პირადობის მოწმობების ახლით შეცვლა. თუმცა, მისი თქმით, ეს აუცილებლად მოხდება.

24 საათი

ჩეჩნეთში სტაბილურობისთვის მთავარი დაბრკოლება ადამიანების გატაცებაა

ჰელსინკის ჯგუფის მოსკოვის განყოფილების თავმჯდომარის ლუდმილა ალექსეევას აზრით, ჩეჩნეთში სტაბილურობის დამყარების მთავარ დაბრკოლებად კვლავაც ადამიანის უფლებების დარღვევა და ადამიანთა გატაცებები რჩება.

“ჩეჩნეთის მშვიდობიანი მოსახლეობა მზად არის, უარი თქვას ყოველგვარ კომპენსაციასა და დახმარებაზე, მზად არის, თავად ააშენოს და აღადგინოს დანგრეული ქალაქები და სოფლები, ოღონდ კი თავი დაანებონ, შეწყდეს წმენდები და გატაცებები”, - აცხადებს ალექსეევა. მისი აზრით, ჩეჩნეთში მშვიდობიანი მოსახლეობის უფლებების დარღვევა ხელს უწყობს ბანდფორმირებების რიგების შევსებას: **“ფედერალური ძალების მიერ მოწყობილი წმენდის შედეგად დაზარალებული ადამიანები თავს მთებს აფარებენ, რადგან ეშინიათ, რომ კვლავ მიაკითხავენ”**.

ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაცია “მემორიალის” ხელმძღვანელი ოლეგ ორლოვი სულ ცოტა ხნის წინათ ამტკიცებდა, რომ ჩეჩნეთში ადამიანების გატაცების უმეტესობის უკან ძალოვანი სტრუქტურები დგანან. **“ამაში დამნაშავე ყოველთვის ფედერალური ჯარები არ არიან, ადამიანებს ხშირად ბოევიკებიც იტაცებენ, მაგრამ უმეტეს შემთხვევებში მოქმედებენ ფედერალური ჯარების კონტროლქვეშ მყოფი ძალები, ან - კადიროვს დაქვემდებარებული სამართალდამცველები”**, - განაცხადა თავის დროზე ორლოვმა.

ამავე დროს, ჩრდილოეთ კავკასიის ჯარების გაერთიანებული დაჯგუფების სარდალმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ვალერი ბარანოვმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ადამიანებს მხოლოდ და მხოლოდ ბანდიტები იტაცებენ და ეს მათი შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა.

“დამნაშავეთა დაპატიმრება, მტკიცებულებათა შეგროვება და მათი დასჯა საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია, მაგრამ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ რესპუბლიკის მოსახლეობას თავიდან ავაცილოთ გატაცებების საფრთხე და ბოლო მოვუღოთ ამ დანაშაულებრივ ბიზნესს”, - აცხადებს ბარანოვი.

მისივე თქმით, ჩეჩნეთში იძიებენ ადამიანის გატაცების ყველა ფაქტს. **“დღეისათვის არც ერთი ასეთი ფაქტი არ რჩება გამოძიებისა და სისხლის სამართლის საქმის აღძვრის გარეშე. დარწმუნებული ვარ, რომ ეს საქმეები სასამართლომდე მივა და ბოროტმოქმედები შესაბამისად დაისჯებიან”**, - ამბობს სარდალი.

თუმცა, ჯერჯერობით, ადამიანის უფლებათა დამცველების ხელთ არსებული სტატისტიკური მონაცემები იმედის საფუძველს ნაკლებად იძლევა. იმავე ოლეგ ორლოვის თქმით, 2003 წლის იანვრიდან ნოემბრამდე ჩეჩნეთში 431 ადამიანი იქნა გატაცებული, აქედან 137 გაათავისუფლეს, 47 მოკლული იპოვეს, დანარჩენი 247-ის შესახებ კი არაფერია ცნობილი. ადამიანის უფლებების დამცველის განცხადებით, “მემორიალმა” ჩეჩნეთში ადამიანის გატაცებათა მხოლოდ 25-30 პროცენტზე შეძლო მონიტორინგის ჩატარება, რადგანაც მთიან რაიონებამდე ხელი არ მიუწვდებოდათ. **“ჩვენი შეფასებით, ჩეჩნეთის ტერიტორიაზე სამოქალაქო პირთა გატაცების მაჩვენებელი შესაძლოა 3-4-ჯერ მაღალი იყოს “მემორიალის” ხელთ არსებულ მონაცემებზე”**, - აღნიშნავს ორლოვი.

24 საათი

გალელებმა ტყე-ტყე მაინც მიაღწიეს საარჩევნო უბნებამდე

გალის რაიონის ქართულ მოსახლეობას, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით, გუშინ სერიოზული პრობლემები ჰქონდა. პრეზიდენტის არჩევის მსურველ ქართველებს, აფხაზებმა, თითქმის ჩამოართვეს ხმის მიცემის უფლება. გალელი ქართველების მცდელობა, ზუგდიდის რაიონში გადასულიყვნენ და გუშინდელ არჩევნებში მონაწილეობა მიეღოთ, წარუმატებელი აღმოჩნდა. აფხაზურმა მხარემ ქართველთა ორგანიზებული მსვლელობა ხმის მისაცემად, გუშინ, ისევე, როგორც 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებისას, აკრძალა. ქართველთა პრობლემას ენგურის ხიდზე გადმოსასვლელად, რამდენიმე თვის წინ აფხაზების მიერ დაწესებული ასრუბლიანი გადასახადიც წარმოადგენდა.

შეგახსენებთ, რომ ზუგდიდის რაიონში დარეგისტრირებულია აფხაზეთიდან 32 ათასი დევნილი, რომლებსაც არჩევნებზე ხმის უფლება გააჩნიათ, აქედან დიდი ნაწილი, გალის რაიონში კარგა ხნის წინ გადავიდა.

ჩვენი ინფორმაციით, გუშინ მთელი დღის განმავლობაში, გალში აფხაზური მხარის პიკეტები იყო მოწყობილი, გარდა ამისა, აფხაზამა სეპარატისტებმა იქ დამატებითი ძალები გაამაგრეს, რის გამოც ენგურის ხიდზე ქართველთა გადმოსვლა, პრაქტიკულად, შეუძლებელი გახდა. **”ისინი ჩვენი მოქალაქეები არიან, ამიტომ არ მივცემთ საშუალებას, მონაწილეობა მიიღონ ქართულ არჩევნებში”**, - ასეთი არგუმენტი აქვს აფხაზურ მილიციას.

დიდი წინააღმდეგობისა და დაბრკოლებების მიუხედავად, გალის ქართული მოსახლეობის ნაწილმა, რომელსაც აფხაზურმა მხარემ, გუშინ, კიდევ ერთხელ, კანონიერი უფლების განხორციელების საშუალება არ მისცა, მაინც მოახერხა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა და მისთვის სასურველი კანდიდატურის შემოხაზვა. როგორც ”24 საათისთვის” გახდა ცნობილი, გალელმა ქართველებმა ზუგდიდისა და წალენჯიხის საარჩევნო უბნებამდე მიღწევა შემოვლითი გზებით – დაბალი ზონის სოფლების ტყეების გავლითა და ენგურის მიმდებარე ტერიტორიის ბილიკებით მაინც შეძლეს.

24 საათი

ახალი ბრალდებები აკაკი ჩხაიძის მიმართ

ხათუნა ჭანგირაშვილი

შპს "საქართველოს რკინიგზის" ყოფილ გენერალურ დირექტორს აკაკი ჩხაიძეს, სამართალდამცველები, მის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებულ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობას - დაკითხვაზე ნებაყოფლობით გამოცხადებას ურჩევენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ, მისი დაპატიმრების სანქცია გაიცემა. ეს ვადა კი სულ ცოტა ხანში იწურება.

"თუკი აკაკი ჩხაიძე საქართველოს საზღვრებს გარეთ მოისურვებს მიმალვას, საქმეში ინტერპოლი ჩაერთვება და შესაძლებელი იქნება მისი აღმოჩენა ნებისმიერ ქვეყანაში და საქართველოში იძულებით ჩამობრძანება," - აცხადებს შინაგან საქმეთა მინისტრი გია ბარამიძე და ყოფილი გენერალური დირექტორის ახლადგამოვლენილ ცოდვებსაც ამხელს.

საქმე ისაა, რომ დაახლოებით სამი კვირის წინ, აკაკი ჩხაიძის მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს, რომელიც ბიუჯეტისთვის განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხების დამალვის მუხლით დაკვალიფიცირდა, ახალი დეტალები შეემატა და საქმე გამოსაძიებლად გენერალურ პროკურატურას გადაეგზავნა.

აქამდე საუბარი იყო შპს "საქართველოს რკინიგზის" ყოფილი გენერალური დირექტორის და ამავე უწყების სხვა ხელმძღვანელი პირების მხრიდან ორ სააქციო საზოგადოებასთან - "ჭიქათხევ ბორჯომსა" და "ბჟილჰესთან" გაფორმებულ საიჯარო ხელშეკრულებებზე, რომელთა მიხედვითაც, "საქართველოს რკინიგზას" რამდენიმე წლით გადაეცა ქალაქ ბორჯომში მდებარე 21 მეგავატი სიმძლავრის მქონე ჰიდროელექტროსადგური და ოზურგეთის რაიონის სოფელ შემოქმედში არსებული ჰიდროელექტროსადგურის მართვის უფლება მიიღო. თუმცა, აკაკი ჩხაიძეს და საწარმოს სხვა ხელმძღვანელ პირებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 164-169 მუხლების მოთხოვნათა უხეში დარღვევით, არ წარმოუდგენიათ საგადასახადო ორგანოებში უძრავი ქონების გადაცემისათვის გადასახადის შესახებ დეკლარაცია და, შესაბამისად, ბიუჯეტის კუთვნილი 135 ათასი ლარის გადახდას დანაშაულებრივი გზით აარიდეს თავი. გარდა ამისა, დადგინდა, რომ საწარმოს ხელმძღვანელებმა 2002 წლის განმავლობაში უძრავ ქონებაზე სამშენებლო სამუშაოების ჩატარების პროცესში არაერთგზის უკანონოდ შეამცირეს დღგ-ს გადასახადი, რითიც სახელმწიფო ბიუჯეტს 353 ათასი ლარის ზარალი მიაყენეს.

როგორც უკვე ითქვა, აკაკი ჩხაიძის მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს ბოლო დღეებში ახალი, სერიოზული დეტალები დაემატა. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში აცხადებენ, სამართალდამცველებმა შპს "საქართველოს რკინიგზის" ყოფილი გენდირექტორის აკაკი ჩხაიძისა და ამავე უწყების სხვა ხელმძღვანელი პირების მიერ ჩადენილი სამართალდარღვევების კიდევ რამდენიმე სკანდალური ფაქტი გამოავლინეს.

საქმე ეხება კიდევ ორ ფირმასთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს. გამოძიების მიხედვით, 2000-2003 წლებში შპს "საქართველოს რკინიგზას" გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება ფირმა "ალეგრატრანს ლიმიტედსა" და შპს "ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ"-სთან ვაგონების მიწოდებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახის მომსახურებაზე. ამ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო, დამკვეთებს, ანუ ზემოთ ნახსენებ ორ ფირმას, ჯარიმის სახით, გარკვეული თანხების გადახდა დაეკისრათ. შპს "საქართველოს რკინიგზის" ხელმძღვანელ მუშაკებს კი ფირმა "ალეგრატრანს ლიმიტედსა" და "ბათუმი ტერმინალ ლტდ"-ზე დაკისრებული გადახადები შემოსავალში არ დაუფიქსირებიათ, შესაბამისად, არც ქონებასთან დაკავშირებულ ხარჯებზე გადასახდელი დღგ გადაუხდიათ. ანუ, რკინიგზის ხელმძღვანელ მუშაკთა მხრიდან ადგილი ჰქონდა თანხების უკანონოდ დამალვის ფაქტებს.

ზემოთ აღნიშნულ ფაქტები "საქართველოს რკინიგზაში" ჩატარებული რევიზიის შედეგად გამოვლინდა და დღგ-სა და მოგების გადასახადებისაგან თავის არიდებისათვის შპს "საქართველოს რკინიგზას" დაერიცხა 6 113 382 ლარი, მათ შორის, გადასახადის სახით - 3 777 526.

ერთი სიტყვით, აკაკი ჩხაიძის მიმართ აქამდე წაყენებულ ბრალდებებს ახალ-ახალი ფაქტები ემატება. თავად ჩხაიძე კი, ჯერჯერობით, კვლავ არ ჩანს. როგორ განვითარდება მოვლენები - ბოლოს და ბოლოს გამოცხადდება თუ არა "საქართველოს რკინიგზის" ძებნილი ყოფილი დირექტორი დაკითხვაზე, თუ მას მართლაც იძულებით მოუწევს საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობის მიღება, წინასწარ ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, მას სამართალდამცველები კვლავ დაჟინებით უხმობენ. არც ის არის გამორიცხული, ყოფილმა დირექტორმა, ცოტა ხანში, საერთაშორისო ძებნილის სახელი დაიმკვიდროს.

თურქულ სეინერს აუქციონზე გაყიდვა ემუქრება

გუშინ, დილის ოთხ საათზე, საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სანაპირო დაცვის სამმართველოს თანამშრომლებმა სოხუმიდან 20-25 მილის დაშორებით თურქული დროშით მცურავი თევზსაჭერი სეინერი "აბალ ბალიკ ჩილიკი" და მისი 16-კაციანი ეკიპაჟი დააკავეს. სეინერი 40 ტონამდე თევზით იყო დატვირთული.

სანაპირო დაცვის სამმართველოს საოპერაციო სამსახურის ხელმძღვანელის კობა ბოჭორიშვილის თქმით, სეინერი საქართველოს ტერიტორიული წყლების დარღვევისა და უკანონო თევზჭერის გამო დააკავეს. აღნიშნული დარღვევებისთვის გემის მფლობელებს საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული ჯარიმის - 265 ათასი ლარის გადახდა მოუწევთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სეინერი აუქციონზე გაიყიდება.

2004 წელს ეს თურქული გემის დაკავების პირველი შემთხვევაა. შარშან კი, სანაპირო დაცვის სამმართველომ საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ფაქტზე თურქეთის დროშით მცურავი ოთხი გემი დააკავა. სავარაუდოდ, წლევანდელი წელი მათთვის უფრო "შემოსავლიანი" იქნება, თუნდაც, იქიდან გამომდინარე, რომ თითქმის მთელი შარშანდელი წლის მანძილზე, საწვავის უქონლობის გამო, სანაპირო დაცვის სამმართველოს თანამშრომლებს ტერიტორიული წყლებისა და სუფსის ტერმინალის კონტროლი ჭოგრიტებით უხდებოდათ. წელს კი, საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სანაპირო დაცვის სამსახურმა ამერიკელი კოლეგებისგან საახალწლო საჩუქრად დიზელის საწვავი მიიღო. საწვავის რაოდენობას დეპარტამენტში არ აკონკრეტებენ, თუმცა აცხადებენ, რომ, საწვავის ეს რაოდენობა ტერიტორიული წყლების სრულფასოვანი გაკონტროლებისთვის ერთი თვე მაინც ეყოფათ. ამის შემდეგ კი ამერიკელები დიზელის საწვავის კიდევ ერთი პარტიის გამოგზავნას აპირებენ.

მედია-ნიუსი

ორი სიტყვით

თბილისი. შს სამინისტროს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურში, 2003 წლის 1 იანვრიდან ქვეყნის მასშტაბით სახანძრო შეტყობინების 3 984 შემთხვევა აღირიცხა. როგორც სააგენტო „მედია-ნიუსს“ ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურიდან აცნობეს, დაიწვა 1843 სახელმწიფო ნაგებობა (2002 წელს – 1988), და 1687 საცხოვრებელი სახლი.

ამ პერიოდში ხანძრის დროს დამწვრობა მიიღო 46-მა ადამიანმა, სამაშველო რაზმების მიერ კი გადარჩენილია 23 ადამიანი. სულ ამ პერიოდში სახანძრო სამსახურში 757 ფიქტიური გამოძახება დაფიქსირდა. სახანძრო სამსახურის ცნობით, ყველაზე ხშირად, ხანძრის გამომწვევი მიზეზებია: ცეცხლთან გაუფრთხილებელი მოპყრობა – 1532 შემთხვევა, ელექტრომოწყობილობებისა და მათი ექსპლუატაციის გამართვის წესების დარღვევა – 950 და ბავშვების ცეცხლთან გაუფრთხილებელი მოპყრობა – 339 შემთხვევა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. შსს მე-5 განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს სამრეწველო დასახლების მე-2 ქუჩის მე-2 ჩიხის N23-ში მცხოვრები, 25 წლის გელა ახვლედიანი, რომელიც 23 საათზე თბილისის ქინძმარაულის ქუჩაზე თავს დაესხა 20 წლის ინგა პაპოიანს და დანის მუქარით ცდილობდა მისთვის ქურქის წართმევას. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. პოლიციამ დააკავა თბილისის, ჟინვალის ქუჩის N39-ში მცხოვრები 28 წლის როლანდ კობალაძე, იმავე ქუჩის N43-ში მცხოვრები 23 წლის როლანდ ჭელიძე და ვარკეთილის დასახლების ხომლის ქუჩის „დ“ კორპუსში მცხოვრები, 20 წლის არტემ პეტროსიანი, რომლებმაც თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე სასაფლაოდან ალუმინის ფიგურები მოიპარეს. გამოძიებას აწარმოებს საგამოძიებო დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამსახური. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სამართალდამცავებმა დააკავეს ციხიდან გაქცევისთვის ძებნილი, ნასამართლევი, 41 წლის გიორგი წერეთელი, რომელიც 10 სექტემბერს ჯგუფური გაქცევის დროს გაიქცა რუსთავის N2 მკაცრი რეჟიმის დაწესებულებიდან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ცხინვალი. ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებამ ანტიკრიმინალური და ანტინარკოტიკული ოპერაცია დაიწყო. სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის სამართალდამცავებმა, გუშინ, ცხინვალის ბაზრობიდან ამოიღეს 5 ტონამდე ყაყაჩოს თესლი, რომელიც საკონდიტრო ნაწარმის ეტიკეტიან პოლიეთილენის პარკებში იყო დაფასოებული.

ამოღებული ყაყაჩოს თესლი, ეგრეთ წოდებული პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე საჯაროდ დაწვეს. ამ პროცესს დე ფაქტო პრეზიდენტი ედუარდ კოკოვიც ესწრებოდა.

მან იმედი გამოთქვა, რომ `ოსი სამართალდამცავები ანტიკრიმინალურ და ანტინარკოტიკულ ოპერაციას წარმატებით დაასრულებენ. **მედია-ნიუსი**

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ქრონიკა

"ვარდების რევოლუციის" წელი

იანვარი

4 - პარლამენტარ დიმიტრი ჯაიანს საკუთარი სახლის წინ თავს დაესხნენ. სასტიკად ნაცემი დეპუტატი საავადმყოფოში მოათავსეს.

8 - ზუგდიდში მოკლეს ზუგდიდის ყოფილი კომენდანტი ბადრი ზარანდია.

13 - ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტის სხდომაზე დასასწრებად, ზურაბ ჟვანია პარიზში გაემგზავრა.

19 - პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ოფიციალური ვიზიტით მოსკოვს ეწვია.

20 - სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე ოფიციალური ვიზიტით ისრაელში გაემგზავრა.

28 - კიევში გამართული დსთ-ს სამიტის დროს, შედგა რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების, ვლადიმირ პუტინისა და ედუარდ შევარდნაძის შეხვედრა.

30 - საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ქვეყნის 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

31 - საქართველოში იმყოფებოდა უკრაინის თავდაცვის მინისტრი ვლადიმირ შკიდჩენკო.

თებერვალი

3 - აფხაზეთის კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის მოთხოვნით, ზუგდიდში მრავალათასიანი მიტინგი გაიმართა.

6-10 - საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ მიუნხენში მონაწილეობა მიიღო ნატო-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების შეხვედრაში.

7 - 225 დღის განმავლობაში სომალიში ტყვეობაში მყოფმა ექვსმა ფოთელმა მეზღვაურმა გაქცევა მოახერხა.

11 - საქართველოს ეწვია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის ჯგუფი.

11-12 - საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვია თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი იაშარ იაქიში.

14 - მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე სიტყვით გამოსულმა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს, თავისი გუნდიანად, ხელისუფლებიდან ჩამოშორებისკენ მოუწოდა.

22 - კოჯორში გაიმართა სწრაფი რეაგირების ძალების სპეცდანიშნულების ბრიგადისთვის საბრძოლო დროშის გადაცემის ცერემონიალი.

28 - პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან გათანაბრების შესახებ.

მარტი

3 - პრეზიდენტმა შევარდნაძემ გააკეთა განცხადება, რომ პარლამენტის გადაწყვეტილებას, მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან გათანაბრების შესახებ, ხელს არ მოაწერს.

4 - საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრი ოტო შილი.

7 - სოჭში გაიმართა რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების, ვლადიმირ პუტინისა და ედუარდ შევარდნაძის შეხვედრა.

16-20 - პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ოფიციალური ვიზიტით ლიტვაში იმყოფებოდა იმ გამოცდილების გაცნობად, რომელიც ამ ქვეყანამ ნატოსა და ევროკავშირში შესვლის დროს შეიძინა.

21 - პარლამენტმა რატიფიცირება გაუკეთა საქართველოსა და ამერიკის სამთავრობათაშორისო შეთანხმებას სამხედრო სფეროში ორი ქვეყნის თანამშრომლობის შესახებ.

25 - საქართველოს ეწვია უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველთა საერთაშორისო საბჭოს დელეგაცია სერ ჰარი ჯონსონის ხელმძღვანელობით.

30 - საქართველოში სტუმრად მყოფი ეუთოს წევრი 15 ქვეყნის ელჩები და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლები ცხინვალში ჩავიდნენ და თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელმძღვანელებს შეხვდნენ.

აპრილი

3 - პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს შეხვდა.

5 - შეიქმნა სახელისუფლებო საარჩევნო ბლოკი "ახალი საქართველოსთვის", პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით.

11 - ირინა სარიშვილმა გააკეთა ოფიციალური განცხადება ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახელისუფლებო ბლოკში გაერთიანების შესახებ.

13 - თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი აშშ-ში გაემგზავრა, სადაც მონაწილეობა მიიღო სიღარიბის დაძლევის პროგრამისადმი მიძღვნილ კონფერენციაში.

18 - საქართველოს ეწვია თურქეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი ჰილმი ოზქოქი.

19 - სოხუმში ააფეთქეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა "ამცახარას" ოფისი.

21 - საგანგებო ბრიფინგზე პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ საქართველოში დიქტატურის შესაძლო დამყარების შესახებ გააკეთა განცხადება.

22 -ვლადისვლავ არძინბას განკარგულებით, რაულ ხაჯიმბა თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრად დაინიშნა.

30 - სოჭში ჩატარდა აფხაზი და აბაზგი ხალხების მეოთხე კონგრესი.

მაისი

5 - პარლამენტში მომხდარი ინციდენტის დროს, ვიცე-სპიკერ ვახტანგ რჩეულიშვილს თავი გაუტეხეს.

6 - თბილისში ჩამოვიდა ნატოს თავდაცვისა და დაგეგმარების დეპარტამენტის დელეგაცია.

7 - პარლამენტმა გაიზიარა პრეზიდენტ შევარდნაძის შენიშვნები და გააუქმა საკუთარი გადაწყვეტილება მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან გათანაბრების შესახებ.

8 - პარლამენტში დაიწყო მთავრობის ანგარიშის მოსმენა.

10 - თავდაცვის სამინისტროსა და "ქართული ლიგა - ომის ვეტერანთა კავშირს" შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

13 - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ოფიციალური ვიზიტით შვედეთში იმყოფებოდა.

14 - საქართველოს ეწვია ნატო-ს გენერალური მდივანი ჯორჯ რობერტსონი.

19 - 140 ქართველი სამხედრო მოსამსახურე, სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად, ერაყში გაემგზავრა.

24 -თბილისში ჩატარდა სუუამი-ს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომა.

30 - პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მონაწილეობა მიიღო სანკტ-პეტერბურგის დაარსების 300 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში.

ივნისი

3 - "ნაციონალური მოძრაობის", "გაერთიანებული დემოკრატების" და "ახალი მემარჯვენეების" ინიციატივით, დემოკრატიული საარჩევნო კანონის მიღების მოთხოვნით, პარლამენტის წინ საპროტესტო აქცია გაიმართა.

7-15 - ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე.

9 - სახელმწიფო მინისტრის მოადგილედ დაინიშნა ანზორ ბალუაშვილი.

9-12 - საქართველოს ესტუმრა მსოფლიო ბანკის აღმასრულებელი დირექტორი ელ მელკერტი.

11 - კოდორის ხეობაში მძევლად აყვანილი გაეროს დამკვირვებლები ტყვეობიდან გაათავისუფლეს.

23 - პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ოფიციალური ვიზიტით ისრაელში გაემგზავრა.

25 - სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" გაიხსნა "აბრეშუმის გზის" პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი.

27-28 - სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი რობერტ კოჩარიანი ოფიციალური ვიზიტით საქართველოს ეწვია.

30 - გორში, სასწავლო ცენტრის ბაზაზე, სერჟანტების მოსამზადებელი სკოლა გაიხსნა.

ივლისი

1 - სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა ცხინვალში რამდენიმე მაღალჩინოსნის დაპატიმრების ოპერაცია განახორციელა.

5 - საქართველოში ჩამოვიდა აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი, რომელიც სახელისუფლებო და ოპოზიციური ბანაკების ლიდერებს შეხვდა. მან მხარეებს საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების რეკომენდაციები შესთავაზა.

15 - "ნაციონალური მოძრაობის" საპარლამენტო ფრაქციის წევრებმა იუსტიციის სამინისტროს შენობაში დაიწყეს შიმშილობა პენსიონერთა დავალიანების დაფარვის თაობაზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების მოთხოვნით.

31 - საქართველოს პარლამენტმა ე.წ. "ბეიკერის გეგმა" ჩააგდო.

აგვისტო

14 -საქართველოს პარლამენტმა საარჩევნო კოდექსში ცვლილებები და დამატებები შეიტანა, რომლის თანახმადაც, მოქმედმა ცესკო-მ არსებობა შეინარჩუნა.

- საქართველოს პარლამენტმა სათბობ ენერგეტიკის მინისტრად მამუკა ნიკოლაიშვილი დაამტკიცა.

18 - "გაერთიანებული დემოკრატების" თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ გააკეთა განცხადება პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძესთან საარჩევნო ბლოკში გაერთიანების შესახებ.

22 - "აღორძინების" თბილისის ორგანიზაციამ დედაქალაქის მერიის წინ საპროტესტო აქცია მოაწყო.

- ბლოკმა "ბურჯანაძე-დემოკრატებმა" თავისი წინასაარჩევნო კამპანია სამეგრელოდან დაიწყო.

25 - ფოთში, თავდაცვის სამინისტროს ეგიდით, დაიწყო ფართომასშტაბიანი სწავლება "იმედი-2003".

სექტემბერი

1 - პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, ეუთოს მიერ შეთავაზებული სამი კანდიდატურიდან, ცესკოს თავმჯდომარედ ნანა დევდარიანი დაამტკიცა.

5 - "ახალი მემარჯვენეებისა" და ლიბერალური პარტიის ლიდერებმა, დავით გამყრელიძემ და რევაზ შავიშვილმა გააკეთეს განცხადება ორი პარტიის გაერთიანების შესახებ.

8 - საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი ჯონი ფირცხალაიშვილი თანამდებობიდან გადადგა და ლანჩხუთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად დარეგისტრირდა.

10 - ცესკო-ს თავმჯდომარემ ნანა დევდარიანმა საოლქო კომისიების თავმჯდომარეები დაამტკიცა.

18 - პრეზიდენტის რწმუნებული ქვემო ქართლში ლევან მამალაძე თანამდებობიდან გადადგა და ბოლნისის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად დარეგისტრირდა. ქვემო ქართლის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულად დაინიშნა ზურაბ კობიაშვილი.

26 - ბოლნისის რაიონის სოფელ ტალავერში თბილისიდან ჩასული "ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტებსა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის შეტაკება მოხდა.

- "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერი ზურაბ ჟვანია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის გენერალურ მდივანს ვალტერ შვიმერს შეხვდა.

ოქტომბერი

5 - საქართველოს ეწვივნენ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ყოფილი მოადგილე სტროუბ ტელბოტი, აშშ-ს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბების ყოფილი უფროსი ჯონ-მალხაზ შალიკაშვილი და სენატორი ჯონ მაკკეინი.

10 - სახელმწიფო კანცელარიაში გაიმართა სახელისუფლებო ბლოკის საარჩევნო პროგრამის პრეზენტაცია.

- საქართველოში იმყოფებოდა უზბეკეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ისლამ ქარიმოვი.

16 - გაიმართა რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური ფორუმი.

22 - პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ეუთოს მოქმედი თავმჯდომარე, ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრი იააფ დე ხოოპ სხეფერი.

- სოხუმში განახლდა რუსეთის მოქალაქეობის დამადასტურებელი პასპორტების გაცემა.

23 - ბათუმში დაარბიეს "ნაციონალური მოძრაობის" საპროტესტო აქცია.

24 - თანამდებობიდან გადადგა კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე.

28 - პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩები მიიღო.

30 - სპორტის სასახლეში გაიმართა ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" პარტიული ფორუმი.

ნოემბერი

2 - საქართველოში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები.

3 - უცხოელი დამკვირვებლები შოკირებულნი საუბრობდნენ იმ დარღვევებზე, რომელიც მათ 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების დროს ნახეს.

4 - ხელისუფლების მცდელობამ, არჩევნების შედეგების გაყალბების გზით შეენარჩუნებინა ძალაუფლება, მოსახლეობა ქუჩაში გამოიყვანა. თბილისის ცენტრს მანიფესტაციებისა და მიტინგების პირველმა ტალღამ გადაუარა.

5 - თბილისის მერიის წინ გამართულ საპროტესტო აქციას საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსული ათი ათასამდე ადამიანი დაესწრო.

- გენერალურმა პროკურატურამ ოპოზიციის ლიდერების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

6 - ბათუმში შეკრებილმა აჭარის პარლამენტმა ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურს ასლან აბაშიძეს ბრიგადის გენერლის სამხედრო წოდება მიანიჭა და შეიარაღებული ძალების სარდლის უფლებამოსილებით აღჭურვა.

9 - პარლამენტის წინ მიმდინარე პერმანენტული საპროტესტო აქციის მონაწილეებთან მივიდა პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, რომლის გამოჩენასაც ხალხი "გადადექი, გადადექი"-ს შეძახილით შეხვდა.

10 - პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ბათუმში ჩავიდა და ასლან აბაშიძეს შეხვდა. სტადიონზე გაიმართა ორი "ბაბუს" მხარდამჭერი მიტინგი.

11 - აჭარის ლიდერი ასლან აბაშიძე ერევანს ეწვია და სომხეთის პრეზიდენტს რობერტ კოქარიანს შეხვდა.

14 - ოპოზიციამ საყოველთაო სამოქალაქო დაუმორჩილებლობა გამოაცხადა და სახელმწიფო კანცელარიის შენობას ცოცხალი ჯაჭვი შემოარტყა.

18 - პარლამენტის მიმდებარი ტერიტორია "აღორძინების" მიერ პრეზიდენტ შევარდნაძის მხარდასაჭერად აჭარიდან ჩამოყვანილმა ადამიანებმა დაიკავეს.

- საქართველოში ჩამოვიდა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე ლინ პასკო.

19 - თანამდებობიდან გადადგა საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის ხელმძღვანელი ზაზა შენგელია.

20 - ცესკო-მ დაამტკიცა 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგები, რომლის მიხედვითაც, გამარჯვებულად სახელისუფლებო ბლოკი და "აღორძინების კავშირი" გამოცხადდა.

- საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გერმანიის საკურორტო ქალაქ ბადენ-ბადენში 11 მილიონ დოლარად შეფასებული ვილა შეიძინა.

- "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი მიხეილ სააკაშვილი დასავლეთ საქართველოში გაემგზავრა, საიდანაც თბილისის მიმართულებით საპროტესტო მარში დაიწყო.

23 - საქართველოში განხორციელდა სახალხო დემოკრატიული რევოლუცია, რომელიც მოგვიანებით "ვარდების რევოლუციად" მოინათლა. პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე თანამდებობიდან გადადგა. კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს დაეკისრა.

25 - საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება 2004 წლის 4 იანვარს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების შესახებ.

26 - მოსკოვში გაიმართა აჭარის, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ლიდერების შეხვედრა.

- "ნაციონალური მოძრაობისა" და "ბურჯანაძე-დემოკრატების" შეთანხმების საფუძველზე, მათ, მიხეილ სააკაშვილის სახით, საპრეზიდენტო არჩევნებში საერთო კანდიდატი ეყოლებათ.

27 - საქართველოს პარლამენტმა ზურაბ ჟვანია, ზურაბ ნოღაიდელი და გიორგი ბარამიძე, შესაბამისად, სახელმწიფო მინისტრის, ფინანსთა მინისტრის და შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობებზე დაამტკიცა.

28 - თანამდებობებიდან გადადგნენ ცესკო-ს თავმჯდომარე ნანა დევდარიანი და საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი.

30 - საქართველოს პარლამენტმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ ზურაბ ჭიაბერაშვილი, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრად თედო ჯაფარიძე დაამტკიცა.

დეკემბერი

1-2 - საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ მასტრიხტში (ნიდერლანდები) მონაწილეობა მიიღო ეუთოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სხდომის მუშაობაში.

5 - საქართველოს ეწვია აშშ-ს თავდაცვის სახელმწიფო მდივანი დონალდ რამსფელდი.

8 - გურამ აბსანძე სახელმწიფო მინისტრის მოადგილედ დაინიშნა.

10 - ბათუმში გაიმართა ასლან აბაშიძისა და ნინო ბურჯანაძის შეხვედრა.

12 - ვახტანგ რჩეულიშვილმა სოციალისტური პარტიის თავმჯდომარის თანამდებობა დატოვა.

13 - საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი კიევში ჩავიდა და უკრაინის ოპოზიციური ძალების ერთერთ ლიდერს ვიქტორ იუშჩენკოს შეხვდა.

15 - დაიწყო ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაცია.

- აზებაიჯანის ექს-პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევის დაკრძალვის ცერემონიაზე ბაქოში მყოფი საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს შეხვდა.

- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი თედო ჯაფარიძე ორდღიან ოფიციალურ ვიზიტად მოსკოვს ეწვია.

16 - ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ და ტრადიციონალისტთა კავშირმა კოალიცია შექმნეს.

- საქართველოს ესტუმრა დსთ-ს აღმასრულებელი მდივანი იური იაროვი.

20 - ბათუმში გაიმართა ასლან აბაშიძისა და ზურაბ ჟვანიას შეხვედრა.

- აჭარის ტერიტორიაზე 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების მოთხოვნით, ბათუმში საზოგადოებრივი კომიტეტი შეიქმნა, რომელსაც სათავეში ლევან კაჭარავა ჩაუდგა.

21 - საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ პანკისის ხეობა მოინახულა.

25 - რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა მოსკოვში მიიღო საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე.

26 - საქართველოს პარლამენტმა იუსტიციის მინისტრად დაამტკიცა ზურაბ ადეიშვილი.

29 - აჭარის ლიდერმა ასლან აბაშიძემ გააკეთა განცხადება აჭარის ტერიტორიაზე 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების შესახებ.

მოამზადა
გიორგი ასანიშვილმა

www.24hours.ge 24 B

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 202424 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

ბეჭდილ მასალას დავეყრდნობი და ამით ჩემი პირდაპირი მოვალეობაც იქნება შესრულებული...

თავიდანვე ვიტყვით, რომ სტატიის ავტორიცა და მკითხველიც ერთნაირ მდგომარეობაში იმყოფებიან: მათ გაცილებით ნაკლები იციან საქმის ვითარების გარშემო, ვიდრე საქმეში მონაწილე სუბიექტებმა. აი, ვერიკო თევზაძე გულწრფელად აღიარებს ამას თავის მასალაში *მოქალაქის სტატუსით მოსაუბრე მომავალი მთავარსარდალი* (31 დეკემბერი). სტატია ეხება ბრიფინგს, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა მას შემდეგ გამართა, რაც თავდაცვის სამინისტროს გაფართოებულ კოლეგიას ესაუბრა დახურულ კარს მიღმა.

სტატიის ავტორი პირდაპირ მიანიშნებს, რომ პრეზიდენტობის კანდიდატი ქარაგმებით საუბრობდა. ზედმეტად პირდაპირ კითხვაზე "ვინ იქნება თავდაცვის ახალი მინისტრი?" (როგორც ეტყობა, რომელიღაც ჟურნალისტი ვერ გარკვეულა, რომ ზოგი შეკითხვის დასმას არანაირი აზრი არა აქვს) სააკაშვილი პასუხობს: "კარგად მახსოვს, ბატონი დავითი როგორ ლამაზად გამოიყურება კოსტიუმჰგონია, იმ ჟურნალისტის მსგავსად შეიძლება ჩავარდეს უხერხულ მდგომარეობაში.

მაგრამ პრეზიდენტის კანდიდატის მეტყველებაში სხვა ქარაგმებსაც ვხვდებით, რომლებიც წარსულთან მიმართებაში გამოიყენება და ამიტომ ნაკლებადაა გამართლებული. პოლიტიკოსის უმთავრესი საზრუნავი ნისლიანი მომავალი და მზიანი წარსული უნდა იყოს. ამიტომაც თუნდაც ახლახან გადადგმული ნაბიჯის ახსნა პოლიტიკოსს არ უნდა ეშინოდეს ცხადი და საქმიანი სიტყვებით.

ვნახოთ როგორაა საქმე. თურმე 29 დეკემბერს მიხეილ სააკაშვილმა (ამ დროისთვის პრეზიდენტობის კანდიდატი) და ზურაბ ჟვანიამ (სახელმწიფო მინისტრი) ერთობლივად მიიღეს გადაწყვეტილება რკინიგზის ტენდერის შედეგების გაუქმების შესახებ. როგორ ხსნის ამ ფაქტს სააკაშვილი? წავიკითხოთ ვერიკო თევზაძის სტატიაში მიხეილ სააკაშვილის სიტყვები: "ტენდერთან დაკავშირებით სერიოზულად აქტიურობდა რამდენიმე კრიმინალური დაჯგუფება, მათ შორის, გარკვეული საძმოები. არ დავუშვებ, საქართველოში კრიმინალებმა დანიშნონ თანამდებობის პირები, მაფიოზურმა ჯგუფებმა ჩაიგდონ ხელში ქართული ეკონომიკის მნიშვნელოვანი სფეროები. მე ველაპარაკე ზურაბ ჟვანიას, რომელმაც მითხრა, რომ შედეგების გაუქმებას აპირებს. პრობლემა არ არის — იგივე კანდიდატებმა მიიღონ მონაწილეობა ტენდერში, ოღონდ კონკურსი იყოს გამჭვირვალე."

აქ კი ნამდვილად ქარაგმას აქვს ადგილი. თანაც ეს ქარაგმა ორი "უკანონო" თვისებით ხასიათდება: იგი ეხება წარსულს და ძალიან არადამაჯერებელია. რას ნიშნავს "სერიოზულად აქტიურობდა რამდენიმე კრიმინალური დაჯგუფება" — რაო, ეს დაჯგუფებები ლეგალურად არსებობენ, გაშიფრულნი არიან, სახელმწიფო მინისტრს თავიანთი სახელით ესაუბრებიან თუ ზურაბ ჟვანია მათგან მუქარის ანონიმურ წერილებს იღებდა? ერთი სიტყვით, კონკრეტულად რას ნიშნავს სიტყვები "სერიოზულად აქტიურობდა", როცა საქმე კრიმინალურ (შესაბამისად, კონსპირირებულ) ორგანიზაციებს ეხება? რას ნიშნავს სიტყვები "მათ შორის გარკვეული საძმოები"? ხომ გახსოვთ, "ზასტოის" დროინდელი ერთი სერიალიდან სიმღერა: "если кто-то кое-где у нас порой честно жить не хочет" — ბოლოს და ბოლოს, მართლა გარკვეულია თუ არა, სახელდობრ რა საძმოები აქტიურობდნენ? თუ გარკვეულია, რატომ არავინაა დაპატიმრებული? საერთოდ, რომელი მონაცემების საფუძველზე გაკეთდა დასკვნა, რომ გიორგი ლეჟავას ბიზნეს-პარტნიორები მაინცდამაინც კრიმინალური დაჯგუფებებია?

აქ მე თვითონ ერთგვარად გამოვამჟღავნე საკუთარი თავი. სხვა სიტყვებით კი, მივანიშნე, რომ სტატიის დაწერამდე რამდენიმე კომპეტენტურ წყაროსთან მქონდა კონსულტაცია. გამოვიყენებ ჩემს უფლებას და წყაროს არ დავასახელებ. ვიტყვი მხოლოდ პასუხს:

"არჩევნებამდე გიორგი ლეჟავას ბიზნეს პარტნიორებმა ძალიან შეაწუხეს ყველა თავიანთი კანდიდატურის ლობირებით. ამიტომ არ უნდა შეიქმნას იმის პრეცედენტი, რომ საქართველოში საკვანძო თანამდებობებზე ადამიანები ვიღაცის ლობირებით ისხდნენ. რა გონიერი და პატიოსანი კაციც არ უნდა იყოს გიორგი ლეჟავა, მას საქმე უკვე გაუფუჭეს მისივე მეგობრებმა."

კეთილი და პატიოსანი. როგორც არ უნდა იყოს საქმე, ორი ფრიად არასასიამოვნო პრეცედენტი უკვე შეიქმნა: 1) დაუსაბუთებლად ჩირქი მოსცხეს ადამიანის რეპუტაციას; 2) ფარსამდე დაიყვანეს ბოლომდე და ფორმალური კანონის დაცვით განხორციელებული ტენდერი.

რა თქმა უნდა, დემოკრატიულ ღირებულებებზე აღზრდილ პოლიტიკოსებს, რომლებთაც მაინც უნდათ რკინის თუ სხვა რამ ლითონის ხელი დაადონ საკადრო პოლიტიკას, ვურჩევდი ყოფილი "ცეკას" მდივნებისაგან აეღოთ რამდენიმე გაკვეთილი. აი, მაგალითად, როგორ ქმნიდა როინ მეტრეველი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეებს: კი მირჩევნია, მხოლოდ კონსტიტუცია იყოს, მაგრამ ხალხს ასე ჰგონია) და ამის შემდეგ პრეზიდენტი გახდება, ისიც წერია, რომ ძე კაცისა არის მეუფე შაბათისა.

სწორედ სისტემა, თუნდაც საკრალური იყოს, ემსახურება ადამიანსა და მის კეთილდღეობას, და არა პირიქით.

მეც რომ ქარაგმულობაში არ დამდონ ბრალი, ვიტყვი, რომ გიორგი (გელა) ლეჟავას 1989 წლიდან ვიცნობ, როცა ის ჯერ კიდევ ხელოვნებათმცოდნე იყო. სხვათა შორის, არცთუ ურიგო. ახლაც მახსოვს მასთან ხანგრძლივი და შინაარსიანი საუბრები სხვადასხვა თემაზე, მახსოვს, სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების პირველივე მონაბერისთანავე როგორ არ იშურებდა იგი ძალღონეს, საქართველოში რამე რომ შეცვლილიყო ადამიანის სასიკეთოდ, ხვდებოდა ადამიანებს, წერდა წერილებს, მგზავრობდა, მე კი ჩემი ჩვეული ქედმაღლური პოზის სიმაღლიდან სასაცილოდ მიმაჩნდა ეს ყველაფერი...

თქვენც შეგიძლიათ გაიცნოთ გელა ლეჟავა. ამისთვის მაია ჭალაგანიძის მიერ მომზადებული ინტერვიუც გამოდგება (27 დეკე-

ნოდარ ლადარია

ერთობ უცნაური რამაა პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონია. კაცი ფიცს დებს წიგნზე, რომელ წიგნზე? — მგონი მხოლოდ საქართველოს კონსტიტუცია უნდა იყოს, მაგრამ ხალხში გავრცელებული აზრით (ასე, ათიოდე ადამიანს ვკითხე და ყველამ ერთი და იგივე პასუხი გამცა) ეს წიგნი ბიბლიაა. ჩვენც ამ აზრს დავეთანხმოთ... ერთი სიტყვით, ფიცს დებს წიგნზე, რომელშიც წერია, რომ არც საკუთარი თავი უნდა დაიფიცო, არც ღმერთი და არც იერუსალიმი. ეს რაღამ მოიტანა, ნეტავი? — ერთი მხრივ, იმან, რომ გუშინ საპრეზიდენტო არჩევნებში მივიღე მონაწილეობა. მეორე მხრივ კი იმან, რომ დღესაც გვხვდებიან ჩვენს ირგვლივ ადამიანები, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ამ ფიცის დროს რაღაც საკრალური ხდება, რაღაც განსაკუთრებული მადლი ჩამოდის სახელმწიფოს მომავალ მეთაურზე. კაცმა რომ თქვას, თუ ეს ასე არაა, მაშინ რაღა საჭიროა ეს ინაუგურაციის ცერემონია? — საჭიროება კი მაინც არსებობს — ორი რამ უნდა დადგინდეს აუცილებლად და საკმაო სიზუსტით: რაზე აგებს პასუხს ქვეყნის პრეზიდენტი და დროის რომელი მომენტიდან ეთვლება ეს პასუხისმგებლობა. და თუ ამავე დროს ამ არსებითი მომენტების განხორციელებას რაღაც რომანტიული სახე მიეცემა, ეს პრეზიდენტად შედგომის ფაქტს სანახაობრიობას ანიჭებს და მისი საჯაროობაც უფრო ასატანი თუ არა, ნაკლებ მოსაწყენი მაინც ხდება.

სულ ესაა: საკრალურობის ელფერი კი — ბიბლიის ძვირფასი გამოცემით დაწყებული და საგანგებოდ მოწვეული პერსონალიებით დამთავრებული — მხოლოდ დეკორაციის ელემენტებია. თუმცა ამის გამო თვით მოვლენა მნიშვნელობას არ კარგავს, პირიქით, წარსულის ტვირთისაგან გათავისუფლებული გონება მასში მრავალ ახალ საზრისს აღმოაჩენს. აი, გუშინდელ ჩემს მოქმედებას ანუ არჩევნებში მონაწილეობასაც ჰქონდა რამდენიმე დაფარული საზრისი...

გუშინ მიხეილ სააკაშვილს მივეცი ხმა. ჯერ არ ვიცი შედეგები, თუმცა ეს მხოლოდ ფორმალური, ასე ვთქვათ, "სასხვისო" აღიარებაა, რადგან შედეგები, საჯარო შედეგები არა მარტო ჩემი, არამედ მრავალი სხვა ადამიანის ერთჯერადი აქტის შეჯამებით მიიღება. ამისაგან დამოუკიდებლად არის ერთი მნიშვნელოვანი, ასე ვთქვათ, "სათავისო" შედეგი, რომელიც უკვე ვიცი, როგორიც არ უნდა იყოს ქვეყანაში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების ჯამური პასუხი. საარჩევნო ყუთში ბიულეტენის ჩაგდებით მე არა მარტო ჩემი მოქალაქეობრივი ნება გამოვხატე ერთჯერადად, არამედ სინდისის წინაშე მოვიპოვე ამ ნების შემდგომში უწყვეტად გამოთქმის უფლება. არჩევნებზე მისვლით მე მოვიპოვე მთავრობის მიმართ მოქალაქეობრივ ოპოზიციაში დგომის, ჩემს მოქალაქეობრივ მოთხოვნათა წაყენების უფლება.

ახლა უკვე შემიძლია თავისუფლად გამოვთქვა ყველაფერი, რასაც ჩემი სინდისი, ღირსების გრძნობა და ინტელექტუალური დისციპლინა მკარნახობს. ადრე მხოლოდ გულში მეცინებოდა, როცა მიხეილ სააკაშვილი პარლამენტში თავის შესვლას მაინცდამაინც მიქაელ მთავარანგელოზის ხსენების დღეს უკავშირებდა, შევარდნაძის გადადგომას კი გიორგობის დღესასწაულს. ახლა კი ხმამაღლა ვიტყვი, რომ ვიღაცამ ძალიან ზერელედ და ზედაპირულად აუხსნა დღევანდელი საქართველოს ყველაზე წარმატებულ პოლიტიკოსს ქრისტიანული სარწმუნოების საფუძვლები. მაგრამ ვშიშობ, ამაზე მომავალშიც მრავალჯერ მომიწევს საუბარი...

ახლა ერთ კონკრეტულ შემთხვევას განვიხილავ მხოლოდ, მით უმეტეს, რომ "24 საათში" დაში, მაგრამ ამასთანავე, მას ძალიან უხდება სამხედრო ფორმა." ეს სიტყვები კვლავაც შეიძლება შევადაროთ ჩემს საყვარელ ადგილს შექსპირის "ჰამლეტიდან" — "ბოროტი კაცი დანიაშიც ბოროტი არის" — ჭეშმარიტების დასაფარავად გამოყენებული არაფრისმთქმელი წინადადება. მაინც რატომ პასუხობს სააკაშვილი ქარაგმულად? მიზეზი ორმაგია: ჯერ ერთი, პოლიტიკოსმა თითქმის ყოველთვის ქარაგმულად უნდა უპასუხოს, როცა შეკითხვა მომავალს ეხება. ეს გარემოება ჟურნალისტებმაც კარგად უნდა შეითვისონ და მომავალში თავი არ შეიწუხონ ფუჭი გასროლებით.

აქ, მოდით, ერთ ერუდიტულ გადახვევას შემოგთავაზებთ. თავის ნაწარმოებში "პოლიტიკოსის მოკლე სახელმძღვანელო" კარდინალი ჯულიო მაძარინი (ა. დიუმას რომანებიდან გვახსოვს) ასეთ რჩევას იძლევა პოლიტიკოსის დაფარული აზრების გასაგებად: ჯერ უნდა შევქმნათ ვარაუდი ადამიანის შესაძლო განზრახვის შესახებ, შემდეგ ავირჩიოთ სრულიად საწინააღმდეგო არგუმენტი და დავიწყოთ მისი ქება. ასე მოხდება ადამიანის პროვოცირება, ის ჩაერთვება დისკუსიაში და უნებლიეთ გაამჟღავნებს გულისნადებს.

ასე რომ, იმ უიღბლო ჟურნალისტს თუ იმის გაგება უნდოდა, რა ბედი ელის დავით თევზაძეს, შეკითხვა, მაგალითად, ასე უნდა დაესვა: "შესაძლებელია თუ არა ჩვენი საკადრო დეფიციტის პირობებში მოინახოს კანდიდატურა, რომელიც რევაზ ადამიას შეცვლის გაროლში?". ჰო, ეს ისე, ხუმრობის სახით.

მეორე მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ინაუგურაციის ცერემონიამდე სააკაშვილი ვერ უპასუხებს იმ კითხვებს (მით უმეტეს, სულელურსა და უპერსპექტივოს), რომელიც მხოლოდ პრეზიდენტს შეიძლება დავუსვათ.

ესეც ინაუგურაციის ცერემონიის კიდევ ერთი დაფარული საზრისი. ვისაც ის საკრალური აქტი

ყველაფერი ეტაპობრივად და ყოველგვარი ხმაურის გარეშე წყდებოდა არჩევნებამდე, თვით არჩევნები კი პროცესის სრულიად უსარგებლო და არაარსებითი დაგვირგვინება იყო. თანაც ფორმალური მხრიდან წყალი არ გაუვიდოდა! საინტერესოა, ამ კონსულტაციების იდეა თვით სააკაშვილსაც ხომ არ მოუვიდა უკვე თავში: აბა, რატომღა დაამშვიდებდა და თავის კაბინეტს დაუბრუნებდა უკვე გადასადგომად თითქმის ოფიციალურად გამზადებულ რექტორს?

მაგრამ კვლავ ჩვენს ცხვრებს დავუბრუნდეთ. რამდენადაც "გამარჯვებული ხალხის ტელევიზიით" ვნახეთ, სარკინიგზო ტენდერი საკმაოდ გამჭვირვალედ ჩატარდა. თვით საბოლოო შედეგების გამოსაცხადებლადაც არ დაიშურეს არხის მესვეურებმა პირდაპირი ეთერი. მაშინ რას უნდა ნიშნავდეს მიხეილ სააკაშვილის შემდეგი სიტყვები: "იგივე კანდიდატებმა მიიღონ მონაწილეობა ტენდერში, ოღონდ კონკურსი იყოს გამჭვირვალე." აქ აშკარად იკითხება შემდეგი მესიჯი: "*იგივე კანდიდატებმა მიიღონ მონაწილეობა ტენდერში, ოღონდ კონკურსის შედეგი განსხვავებული უნდა იყოს.*" არა, იქნებ მიხეილ სააკაშვილს ამის თქმა სულაც არ უნდოდა, მაგრამ კონტექსტი ყოვლისშემძლეა, სწორედ კონტექსტი განსაზღვრავს ტექსტის საზრისს და ჩვენც ასე ამოვიკითხეთ. ნუთუ ასეთი პრეცედენტის შექმნა ნაკლებად საშიშია?

ბოლოს და ბოლოს, გიორგი ლეჟავა სულაც რომ თაღლითი აღმოჩნდეს, ამ პრობლემის გადაჭრა იმ ძლიერსა და სამართლებრივ საქართველოში, რომელსაც გვპირდებიან, გაცილებით უფრო ადვილი იქნება სახელმწიფოსათვის, ვიდრე გიორგი ლეჟავასათვის იმის მტკიცება, რომ ის ქუჩის ყაჩაღი და საძმოს წევრი არაა. ამისთვის კი ნამდვილად ღირს რისკი, რადგან იმ წიგნში, რომელზეც პრეზიდენტობის გამარჯვებული კანდიდატი დაიფიცებს (მე მბერი, მაღალი რანგის სატრანსპორტო სერვისი საქართველოს პრიორიტეტია). გადაიკითხეთ ეს ინტერვიუ და დაფიქრდით, შეძლებდა თუ არა აკაკი ჩხაიძე კითხვებზე ასეთი პასუხების გაცემას?

იქნებ ისიც იკითხოს ვინმემ, რკინიგზაში რა უნდა ხელოვნებათმცოდნეს? ამ კითხვას ამ კონკრეტულ შემთხვევაში სერიოზულად ვერ მივიღებ, მაგრამ ხუმრობის საბაბად კი გამოვიყენებ.

ერთი ჭორი დადის თბილისში. მეც ისე უნდა გაგაცნოთ, როგორც ჭორი. ტყუილიც რომ იყოს, ერთი რამის უტყუარი გამომხატველია: ხალხის დამოკიდებულებისა...

ჰოდა, ამბობენ, აკაკი ჩხაიძესაც ყვარებია ხელოვნება. თავისი აგარაკის მარანში კედლები სულ მთლად მოხატული ჰქონია. ამ "ფრესკებზე", რა თქმა უნდა, უხვი ქართული სუფრაა გამოსახული. სუფრას უსხედან დიდი ქართველები: შოთა რუსთაველი, ილია ჭავჭავაძე, ივანე ჯავახიშვილი. კი მაგრამ, სუფრას თამადაც ხომ სჭირდება! — აბა, თუ მიხვდებით, თამადად ვინაა გამოსახული? ვიღაცა რუსთველზე იფიქრებს, სხვა ილიაზე, სხვა კიდევ გალაკტიონზე... ყველა შეცდება. თურმე ნუ იტყვით და სათამადო ადგილზე დაბრძანაბული თვითონ აკაკი ჩხაიძეა. მე რკინიგზის არაფერი გამეგება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, გიორგი ლეჟავა იმდენადვე აჯობებს თავის წინამორბედს თავის უშუალო საქმეში, რამდენადაც მხატვრულ გემოვნებაში.

ბოლოს და ბოლოს, ეს ჩემი პირადი აზრია... მე არც იმას გამოვრიცხავ, რომ გიორგი ლეჟავას დანიშვნა ამ თანამდებობაზე რაღაც მიზეზებით არც იყოს გამართლებული. მაგრამ, ბატონებო, იდიოტად ნუ მთვლით ნურც მე და ნურც მთელ ქართველ ერს: მოგვახსენეთ აშკარად და გასაგებად, რამ განაპირობა თქვენი ესა თუ ის ნაბიჯი. მომავალზე კი, ჯანდაბას, არაფერს გკითხავთ.

ბარიკადების ხელოვნება "ცისფერ გალერეაში"

რევოლუცია ცხოვრებაში

ანა კორძაია-სამადაშვილი

არჩევნებზე მისულთა რაოდენობა ჯერ ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ შაბათს გახსნილი გამოფენის დამთვალიერებელთა რიცხვით რომ ვიმსჯელოთ, ძალიან ბევრი ხალხი უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, "ცისფერ გალერეაში" სწორედ საპრეზიდენტო არჩევნების მხარდასაჭერ გამოფენაზე, უამრავი ადამიანი ირეოდა, და შემდეგაც, როცა დარბაზში საფუძვლიანად გავიყინე და რუსთაველის გამზირს ჩავუყევი, გზად ეროვნული გალერეისკენ მიმავალი უამრავი ნაცნობი შემომეყარა.

როცა სიტყვათშეთანხმება "ხელოვნება ბარიკადებზე" მესმის, აუცილებლად დელაკრუას ბარიკადაზე შემომდგარი ქალი მაგონდება ხოლმე. იმას, რაც ქართველმა ხელოვანებმა გამოფინეს, ამ რევოლუციურ შემართებასთან საერთო არაფერი ჰქონია, მას მხოლოდ ამ აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორის, გია გუგუშვილის და გაზეთ "24 საათის" ფოტოგრაფების ნამუშევრებში თუ იგრძნობდით, ხოლო ათიოდე ნამუშევარი 23 ნოემბერს, რუსთაველის გამზირზე "დაიბადა".

მთავარი ამ შემთხვევაში თავად ამბავი იყო, დიდი გამოფენა საპრეზიდენტო არჩევნების წინადღეს, და ყველაფერმა სწორედ ისე ჩაიარა, როგორც ხელოვანები ვარაუდობდნენ, ანუ წარმატებით. და რაც არ უნდა იქირქილონ ავისმოსურნეებმა, ქართველები საახალწლო ღრეობას გადაჰყვებიანო, ამაყად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ თბილისელები არჩევნებისთვის დიდი შემართებით ემზადებოდნენ. თავად განსაჯეთ: ყველაზე აპოლიტიკურმა საზოგადოებამ, არტისტებმა, უზარმაზარ დარბაზებში ექსპოზიცია მოაწყო, და მის სანახავად მრავალი ადამიანი მივიდა. გარწმუნებთ, ისინი იმისთვის არ მისულან, რომ მაღალი ხელოვნებით დამტკბარიყვნენ. ისინი იმის დასამტკიცებლად მივიდნენ, რომ ყველანი ერთად ვართ.

რევოლუცია ფერწერაში - ეჟენი დელაკრუა 1830 წელი

ვარდების კი არა "ვარდისფერი რევოლუცია"

მოსკოვში ტატო კოტეტიშვილი უმცროსის ფოტოგამოფენა გაიხსნა

ტატო კოტეტიშვილის (უმცროსი) ფოტო

თეონა ჯაფარიძე

თუ 16 წლის ხარ, ხელში ფოტოკამერა გიჭირავს, ბუნებით ფერმწერი ხარ და შენს თვალწინ "ვარდების რევოლუცია" მოხდა, მაშინ აუცილებლად დაინახავ და შეამჩნევ რევოლუციის ფერსაც და მას "ვარდისფერ რევოლუციად" მონათლავ.

გუშინ, არჩევნების დღეს, როცა ქართველები პრეზიდენტს ვირჩევდით, მოსკოვის ცენტრში, საღამოს 7 საათზე, **ტატო კოტეტიშვილი (უმცროსი)** თავის ფოტოგამოფენას მასპინძლობდა: "ვარდისფერი რევოლუცია" ანუ Розовая Революциа და არა Революция роз – ერთდროულად სიტყვებისა და ფერის თამაში შესთავაზა ტატომ მოსკოველებს.

გამოფენა მოსკოვურ არტ-წრეებში პოპულარულ კლუბ "აბშუ"-ში, ტრეტიაკოვის გალერეის ახლოს გაიხსნა. "აბშუ" მოსკოვში უკვე ერთი წელია რაც ერთ-ერთი მოდური კლუბის იმიჯით სარგებლობს. სახელწოდება – "აბშუ" 70-იანი წლების პოპულარული ბალტიისპირული აგარაკიდან მოდის, სადაც იმ დროის "არტ-ტუსოვკა" იკრიბებოდა. მის დამაარსებლებს, მიტია ბორისოვსა და დმიტრი იამპოლსკის მოსკოვში მოდური კლუბებისა და წიგნის სახლების პროექტებით იცნობენ. მაგალითად, მათ მიერ შექმნილ კლუბ "გოგოლში" რუსული არყით, ყინულითა და ციგურებით გიმასპინძლებენ. "აბშუ" სიმპათიური დიზაინითა და დიდი ფართით გამოირჩევა, რომლის სივრცესაც ისეთ ორიგინალურ გამოფენებს უთმობენ, როგორიც ქართველი ხელოვანის –"ვარდისფერი რევოლუციაა".

გამოფენის პრეს-რელიზში სწერია, რომ წინა რევოლუციის დროს, რომელიც, ფაქტობრივად სამოქალაქო ომის სახელწოდებით შევიდა ისტორიაში, სამი წლის ტატოს სახლი დაეწვა. "ვარდების რევოლუციას" კი ის 16 წლისა, ხელში ფოტოკამერით შეხვდა.

კლუბში ტატოს 31 ნამუშევარია გამოფენილი. ჟანრი დოკუმენტურია, მაგრამ მათში ბევრია ფერწერა. სწორედ ამიტომაა ტატოსეული რევოლუცია ვარდისფერი.

იმედი

ასე დაიწყო კონცერტი

ანა მაყაშვილი

სულ არ არის აუცილებელი იყო "როლინგსტოუნზი", რომ ხალხი აიცეკვო, არ არის აუცილებელი იყო "რედიოჰედი", რომ ხალხი შენთან ერთად ამღერო, ამისთვის არც ისაა აუცილებელი, ხალხმა შენი სიმღერები იცოდეს ან მათი სისხლი და ფილტვები სპირტითა და მარიხუანით იყოს გაჟღენთილი. ამისათვის საკმარისია, დაიბადო და რამდენიმე აზრიანი წელი ისეთ გეოპოლიტიკურ მონახაზში იცხოვრო, რომ სულ ნანობდე ასე რომ მოხდა; და მერე, - უცებ და მოულოდნელად აღმოაჩინო, რომ ყველაფერი არც ისე ცუდად არის და რაღაც უფორმო ტერიტორიის კი არა, შეიძლება შენც ჩვეულებრივი ქვეყნის შვილი ხარ; საუკუნეების წინანდელი, ყველასგან მივიწყებული წარსულის (კარგია, რომ წარსული სულ არსებობს, განსაკუთრებით ჩვენთვის) და ბუნდოვანი მომავლის (მომავალი რომ ყოველთვის ბუნდოვანია და რომ ვერასდროს იწინასწარმეტყველებ, ეს ყველამ იცის. და საერთოდ, მომავლის იმედით ცხოვრება ყველანაირი ჭირის დროს საუკეთესო გამოსავალია, - ესეც კაცობრიობის გამოცდილებით დამტკიცებული ფაქტია). იმედით კი არ იტრაბახო, არამედ აღმოაჩინო, რომ იმედისმომგვრელი მომავალი შეიძლება მალე აწმყო გახდეს.

ამაში 3 იანვარს რესპუბლიკის მოედანზე გამოსულმა მუსიკოსებმა დამარწმუნეს. არა, იმაში კი არა, რომ მომავალი აწმყოდ იქცევა ან რამე მსგავსში, უბრალოდ იმაში, რომ ბევრი ხალხის გასამხიარულებლად არ არის საჭირო მაინცდამაინც ბრწყინვალე მუსიკოსი იყო. მომავლის აწმყოდ ქცევაში კი იქ მყოფმა ხალხმა დამარწმუნა – მათმა სიმრავლემ, მხიარულებამ და კეთილგანწყობამ იქ არსებული ყველაფრის მიმართ; უფრო სწორად, იმედი მომცა.

მოკლედ, კარგად გავერთე. სცენის უკან დავით აღმაშენებელი (ძეგლი) იდგა, იმის უკან – ივერია (სასტუმრო), რომლის ბინადრებს მუსიკოსები სალამს უძღვნიდნენ და მშობლიურ მიწა-წყალზე (აფხახეთში) დაბრუნების პირობას აძლევდნენ; ისინი, თავის მხრივ, ფანჯრებიდან ფერად "ცეცხლებს" ისროდნენ; საერთოდ, ცეცხლებს ყველა მხრიდან ისროდნენ და ისინი მთვარეს ჩაუქროლებდნენ ხოლმე; ციდან წვიმასავით იბნეოდა კარგად გაფორმებული არჩევნების მოსაწვევები და რვა სიმღერით სავსე კასეტები ასეთნაირადვე გაფორმებული გარეკნებით; სცენაზე კეთილი მუსიკოსები (33-ა, "ზუმბა", "მწვანე ოთახი", რობი კუხიანიძე, "სოფთ ეჯექთი") თავიანთ ინსტრუმენტებსა და ხმებს აწკრიალებდნენ. ყველაზე ამაყი განცხადება რობიმ გააკეთა, რომელიც სულ რამდენიმე წუთით შეუერთდა "სოფთ ეჯექთს": ვისაც გადამდგარი პრეზიდენტი ეცოდება, იმის დედას შ...ცი-ო; ამან, მუსიკის ინტელიგინტური ფონის გამო, ხალხში ამბივალენტური განწყობა გამოიწვია, მაგრამ შეურაცხყოფილი და ნაწყენი არავინ დარჩენილა. რატომღაც ძალიან მომეწონა ვახო ბაბუნაშვილის მადლობა პოლიციელების მიმართ და განსაკუთრებით, ხალხის რეაქცია ამ მადლობაზე – უამრავი სტუდენტი სიხარულით შეურთდა ვახოს და სულ "უუ" იძახა; რას ვიფიქრებდი, 16-25 წლის ადამიანები პოლიციას ასე თბილად თუ მოიხსენიებდნენ. სცენაზე დატრიალებულმა ამბებმა კულმინაციას სცენაზევე გია ბარამიძის გამოჩენისას მიაღწია, რომელმაც რამდენიმე მადლობა და მოწოდება გააკეთა და დაგვტოვა.

და მე იმედი მაქვს, ამდენ ხალხს შუაგზაზე, ასე პირღიას არ დაგვტოვებენ, მომავლი აწმყოდ იქცევა, აღმოჩენები წყალში არ ჩაგვეყრება და არ შეგვიპყრობს ისევ სინანული, რომ უფორმო ტერიტორიის შვილები ვართ; თუ ასე არ მოხდა, აღარაფერი იქნება საკმარისი იმისთვის, რომ მუსიკოსებმა ხალხი აიცეკვონ, აამღერონ, გაამხიარულონ (ალკოჰოლი და მარიხუანაც კი) და მერე ადგნენ და ჩამომიყვანონ "როლინგსტოუნზი" ან "რედიოჰედი". რომ ვერ ჩამომიყვანენ, ვიცი და იმიტომ ვწერ, თორემ, რომ ჩამოიყვანონ, სიამოვნებით გავაგრძელებდი ცხოვრებას იმ ტერიტორიაზე, სადაც 18 წელი მიცხოვრია.

საკონცერტო კურიოზები

ჯენის ჯოპლინი

არეთა ფრანკლინი

ჯენის ჯოპლინი: "ჩემთვის სცენაზე შესრულება არის სასიყვარულო აქტის დამყარება 25 ათას ადამიანთან ერთდროულად."

■ ■ ■

ჯონ ბონჯოვისთვის სცენაზე ყოფნა "ყველაზე დიდი გრძნობაა მსოფლიოში"

■ ■ ■

მაიკლ ჯექსონი: "სცენაზე ყოფნას არაფერი შეედრება - ამას სიტყვებით ვერ აღწერ."

■ ■ ■

სლაი სტოუნმა თავისი ერთგულება სცენისადმი 1974 წლის 5 ივნისს დაამტკიცა. ამ დღეს მან "მედისონ სქვეარ გარდენის" სცენაზე 10 ათასი მაყურებლის წინაშე ჯვარი დაიწერა კეტი სილვაზე და შემდეგ კონცერტი გამართა.

■ ■ ■

იმ მუსიკოსებს შორის, რომლებიც სცენაზე გაშიშვლდნენ, ალბათ, ყველაზე ცნობილი **იგი პოპია**. კონცერტის დროს მან მაყურებელს საკუთარი მამაკაცური ღირსება წარუდგინა.

■ ■ ■

მიუხედავად იმისა რომ, **არეთა ფრანკლინმა** 1968 წლის ნოემბერში ჰონოლულუს სატუმროში ფეხი მოიტეხა, მან საკონცერტო ტურნეს პატივი სცა და სცენაზე ინვალიდის სავარძლიდან იმღერა.

■ ■ ■

სცენაზე დაცემა იმდენად გახშირებული მოვლენაა, რომ მასზე დაწვრილმანება არ ღირს. თუმცა, ორიოდე შემთხვევა მართლაც აღსანიშნავია. 1968 წლის აგვისტოში, ფლორიდაში, სცენაზე **პერსი სლეჯს** გულის შეტევა დაემართა. სამწუხაროდ მაყურებელმა მისი კონვულსიები შოუს ნაწილად ჩათვალა და მუსიკოსი აპლოდისმენტებით დააჯილდოვა.

■ ■ ■

ჯგუფ **Stone The Cow**-ს წევრს ძალიან არ გაუმართლა - 1972 წლის 3 მაისს, სუონსის უნივერსიტეტის სცენაზე ის მიკროფონიდან დენის დარტყმის შედეგად გარდაიცვალა.

■ ■ ■

არც სოულის გენიოსს, **კერტის მეიფილდს** გაუმართლა: 1990 წლის 3 აგვისტოს, ბრუკლინში ღია სცენაზე მას მეხი დაეცა და სამუდამოდ დადამბლავდა.

■ ■ ■

საკმაოდ ბევრი სისხლი დაიღვარა 1977 წელს ლონდონის ერთერთ სცენაზე, როცა **ჯონ კეილმა** კონცერტის დროს ცოცხალ ქათამს წააჭრა თავი. ფრთოსნებმა შურისძიება მხოლოდ 1982 წლის 20 იანვარს მოახერხეს: **ოზი ოსბორნმა** სცენაზე თავი მოაჭამა ფანის მიერ ნასროლ მკვდარ ღამურას და ის ცოფის ნიშნებით საავადმყოფოში წაიყვანეს.

■ ■ ■

როცა 1990 წელს მასაჩუსეტში კონცერტის დროს **Skid Row**-ს ვოკალისტს, **სებასტიან ბახს** თაყვანისმცემელმა ბოთლი გაარტყა, მუსიკოსმა აუდიტორიას სამაგიერო გადაუხადა: მან ბოთლი ისევ ხალხში ისროლა და ერთ გოგონას სახე დაუსახიჩრა. ბახი დააპატიმრეს.

■ ■ ■

დევიდ ბოვი ერთი ძველი რიტუალის მსხვერპლი გახდა. 1987 წელს, კალიფორნიაში მან აუდიტორიიდან სცენაზე აიყვანა თაყვანისმცემელი გოგონა. ფანმა კი მადლობა იმით გადაუხადა, რომ კბილებით კისერში ჩააფრინდა. ამ ინციდენტმა ბოვის 10 სანტიმეტრიანი ჭრილობა დაუტოვა.

ჯონ ბონჯოვი

ოზი ოსბორნი

ლიდერები

2003 წელი მუსიკალურ სამყაროში

მეტად სწრაფად გადის წლები. ამ თორმეტი თვის განმავლობაში ხანდახან იმდენი რამ ხდება მუსიკალურ სამყაროში (რასაკვირველია, საერთაშორისო მუსიკალურ ბაზარს ვგულისხმობთ), ყველა ამ მოვლენისა თუ ფაქტის შეფასება, ან უბრალოდ მათთვის ყურადღების მიქცევა, ნამდვილად ზედმეტია. თუმცა, არის მოვლენები, რომლებიც ყურადღებას ნამდვილად იმსახურებენ. გამონაკლისი არც გასული წელი იყო, 2003 წელსაც მოხდა რაღაცეები, რაც მსოფლიო მუსიკალურ ისტორიაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს. მიკ ჯაგერისთვის რაინდის ტიტულის მინიჭება, "უაიტ სტრაიპსის" ტრიუმფი, რობი ვილიამსის რეკორდი, - 2003 წლის მნიშვნელოვანი მუსიკალური მოვლენების ძალიან მცირე ჩამონათვალია.

ვერა ნეფარიძე

წლის მიწურულს მიკ ჯაგერის სახით როკ-ენ-როლის კიდევ ერთმა ლეგენდამ მოიპოვა რაინდის ტიტული. ასეთმა პერსპექტივამ დასაწყისში "სტოუნზების" ერთ-ერთი წევრი იმდენად გაანაწყენა, რომ ჯაგერთან ამის ნიადაგზე უთანხმოებაც მოუვიდა. მაგრამ, ბეკინგემის სასახლეში დაგეგმილ ცერემონიალს ხელი ვერაფერმა შეუშალა. ერთადერთი მოულოდნელობა ის იყო, რომ დედოფლის შეუძლოდ ყოფნის გამო, ცერემონიალს პრინცი ჩარლზი გაუძღვა. აი, რა თქვა ამ ყველაფერის შესახებ თავად ჯაგერმა: "ძალიან მსიამოვნებს, რომ ჩემს გვარს თან დაერთვება სიტყვა "სერ", მაგრამ არ შემიძლია ამ ყველაფერს სერიოზულად შევხედო". 60 წლის მუსიკოსს სამეფო ოჯახში თან ახლდნენ: 92 წლის მამა და ორი ქალიშვილი – ელისაბედი და კერისი.

2003 წლის მიწურულს ჯაგერის გარდა კიდევ ერთი "სტოუნზი" აღმოჩნდა ფართო საზოგადოების ყურადღების ცენტრში – სამეფო აკადემიაში რონი ვუდის ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა. აღსანიშნავია, რომ იმავე დღეს ვუდის შემოქმედების პარალელურად, დამთვალიერებელს პიკასოს ნამუშევრების ნახვაც შეეძლო. მერე რა, რომ ლეგენდარულ მხატვარს საგამოფენო დარბაზი ხვდა წილად, მუსიკოსს კი – მდიდრული რესტორნის დარბაზი.

ასევე "როლინგსთოუნზის" სახელთანაა დაკავშირებული წლის ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი გასტროლები. რამდენადაც ცნობილია, წლის დასაწყისში აზიაში გავრცელებული ატიპური პნევმონიის ვირუსის გამო, ბრიტანელმა მუსიკოსებმა დაგეგმილი ტურნე გადადეს ჰონგკონგში, პეკინსა და შანხაიში. "სტოუნზებს" აგვისტოშიც მოუხდათ დაგეგმილი კონცერტის გადადება ოღონდ, ბელგრადში. ამჯერად მიზეზი რეგიონში არსებული არასტაბილური მდგომარეობა იყო – როგორც ცნობილია, ბელგრადში აგვისტოს დასაწყისში სერბეთის პრემიერ-მინისტრი მოკლეს.

"როლინგსთოუნზის" თაყვანისმცემლებისთვის 2003 იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ სწორდე გასული წლის ივლისში და დეკემბერში მათი კერპები - ჯაგერი და რიჩარდსი - 60 წლის გახდნენ. მიკ ჯაგერმა ასეთი მნიშვნელოვანი იუბილე პრაღაში, ძველი მეგობრისა და ჩეხეთის ყოფილი პრეზიდენტის ვაცლავ ჰაველის გარემოცვაში აღნიშნა. მეორე დღეს კი "სტოუნზებმა" კონცერტი გამართეს. სხვათა შორის, ჩეხებისთვის "სტოუნზები" თავისუფლების ერთგვარი სიმბოლოები სრულიად კონკრეტული და ობიექტური მიზეზის გამო არიან – პირველი კონცერტი ბრიტანელ მუსიკოსებს ჩეხეთში 1989 წელს ჰქონდათ, "ხავერდოვანი რევოლუციის" დასრულებისთანავე, ჰაველის ხელისუფლებაში მოსვლისას. ამიტომაც თქვა ცნობილმა პოლიტიკოსმა: "სტოუნზები" ჩეხებისთვის "თავისუფლების მაცნეები" არიანო.

როკ-ენ-როლის ლეგენდათაგან 2003 განსაკუთრებული იყო პოლ მაკარტნისთვისაც. იმის გარდა, რომ წელს მაკარტნი მეოთხედ გახდა მამა, ცნობილ მუსიკოსს სხვა მიზეზთა გამო, გასულ წელსაც საკმაოდ ხშირად მოიხსენიებდნენ. მაკარტნის ცხოვრებაში შარშანდელ მოვლენათაგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო კონცერტი რომის კოლიზეუმში; იქ, სადაც პოპ-ვარსკვლავებისთვის სცენა ყოველთვის არაა გამზადებული. მაკარტნი პირველი როკ-მუსიკოსი იყო, ვინც კოლიზეუმის სცენაზე ავიდა. ლეგენდარული მუსიკოსის მოსასმენად კოლიზეუმში 400 ადამიანი შეიკრიბა, თითოეულმა კი ამ ისტორიულ მოვლენაში მონაწილეობისთვის 1490 აშშ დოლარი გადაიხადა. ისტორიული იყო მაკარტნის სტუმრობა მოსკოვის წითელ მოედანზე. ექს-ბითლზსა და მის მეუღლეს პრეზიდენტმა პუტინმა 24 მაისს უმასპინძლა, ამის შემდეგ კი კონცერტზე 120 ათასზე მეტი თაყვანისმცემელი შეიკრიბა.

ის, რომ როკ-ენ-როლის ლეგენდები ყოველთვის აქტუალურები რჩებიან მუსიკალურ სამყაროში, არა ერთხელ, მათ შორის 2003-შიც მრავალჯერ დამტკიცდა. ყველა დროის საუკეთესო ჩანაწერებს შორის, რომ სწორედ ეს მუსიკოსები ლიდერობენ, ესეც რეალობაა. ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი შარშან "ლედ ზეპელინმა" აჩვენა. სამმაგი დისკი How The West Was Won ამერიკულ და ბრიტანულ ჩარტებს ჩაუდგა სათავეში, ხოლო "ზეპელინის" ორმაგმა DVD-მ რეკორდი დაამყარა – გამოსვლისთანავე პირველ კვირაში ძალიან დიდი ტირაჟით გაიყიდა.

ისევე, როგორც ყოველ წელს, 2003-შიც დააფასეს ღვაწლმოსილი მუსიკოსები. მათ შორის იყვნენ: იგი პოპი (რომელმაც საფრანგეთის კულტურის მინისტრისგან მიიღო ღირსების მედალი – კულტურის განვითარებაში გაწეული ღვაწლისთვის), ლუ რიდი (მუსიკოსმა საკუთარი ანაბეჭდები ჰოლივუდის როკ-ენ-როლის დიდების ხეივანში დატოვა). 80-იანების კიდევ ერთმა ლეგენდამ, ნიკ ქეივმა კი ღვაწლმოსილის საკადრისი დასვენების ნაცვლად, მორიგი ალბომი შესთავაზა თაყვანისმცემლებს. Nocturama უდავოდ, 2003 წელს გამოშვებულ ალბომებს შორის ერთ-ერთი საუკეთესოა.

2003 წელს დანაკარგები მუსიკალურმა სამყარომაც განიცადა: საფრანგეთში გარდაიცვალა ჯაზის ლეგენდა ნინა სიმონე; მსმენელი ასევე გამოემშვიდობა, ქანთრის ლეგენდარულ ამერიკელ შემსრულებელს, ჯონი კეშს. 2003-ში კი საკონცერტო მოღვაწეობა დაასრულა არეტა ფრანკლნმა. მომღერლის უკანასკნელი ტურნე აპრილიდან სექტემბრამდე გაგრძელდა.

რაც შეეხება თანამედროვე მუსიკას 2003 წელს, მართალია, რამდენიმე ახალი ვარსკვლავი გამოჩნდა, მაგრამ მნიშვნელოვანი სიახლეები მაინც ისეთმა მუსიკოს-შემსრულებლებმა იტვირთეს, როგორებიცაა: ჯგუფები "ვაიტ სტრაიპსი", ან "რეიდიოჰედი".

"რეიდიოჰედმა" 203-ში უბრალოდ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მისი დიდება გასულ საუკუნეს არ ჩაბარდა. მუსიკოსების 2003 წლის ნამუშევარი Hail To The Thief ჯგუფის ღირსებას ნამდვილად იცავს - ალბომმა გამოსვლისთანავე დაიპყრო ბრიტანული ჩარტები და პირველივე ჯერზე 60 ათასიანი ტირაჟით გაიყიდა.

რიგით მეოთხე ალბომი მეტად წარმატებული აღმოჩნდა The White Stpires-თვის. ალბომი Elephant უმალ გახდა როკის მოყვარულებისთვის სასიამოვნო მოულოდნელობა; ხოლო მოგვიანებით, ის წლის საუკეთესო ჩანაწერად ძალიან ბევრმა ავტორიტეტულმა გამოცემამ აღიარა. თუმცა, საზოგადოების ყურადღების მიპყრობა "ვაით სტრაიპსისადმი" 2003 წელს, მხოლოდ ეს წარმატება არ გამხდარა. დუეტის წევრი – ჯეკ უაიტი ერთერთ ამერიკულ კლუბში ატეხილი დებოშისა და კოლეგის ცემისთვის პროკურატურის მიერ იძებნებოდა.

2003 წელს ვერ გაუძლეს ბრიტანელმა მუსიკოსებმა Suede-დან - წლის მიწურულს მათ დაშლილად გამოაცხადეს საკუთარი ჯგუფი. პოპ-ვარსკვლავებიდან გასული წლის ყველაზე მნიშვნელოვანი პერსონა რობი ვილიამსი იყო. მისი უკანასკნელი DVD წელს ბრიტანული შოუ-ბიზნესის ისტორიაში ყველაზე სწრაფად გაყიდულ ჩანაწერად აღიარეს. სტატისტიკის მიხედვით What We Did Last Summer-მა "ზეპელინის" ასევე შარშანდელი რეკორდიც კი მოხსნა - ვილიამსის კონცერტი ერთ კვირაში 46 ათასი ტირაჟით გაიყიდა. შეგახსენებთ, DVD-ზე ჩაწერილია რობი ვილიამსის ნებუორთში გამართული კონცერტი, სადაც რეკორდული რაოდენობის – 375 ათასიანი აუდიტორია შეიკრიბა.

მიკ ჯაგერი

"რეიდიოჰედი"

პოლ მაკარტნი

რობი უილიამსი

ფეხბურთი

ქართული ფეხბურთის მეკვლე - ანრი მიშელი

მეორე ფრანგი საქართველოს ეროვნული ნაკრების სათავეში

მიხეილ აბაიშვილი

ბაირამ თუთუმლუმ (მარჯვნივ) საქართველოში ანრი მიშელი მაინც ჩამოიყვანა.

2004 წელს ქართული ფეხბურთის მეკვლე საქვეყნოდ ცნობილი ფრანგი მწვრთნელი, ანრი მიშელი გახლავთ. 1984 წლის ლოს ანჯელესის ოლიმპიადის ტრიუმფატორი, 1986 წლის მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე საფრანგეთის ეროვნული ნაკრების მესამე ადგილზე გამყვანი ანრი მიშელი საქართველოს და მის ფეხბურთის ფედერაციას ბედობის დღეს, 2 იანვარს ეწვია. ძალიან მალე გახდება ცნობილი, ფეხბედნიერი არის თუ არა იგი ქართული ფეხბურთისთვის. ყოველ შემთხვევაში, თითქმის გადაწყვეტილია, რომ ის, სულ მცირე, 2 წლით დაეხმარება საქართველოს ეროვნულ ნაკრებს.

თბილისში კერძო თვითმფრინავით ჩამოფრენილ მუსიე მიშელს, გასაგები მიზეზების გამო, ვერ უმასპინძლა ქართული ფეხბურთის პირველმა პირმა, მერაბ ჟორდანიამ. იგი ფედერაციის სხვა ხელმძღვანელებმა მიიღეს და ქართული საფეხბურთო მეურნეობაც, დროის სიმცირის კვალობაზე, შეძლებისდაგვარად გააცნეს. რაც მთავარია, ფედერაციის ვიცეშეფებმა ამ ნაცნობობით ფრიად კმაყოფილ ანრი მიშელთან კონტრაქტის პირობებიც შეათანხმეს და ჯენტლმენურად ხელი ხელსაც დაჰკრეს.

3 იანვარს, საქართველოდან გამგზავრების წინ, ანრი მიშელმა სასტუმრო "მარიოტში" პრესკონფერენცია გამართა. ბრიფინგზე მას მხარს უმშვენებდა ფიფას აგენტი, თურქი ბაირამ თუთუმლუ, რომელმაც მიშელისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შემაკავშირებელი რგოლის ფუნქცია იკისრა. მეტიც: თუთუმლუ გახლავთ სფფ-ის ნდობით აღჭურვილი მთავარი აგენტი, რომელიც, თუ ფრანგთან მოლაპარაკება ჩაიშალა (რაც ნაკლებად სავარაუდოა), უფლებამოსილია, მოგვიძებნოს მაღალი კვალიფიკაციისა და ავტორიტეტის მქონე სხვა უცხოელი მწვრთნელი.

"როგორც შეგპირდით, საუკეთესო მწვრთნელი ჩამოგიყვანეთ. ანრი მიშელი საბოლოო გადაწყვეტილებას რამდენიმე დღეში მიიღებს. თუმცა, როგორი გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს მიშელმა, ეს საქართველოს ნაკრების მომავალზე დიდ ზეგავლენას ვერ მოახდენს. კიდევ ერთხელ გპირდებით, რომ ფრანგ მწვრთნელთან კონტრაქტის გაფორმებას ხელიც რომ შეეშალოს, მე უმოკლეს ვადებში მაღალი კვალიფიკაციისა და ავტორიტეტის სხვა საუკეთესო მწვრთნელს ჩამოგიყვანთ", - დაგვაიმედა შესარჩევ ტურნირში კონკურენტი ქვეყნის, თურქეთის მოქალაქე თუთუმლუმ. თუმცა, როგორც ჩანს, თურქს ამ ახალი დაპირებისთვის დიდი ძალისხმევა აღარ მოუწევს, რადგან თავად მიშელი უაღრესად მონდომებულია საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე მოსვლით.

"დიდ მადლობას ვუხდი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას იმისთვის, რომ არჩევანი ჩემზე შეაჩერა და უმაღლეს დონეზე დამხვდა. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, თუ როგორ პირობებში მომიწევს მუშაობა. დავათვალიერე ნაკრების საწვრთნელი ბაზა და აღფრთოვანებული დავრჩი. საქართველოში ყველა პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ ფეხბურთი განვითარდეს და ამ ქვეყანას ძლიერი საფეხბურთო ნაკრები ჰყავდეს. მივდივარ სახლში და ვფიქრობ, რომ აუცილებლად დავბრუნდები", - განაცხადა იმ მიშელმა, რომელიც 17 წლის წინათ პლატინის, ჟირესის, ტიგანას, ფერნანდესის, ამოროს, პაპენის, ბატსის ვარსკვლავურ თაობას ედგა სათავეში. იმასაც გაგახსენებთ, რომ მიშელის გუნდმა მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე ქვეჯგუფში დამაჯერებლად გამოსვლის შემდეგ, მერვედფინალში მსოფლიო ჩემპიონი, იტალიის ნაკრები დაამარცხა (2:0), მეოთხედფინალში კი მთავარი ფავორიტი, ბრაზილიის ნაკრები გამოთიშა ჩემპიონატს. მაგრამ, როგორც ჩანს, ფრანგებმა ბრაზილიელებთან ორსაათნახევრიან მომქანცველ ბრძოლას მთელი ძალები შეალიეს და ნახევარფინალში გერმანიის ნაკრებს წინააღმდეგობა ვეღარ გაუწიეს. თუმცა, მესამე ადგილისთვის მატჩში, რომელშიც მიშელმა სათადარიგო გუნდი ათამაშა, "სამფეროვნებმა" იოლად სძლიეს ბელგიის ნაკრებს და ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ.

ამ მცირე ისტორიული ექსკურსის შემდეგ ისევ პრესკონფერენციას დავუბრუნდები. ანრი მიშელი ამჟამად წვრთნის მაროკოს ერთ-ერთ კლუბს, რომელთან კონტრაქტიც 2004 წლის ივლისში მთავრდება. მიშელსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის კონტრაქტის გაფორმებას ეს ერთადერთი წინაღობა აქვს. თუმცა, ფრანგის თქმით, იგი ამ საკითხს უახლოეს დღეებში გადაწყვეტს.

"მაროკოში იმისთვის ვბრუნდები, რომ კლუბის ხელმძღვანელებს მოველაპარაკო კონტრაქტის შეწყვეტის თაობაზე. არა მგონია, რაიმე პრობლემა შემექმნას. ვიცი, რომ საქართველოს ნაკრებმა თებერვალში მონაწილეობა უნდა მიიღოს კვიპროსის ოთხთა ტურნირში. ვფიქრობ, მანამდე ჩემს ყველა პრობლემას მოვაგვარებ და კვიპროსზე გუნდს მე ვუხელმძღვანელებ", - განაცხადა მან.

ანრი მიშელი უკვე მომავალ შესარჩევ ტურნირზეც საუბრობს და, მართალია, მეტოქეებს მაღალ შეფასებას აძლევს, მაგრამ მაინც მიიჩნევს, რომ საქართველოს ნაკრებს შესარჩევი ბარიერის დაძლევის კარგი შანსი აქვს.

"ძალიან რთული ჯგუფია და მასში მაღალი დონის, ძლიერი ნაკრები გუნდები მოხვდნენ. დანია, თურქეთი, უკრაინა და საბერძნეთი, მართლაც, არ არიან ხელწამოსაკრავი მეტოქეები. ალბანეთიც, მიუხედავად იმისა, რომ პატარა ქვეყანაა, საკუთარ მოედანზე ყველას დიდ პრობლემას უქმნის. საქართველოს ძალიან კარგი ფეხბურთელები ჰყავს, მაგრამ გამოცდილება არ ჰყოფნის, რომ ლოგიკურ შედეგამდე მივიდეს. როდესაც საქართველოში ჩამოსვლაზე ვფიქრობდი, ფინანსურ ინტერესზე წინ სპორტულ პრინციპებს ვაყენებდი. რა თქმა უნდა, მატერიალურ მხარესაც აქვს მნიშვნელობა, მაგრამ არა გადამწყვეტი. მე რომ დარწმუნებული არ ვიყო, რომ საქართველოს ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსი აქვს, თქვენთან თანამშრომლობის დაწყებას არც ვისურვებდი. მე უკვე დასახული მაქვს მთავარი მიზანი – საქართველო ფინალურ ეტაპზე უნდა გავიყვანო. საქართველოში ამის ყველანაირი წინაპირობა არსებობს", - ოპტიმისტურად არის განწყობილი ანრი მიშელი.

მოგეხსენებათ, საქართველოში უკვე იმუშავა ერთმა ფრანგმა მწვრთნელმა და კარგი სახელიც დატოვა. მხედველობაში მყავს კლოდ სორელი, რომელმაც საქართველოს მორაგბეთა ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიყვანა. როგორც აღმოჩნდა, სორელი ანრი მიშელის კარგი მეგობარია.

"კლოდი ჩემი ახლო მეგობარია და კარგად ვიცი, რა წარმატებასაც მიაღწია თქვენს ქვეყანაში. ვეცდები, საქართველოში მეორე ფრანგი მწვრთნელის მუშაობა პირველზე არანაკლებ წარმატებული აღმოჩნდეს", - მეგობრის გაკვალულ გზაზე სიარულს გეგმავს მეორე ფრანგიც.

"ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ კონტრაქტზე ჩემთან ერთად მერაბ ჟორდანიამ მოაწეროს ხელი. მერწმუნეთ, იმისთვის, რომ ნაკრებმა დიდ წარმატებებს მიაღწიოს, მხოლოდ კარგი გუნდი და მწვრთნელი არ არის საკმარისი. უმნიშვნელოვანესია, რომ მწვრთნელს მხარს უჭერდეს და ეხმარებოდეს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი. გუნდი, მწვრთნელი და პრეზიდენტი ის სამი კომპონენტია, რომელთა შერწყმითაც მიიღწევა დიდი მიზანი. მერაბ ჟორდანიას პირადად ვიცნობ და დარწმუნებული ვარ, იგი სწორედ ის პრეზიდენტია, რომელიც ჩვენ გვჭირდება", - ფედერაციის პრეზიდენტის მიმართ მხარდაჭერა გამოხატა მიშელმა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პოზიცია დააფიქსირა ვიცეპრეზიდენტმა, ლერი სულაბერიძემ. მისი თქმით, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ანრი მიშელის დანიშვნას წინ თითქმის აღარაფერი უდგას.

"ანრი მიშელს ძალიან მოეწონა დიდ დიღომში მდებარე საქართველოს ნაკრების ახალი საწვრთნელი ბაზა და განაცხადა, რომ აქ კარგი პირობებია ფეხბურთის განვითარებისთვის. ჩვენ უკვე სამომავლო კონტრაქტის ყველა პირობა შევათანხმეთ და წინასწარ, ეგრეთ წოდებულ ჯენტლმენურ შეთანხმებასაც მივაღწიეთ", - განაცხადა ვიცეპრეზიდენტმა.

ერთი, არცთუ უმნიშვნელო დეტალი, რომელიც ანრი მიშელის ოჯახს უკავშირდება. ხშირად მწვრთნელს, გნებავთ, ფეხბურთელის არჩევანზე ამა თუ იმ ქვეყანაში სამუშაოდ გადასვლასთან დაკავშირებით, დიდ ზეგავლენას ახდენს ცოლი. ალმოჩნდა, ანრი მიშელის მეუღლეს მოსწონებია ჩვენი ქვეყანა და მას საქართველოში ცხოვრების საწინააღმდეგო არაფერი აქვს.

აბრამოვიჩმა იტალიისკენ გაიხედა

ჰაატა თოთაძე

ამიერიდან "პარმაც" აბრამოვიჩის იქნება.

ჯერ ადრეა დასკვნების გაკეთება, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ რუსი ოლიგარქი რომან აბრამოვიჩი კიდევ ერთი კლუბის მფლობელი გახდება. ჩანს, "ჩელსის" ყიდვით აბრამოვიჩმა ბოლომდე ვერ დაიკმაყოფილა თავისი ამბიციები და მზერა მიაპყრო იტალიისკენ, სადაც ამჟამად დაახლოებით ისეთ დღეშია "პარმა", როგორშიც თავის დროზე "ჩელსი" იყო.

შაბათს პარმას სასამართლომ კომპანია "Parmalat"-ის ცენტრალური ოფისი გაკოტრებულად გამოაცხადა. კრედიტორებისგან თავის დასაცავად გაკოტრების თაობაზე სასამართლო პროცესის ინიციატორი თავად კომპანია იყო. სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, კომპანიას კიდევ რამდენიმე თვის განმავლობაში შეუძლია ფუნქციონირება და ფერმერებისა და სხვადასხვა პროდუქციის მწარმოებელთათვის თანხის გადახდა. სამაგიეროდ ის დროებით თავისუფლდება კრედიტორებისგან, ანუ კომპანია მათთვის მხოლოდ მაშინ მოიცლის, თუ ამ თვეების განმავლობაში ფინანსური მდგომარეობა გამოასწორა. რა მოხდება მაშინ, თუ ვითარება არ შეიცვალა? მაშინ, წესების თანახმად, კომპანიის ქონება აუქციონზე გაიყიდება, იქიდან შემოსული თანხით კი კრედიტორებს დააკმაყოფილებენ.

სიტუაციის ამგვარი განვითარება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მანამდე კომპანიას არ გამოუჩნდა მყიდველი, რომელიც ვალებს გაისტუმრებს. სწორედ ასეთ მყიდველად წარუდგა საზოგადოებას რომან აბრამოვიჩი. რუსი ოლიგარქი მზადაა, იყიდოს კომპანია და უახლოეს პერიოდში გაისტუმროს ყველა კრედიტორი. სიდიდით მერვე იტალიური კომპანია ფინანსურ კრიზისში შარშან დეკემბერში აღმოჩნდა. ანალიტიკოსთა აზრით, ამის მიზეზი კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში წარმოებული ფინანსური მაქინაციებია. დაუზუსტებელი ინფორმაციით, უცხოეთში ინვესტირებული და უკვალოდ გამქრალი თანხა 7 მილიარდ დოლარს შეადგენს.

კომპანიის ასეთი მძიმე ვითარება, ბუნებრივია, საფეხბურთო კლუბზეც აისახა. კლუბის ხელმძღვანელობა უკვე რამდენიმე მოთამაშის გაყიდვაზე ალაპარაკდა, თუმცა, ყველაფერი შეიძლება სასიკეთოდ შეიცვალოს, თუ კომპანიის სათავეში აბრამოვიჩი მოვიდა. როგორც ირკვევა, აბრამოვიჩს იტალიური კლუბისადმი ინტერესი ჯერ კიდევ კომპანიის ფინანსური კრიზისის დადგომამდე გამოუმჟღავნებია. მაშინ მის მიერ დაწყებულ მოლაპარაკებას კომპანიის ხელმძღვანელობასთან წარმატებულს ვერ ვუწოდებთ, თუმცა, არც წარუმატებელი ეთქმის. ტანცის ოჯახმა, რომელიც განაგებს კომპანიას, კლუბის გაყიდვისგან თავი შეიკავა, თუმცა, მხოლოდ დროებით. მომავალში არაფერია გამორიცხული, ჯერჯერობით კი ამაზე საუბარი ნაადრევიაო, - ასეთი იყო იტალიელთა დასკვნა.

იტალიური სააგენტოების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, აბრამოვიჩის ხალხი უკვე გაემგზავრა პარმაში კომპანიის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების ხელმეორედ დასაწყებად, თუმცა, საეჭვოა, უახლოეს დღეებში რამე გაირკვეს. გარდა იმისა, რომ კომპანიის ხელმძღვანელობა ფინანსური კრიზისიდან გამოსვლას იმედიანად ელის, აბრამოვიჩთან თანხაზე ვერ მოილაპარაკა. იმავე წყაროების ცნობით, პირველი მოლაპარაკების დროს განსხვავებამ იტალიელების მიერ მოთხოვნილ თანხას და აბრამოვიჩის შეთავაზებას შორის 31 მილიონი ევრო შეადგინა, გუშინ კი ეს ციფრი 8 მილიონით შემცირდა. ფაქტი, რომ მოლაპარაკება უკვე ამ დონეზეა მისული, იმაზე მეტყველებს, რომ ადვილი შესაძლებელია, მრავალწლიანი მმართველობის შემდეგ ტანცის ოჯახი "Parmalat"-ს შეელიოს.

ინფოთეკა

ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატის წინ, რომელიც 19 იანვარს იწყება, მწვანე კონტინენტზე ტურნირისწინა შეჯიბრებები ტარდება. ერთერთ ასეთ შეჯიბრებაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა არგენტინელმა დავიდ ნალბანდიანმა. ამის მიზეზი მაჯის ტრავმა გახდა. გუშინ არგენტინელმა ესპანეთს მიაშურა, სადაც ფიზიოთერაპევტთან კონსულტაციას გაივლის. ნალბანდიანს ტრავმა უკვე სამი თვეა, რაც აწუხებს.

■ ■ ■

ჩოგბურთი. "ევროსპორტზე" ერთთვიანმა გამოკითხვამ წლის საუკეთესო ათლეტი გამოავლინა. პირველობა ბელგიელმა ჩოგბურთელმა კიმ კლიისტერსმა მოიპოვა, რომელმაც 100 000-ზე მეტი ხმა - 51 პროცენტი მიიღო. მეორე ადგილზე გერმანელი ველომრბოლი იან ულრიხი გავიდა - 36 პროცენტი. მესამე კი ფეხბურთელი პაველ ნედვედია - 7 პროცენტი.

■ ■ ■

კალათბურთი. "სიეტლთან" შეხვედრაში "ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" გიგანტმა შაკილ ო`ნილმა ტრავმა მიიღო. მან ტერფი დაიჭიმა და მატჩი ვერ დაასრულა.

■ ■ ■

კრივი. ვლადიმირ კლიჩკოს უახლოესი ბრძოლა შეიძლება გახდეს ერთ-ერთი იმ სამი ბრძოლიდან, რომელიც მძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის 20 მარტს გაიმართება. ამ დღეს ცნობილი პრომოუტერი დონ კინგი კიდევ რამდენიმე ბრძოლის გამართვას აპირებს. WBA - დროებით ჩემპიონ ჯონ რუისსა და ფრედ ოკვენდოს შორის. IBF - კრის ბერდის მიერ ტიტულის დაცვა. WBO - ბრძოლა ვაკანტური ტიტულისთვის ვლადიმირ კლიჩკოსა და ლემონ ბრიუსტერს შორის. ამ პროგრამისთვის ადგილი ჯერჯერობით არ შერჩეულა. თუმცა, ამჟამად ორი ვარიანტი განიხილება - ფლორიდა ან პუერტო-რიკო.

■ ■ ■

ფორმულა 1. "ფერარის" სპორტულმა დირექტორმა ჟან ტოდტმა Gazzetta dello Sport-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ახალი სეზონის პირველ რბოლას გუნდი ახალი ბოლიდით დაიწყებს. ბოლიდს, ალბათ, F2004 დაერქმევა. შეგახსენებთ, რომ ამ განცხადებამ "მაკლარენის" ახალი ბოლიდის წინასწარი წარმატებების ფონზე გაიჟღერა, რომელიც "ფერარის" გუნდის ძირითადი კონკურენტი იქნება. შეგახსენებთ, რომ ინგლისურ-გერმანულმა MP4-19, გასული წლის ბოლოს ტესტებზე ესპანურ ხერესსა და ვალენსიაში ტრასის რეკორდები დაამყარა. ამასთან, "მაკლარენის" საუკეთესო პილოტი, ფინელი კიმი რაიკონენი, რომელმაც მაჯაზე მცირე ოპერაცია გადაიტანა, ბოლიდის საჭეს მხოლოდ უახლოეს ხუთშაბათს მიუჯდება.

■ ■ ■

ფორმულა 1. შვეიცარიული გაზეთ "ბლიკის" ცნობით, "ფერარი" აპირებს, გუნდის ბრაზილიელ პილოტს, რუბენს ბარიკელოს კონტრაქტი 2006 წლის სეზონის ბოლომდე გაუგრძელოს. ამრიგად, რუბენს ბარიკელოს შეუძლია, გუნდში, სულ მცირე, იმ დრომდე დარჩეს, როგორც მიხაელ შუმახერი. თუ კონტრაქტის შესახებ ფართო საზოგადოება უახლოეს დღეებში შეიტყობს, "ფერარი" წერტილს დაუსვამს გაუთავებელ ჭორებს რუბენს ბარიკელოს სპორტული მომავლის შესახებ. ცნობილია, რომ ბრაზილიელს 2005 წელს "უილიამსში" გადასვლის უმთავრეს პრეტენდენტად აცხადებენ.

■ ■ ■

სამთო-სათხილამურო სპორტი. მუხლის ტრავმის გამო ოლიმპიური ჩემპიონი იანიცა კოსტელიჩი მთელ სეზონს გამოტოვებს. "ამ სეზონში იანიცა აღარ დაბრუნდება. ამ დროს ის თავის ჯანმრთელობას დაუთმობს", - განაცხადა სამთო-მოთხილამურის პრეს-ატაშემ ოზრენ მიულერმა.

■ ■ ■

სამთო-სათხილამურო სპორტი. საფრანგეთში გაიმართა მსოფლიო თასის მორიგი ეტაპი გიგანტურ სლალომში. წარმატებას მიაღწიეს ავსტრიელმა მოთხილამურეებმა. მათ პირველი სამი ადგილი მოიპოვეს. საუკეთესო შედეგი აჩვენა ალექსანდრ მაისნიტცერმა - 1:24,98. მეორე რენატე გეტშლი იყო - 1:25,19, მესამე კი მიკაელა დორფმაისტერი - 1:25,40.

■ ■ ■

სამთო-სათხილამურო სპორტი. გიგანტურ სლალომში მსოფლიო თასის სხვა ეტაპი ფლახაუში გაიმართა. პირველობა ავსტრიელმა მოთხილამურე ბენჯამინ რაიხმა იზეიმა - 2:22,54. მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი იტალიელმა მასიმილიანო ბლარდონემ მოიგო - 2:23,24. მესამე საფეხურზე კი ნორვეგიელი ბიარნე სოლბაკენი დამკვიდრდა - 2:23,36.

■ ■ ■

კალეიდოსკოპი. მძლეოსნობაში მსოფლიო ჩემპიონმა ირანელმა ხოსეინ რეზაზადემ ქალაქ ბამში მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდში 40 ათასი დოლარი გადარიცხა. ეს თანხა შეგროვდა რეზაზადეს სპორტული მაისურის გაყიდვის შედეგად, რომლითაც ის მისთვის წარმატებულ ვანკუვერის შარშანდელ მსოფლიო პირველობაზე ასპარეზობდა.

■ ■ ■

ჰოკეი. ფინეთში დასასრულს მიუახლოვდა მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი ჰოკეიში. გამოვლინდნენ ფინალისტები. ტურნირის გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან აშშ-ისა და კანადის გუნდები. კანადელებმა ყოველგვარი პრობლემის გარეშე გაანადგურეს ჩეხები - 7:1, ხოლო აშშ-ის ნაკრებმა დრამატულ შეხვედრაში დაძლია მასპინძელი ფინეთის წინააღმდეგობა - 2:1.

გრადუსების მსხვერპლნი

ჰაატა თოთაძე

პოლ გასკოინი ალკოჰოლის ერთ-ერთი "მსხვერპლია"

თანამედროვე სპორტსმენთა ცხოვრება იმდენად დაძაბული და სტრესულია, რომ მათი უმრავლესობა მდგომარეობიდან გამოსასვლელად ვერ პოულობს უკეთეს "წამალს", ვიდრე ალკოჰოლია. ასეთი "მკურნალობა" მათ საკმაოდ ძვირი უჯდებათ: ერთნი ჯარიმებს სჯერდებიან, სხვანი კი პროფესიულ კარიერას სწირავენ.

"რეჟიმის მასობრივი დარღვევა" საშობაო და საახალწლო არდადეგების დადგომასთან ერთად იწყება. ფეხბურთის, კალათბურთის, ჰოკეისა თუ სხვა სახეობების წარმომადგენლები, თამაშთა და ვარჯიშთა განრიგის მიუხედავად, ალკოჰოლს ეძალებიან. თუ ამ პროცესის დასასრული არდადეგების დამთავრებას არ ემთხვევა, ირღვევა არა მხოლოდ სპორტული რეჟიმი, არამედ იმსხვრევა სპორტსმენის პროფესიული კარიერა და ხანდახან ცხოვრებაც კი.

ფეხბურთელთა შესაძლებლობებზე, განიტვირთონ დაძაბული მატჩების შემდეგ, გულშემატკივართა შორის კარგა ხანია ლეგენდები დადის. ვინ აღარ ყოფილა გარეული დიდ თუ პატარა სკანდალში, რომელიც სიმთვრალით იყო გამოწვეული, მაგრამ ერთი პატარა ქალაქის, როსკომონის გუნდის წევრებმა რეკორდი დაამყარეს – სიმთვრალეში მოწყობილი აურზაურის გამო კლუბის პრეზიდენტს უკლებლივ ყველა ფეხბურთელის დათხოვნა მოუხდა. მცირე, თუმცა, გარკვეული პრობლემები მაინც შეექმნათ დევიდ ბექჰემს და მის მეგობრებს მადრიდის "რეალში". ზაფხულის ტურნეს დროს ჰონკონგის ერთ-ერთ ბარში დათრობის გამო, მეორე დღეს გუნდის ვარჯიში ორი საათით გვიან დაიწყო, რამაც პრობლემები შეუქმნა ერთ-ერთ ადგილობრივ ტელეკომპანიას. შედეგად სამეფო კლუბმა ტელეკომპანიას მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად 100 000 დოლარი გადაუხადა.

ბოროტი ენები ამბობენ, ფიგურულ სრიალში მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონისთვის, ალექსანდრ იაგუდინისთვის ჭიქა ვისკის ან შამპანურის შემდეგ ყინული გაცილებით მიმზიდველი ხდება. ტემპერატურის თუ სხვა რამის ბრალია, მაგრამ, როგორც სტატისტიკა მეტყველებს, სპორტის ამ სახეობისა და ჰოკეის მიმდევრები სხვებზე მეტად ეტანებიან ალკოჰოლს. 1997 წელს 19 წლის ოლიმპიური ჩემპიონი ოქსანა ბაიული ნასვამ მდგომარეობაში მართავდა მანქანას და, შედეგად, იმ დღიდან ციგურაობას ხომ შეეშვა (როგორც თავად ამბობს, დროებით), საავადმყოფოშიც დიდხანს მოუხდა წოლა. ბაიულისგან განსხვავებით, არ გაუმართლა ჰოკეისტ სტივ ჩასონს - ავარიაში მოხვედრილი გონს მოუსვლელად გარდაიცვალა. ამ ფაქტმა ჰოკეის ნაციონალურ ლიგაში დიდი სკანდალი გამოიწვია და მოთამაშეთა მიერ ლუდის მიღების თაობაზე დისკუსიების დაწყების საბაბი გახდა. საქმე ისაა, რომ ლუდი ჰოკეისტებისთვის ლამის საფირმო სასმელია. მისი მიღება სპორტსმენებისთვის თამაშის დამთავრებისთანავე ნებადართულია. უფრო სწორად, იყო, რადგან ჩასონის სიკვდილის შემდეგ ლიგის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც თამაშის შემდეგ ჰოკეისტს ლუდის დაღევა მწვრთნელის ნებართვის გარეშე არ შეუძლია.

რა ხდება, თუკი სპორტსმენი ვერ ეშვება ალკოჰოლს? ამ შემთხვევაში მას თავაზიანად მიუთითებენ კარისკენ. ასე დაემართა ცნობილ ფინელს, იერი კარალაჰტის. ფინური ჰოკეის ამომავალი ვარსკვლავი იძულებული გახდა, დაეტოვებინა NHL-ი, რადგან თავად მიხვდა, რომ იქ აღარ დაედგომებოდა. "ქვეყანაზე არაერთი ადგილია, სადაც შეიძლება ჰოკეის თამაში", - სხვა რა გზა ჰქონდა, ასეთი განცხადება გააკეთა მან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ.

დაახლოებით ასე ფიქრობდა დენის როდმანიც. NBA-ს ლეგენდა მოედანზე ბოლოს 2000 წელს გავიდა. ჯერ კიდევ მაშინ როდმანი საკმაოდ ხშირად არღვევდა რეჟიმს, აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგ კი საერთოდ აიწყვიტა. დღეს ასეთი ცხოვრებით დაღლილი როდმანი ლოთობას თავს ანებებს. ყოველ შემთხვევაში, თავად ასე აცხადებს და, თუ მის აგენტს დავუჯერებთ, აქტიურადაც ვარჯიშობს, რათა, წლეულს თუ არა, მომავალ სეზონში მაინც დაუბრუნდეს კალათბურთს.

დიდ სპორტში დაბრუნებაზე ოცნებობს პოლ გასკოინიც. ალკოჰოლის სიყვარული ნიჭიერ ინგლისელს კარიერის დასრულების ფასად დაუჯდა. როდმანისა არ იყოს, "გაზაც" აქტიურად ვარჯიშობს და მწვანე მინდორზე დაბრუნებას ჩქარობს, მაგრამ დღემდე არ გამოჩნდა არც ერთი პროფესიული ინგლისური კლუბი, რომელიც მის აყვანას მოინდომებდა.

სპორტსმენთა თქმით, ალკოჰოლი ერთგვარი ტრანკვილიზატორია, სწრაფად ადუნებს ორგანიზმს და ხსნის დაძაბულობას. "ის აუცილებელი ელემენტია ჩვენს ცხოვრებაში, თუმცა, ზომიერების დაცვა ყველას როდი შეუძლია", - აღნიშნავს კალათბურთელი დენის სკოტი. ალკოჰოლი NBA-ში გაცილებით დიდი პრობლემაა, ვიდრე ნარკოტიკი – ასეთია "ნიუ-იორკ თაიმსის" აზრი. გაზეთის ინფორმაციით, ჰოკეისტთა და კალათბურთელთა 70-80% რეგულარულად და ბევრს სვამს.

ბუნებრივია, ეს ციფრები ზუსტად ვერ ასახავს პოტენციურ ლოთებს სპორტის სხვა სახეობებში, თუმცა, ერთი რამ ფაქტია: თანამედროვე სპორტის პრესინგი სპორტსმენებზე იმდენად დიდია, რომ "განტვირთვის" გარეშე მისი გაძლება თითქმის შეუძლებელია.

ციტატები 2003-დან

სანდრო ნავერიანი

გრეგ პოპოვიჩს სამომავლოდ ორიგინალური გეგმები აქვს.

ბევრი ვიფიქრე, თუ რა დამეწერა და ბოლოს გადავწყვიტე, შარშანდელი სეზონის კურიოზული თუ სერიოზული განცხადებები გამეხსენებინა. ბევრი რამ გამომრჩა და ბევრიც არაფრად ვარგოდა, მაგრამ რაც გავიხსენე და ვიპოვე ამა თუ იმ ინტერნეტ-გვერდზე, ნამდვილად საინტერესოა და, მენდეთ, ამის წაკითხვა არაფერს გავნებთ, პირიქით, კარგ გუნებაზე დაგაყენებთ.

"ამიერიდან თუ ჩვენი გუნდის კალათბურთელი თვეში ერთხელ მაინც არ დაიწყებს მოედანზე "საქმის გარჩევას", მაშინ ჩვენ მას დავაჯარიმებთ. მე მინდოდა, ეს განცხადება პრესისთვის გამემხილა, მაგრამ ხალხი ამას, უბრალოდ, ვერ გაიგებდა. კიდევ არის ერთი რამ, რისი გაკეთებაც მინდა. ჩვენი გუნდის ოთხი წამყვანი კალათბურთელი თვეში ერთხელ მაინც უნდა გამოვიდეს MTV (მუსიკალური ტელევიზია) არხზე, ხოლო მათ, ვინც ყველაზე ცუდად ისვრიან საჯარიმოებს, ყოველი შედეგიანი შეტევის შემდეგ უნდა მიირბინონ ტელეკამერასთან და გულზე მჯიღი დაირტყან. ამის შემდეგ, ვფიქრობ, ჩვენი რეპუტაცია საგრძნობლად შეიცვლება უკეთესობისკენ", - გრეგ პოპოვიჩი.

"ფრანგების შემოსვლა ნებადართულია?" - ჰკითხა გრეგ პოპოვიჩმა ჯორჯ ბუშს ტონი პარკერზე, როდესაც "სან-ანტონიო სფერზი" თეთრ სახლში მიიწვიეს.

"რა კარგად ახერხებენ ეს ევროპელები მოლაპარაკებების გამართვას", - განაცხადა დონიელ მარშალმა მენგკე ბატირზე, რომელიც გობის უდაბნოდან, მონგოლეთიდან არის.

"მე აღარ მინდა ამ ბიჭთან საქმის დაჭერა. როდესაც მას ბურთი აქვს, ყოველთვის ცუდად მთავრდება ჩვენი შეტევა... ვხუმრობ. მაინტერესებდა, გესმოდათ თუ არა ჩემი ხმა", - განაცხადა "კავალიერსის" ფორვარდმა დარიუს მაილსმა ლებრონ ჯეიმსზე.

"იმიტომ ვიყავი მოწყენილი, რომ იდაყვები აღარ მხვდებოდა სახეში", - ეს განცხადება ელტონ ბერიმ მას შემდეგ გააკეთა, რაც მელვინ ელის მიერ მიყენებული ტრავმა მოურჩა.

"ყველა, ვინც ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციის ლიგაში თამაშობს და ჩემპიონი არასოდეს გამხდარა, ერთნაირები ვართ. ჩარლზ ბარკლი? ის ისეთივე მოთამაშეა, როგორიც მე, იმიტომ რომ მთავარი ჯილდო არასოდეს მიუღია. ყველა, ვინც კი ჩემპიონი ყოფილა, დანარჩენებზე, ჩვენზე, ორი თავით მაღლა დგას", - განაცხადა გრანტ ლონგმა.

"მე ისე ვაკეთებ, რომ გუნდებმა გაიმარჯვონ", - სკოტ პოლარდი.

"ეს განცხადება რომ მაიკლ ჯორდანს ან ლარი ბიორდს გაეკეთებინა, მაშინ ღირდა, მისთვის ყურადღება მიგვექცია, მაგრამ ეს განცხადება ჩაკ ეტკინსმა გააკეთა და მისთვის არავითარი მნიშვნელობა არ მიმინიჭებია", - განაცხადა ჯეისონ კიდმა მას შემდეგ, რაც ჩაკ ეტკინსმა "ნიუ-ჯერსი ნეთსს" "ნიუ-იორკ ნიქსთან" შედარებით მეორეხარისხოვანი უწოდა.

"ნებისმიერ კალათბურთელს შეიძლება არ წაუვიდეს სროლა, მაგრამ როდესაც ის მიხვდება, რომ ხელი არ წაუვიდა, ცდილობს, შეიცვალოს პოზიცია და სხვა ადგილიდან სცადოს ბედი. ჯონ სტარქსს ჭკუა არ ეყო, რომ ეს გაეკეთებინა და სწორედ ამიტომ მგონია ერთერთი იმ სამთაგან, რომლებმაც თავიანთი ტალანტი ბოლომდე ვერ გამოიყენეს", - განაცხადა ლამარ ოდომმა, რომელმაც ჩათვალა, რომ სამი ყველაზე გაუხსნელი კალათბურთელი დერეკ კოულმენი, ჯონ სტარქსი და თავად ლამარ ოდომი არიან.

"ის, რომ ახალგაზრდა ასაკში გადავედი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში, ძალიან კარგია, რადგან ბავშვობაში ჩემს ქალაქში ძალიან სულელურ რაღაცებს ჩავდიოდი. კომპტონში გადიოდა ერთი დიდი ჟანგიანი მილი, რომელიც დიაგონალურად იყო გადებული. მისი ერთი ბოლო ისეთ სიმაღლეზე იყო, რომ გადმოხედვაც კი საშიში იყო. ჰოდა, ერთხელაც შევუდექი მილს და სადღაც შუაში უკვე შემეშინდა. გადავწყვიტე, შიგნით შევმძვრალიყავი და ქვევით სწორედ შიგნიდან ჩავსულიყავი, მაგრამ მილში გავიჭედე და ჩემი მშობლები რამდენიმე საათს მეძებდნენ", - ამიტომაც ფიქრობს "ჩიკაგო ბულზის" კალათბურთელი ტაისონ ჩენდლერი, რომ კარგი ქნა, როდესაც ახალგაზრდა ასაკში გადავიდა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში - ასეთ სისულელეებს იქ ვეღარ გააკეთებს.

"როგორც უმეტესობა ამერიკელ და უცხოელ კალათბურთელებს, მასაც ესმის იმის ნახევარი, რასაც მე ვლაპარაკობ", - განაცხადა "ჰიუსტონ როკეთსის" მთავარმა მწვრთნელმა ჟეფ ვან განდიმ ჩინელ გიგანტ იაო მინზე.

"მე მომწონს ის გუნდი. მათ ბევრი მოთამაშე ჰყავთ ნიუ-იორკ სიტიდან. როგორ მოახერხეს მათ ნიუიორკელი ბიჭების მოძებნა, არ ვიცი, როდესაც მთელი ჩვენი გუნდი იუტადან არის? არ მესმის", - განაცხადა რეჟისორმა სპაიკ ლიმ "ნიქსის" და "პეისერზის" განსხვავებაზე.

"19 წლის ვიყავი, როდესაც "ნიქსმა" დრაფტზე არ ამირჩია იძულებული გავხდი, დამელია. ისინი დღემდე დგამენ მინი-ბარებს სასტუმროს ნომრებში 19 წლის ასაკის ბიჭებისთვის", - განაცხადა რონ არტესტმა.

"შენ მე გჭირდები და მე შენ მჭირდები. შენ მოდიხარ ელ-ეი-ში. ჩვენ ამ ქალაქს განვაგებთ", - ეს სიტყვები უთხრა შაკილ ო'ნილმა კარლ მელოუნს, რათა კარლს დიდი ფიქრის გარეშე მოეწერა ხელი კონტრაქტისთვის.

"ჯორს, "ALL STAR"-ის თამაშზე არ წამიყვანონ, იმიტომ რომ მე არ გავაკეთებ ბევრ ქულას, "ჟილკიანად" ვითამაშებ დაცვაში და ყველას წინააღმდეგ დავარღვევ თამაშის წესს. ზოგიერთ კალათბურთელს შეიძლება ტრავმაც კი მივაღებინო. ყველა ერთხმად მეტყვის: რაებს აკეთებ?" - განაცხადა რონ არტესტმა.

"ავტოსადგომზე დამელოდე და, რომ დავბრუნდები, ცემით მოგკლავ", - ეს სიტყვები უთხრა სკოტი პიპენმა "ბლეიზერსის" გულშემატკივარს, რომელიც სეზონურ აბონემენტს სამჯერ ძვირად ყიდდა.

ქრონიკა

ეს იყო იანვარში, ეს იყო თებერვალში

გიგა გურასაშვილი

2003 წელი უკვე ისტორიის საკუთრებაა. საკუთრება, რომელიც მრავალი საინტერესო საკრივო ეპიზოდით იყო გაჯერებული. შარშან, მართლაც, ბევრი დაძაბული და გახმაურებული სარინგო დაპირისპირებების მოწმე შევიქენით. ერთმა იმედები გაამართლა, მეორემ გააწბილა, თუმცა, ფაქტია, კრივი იყო, მისთვის ჩვეული აჟიოტაჟითა და შეხლა-შემოხლით. მაგრამ როგორ იწყებოდა 2003 წელი, რით იყო იანვარი ან თებერვალი გამორჩეული. წლის დასაწყისში საკრივო მხურვალება ჯერ კიდევ არ იგრძნობოდა ისე, როგორც, ვთქვათ, შემდგომ თვეებში. თუმცა, ვიდრე გასული წლის იანვარ-თებერვლის სარინგო მოვლენებზე გავამახვილებდეთ ყურადღებას, ჯერ იმაზე ვთქვათ, რითი დაიწყო ახალი წელი. 2004 წლის საკრივო კალენდარი კი კონეკტიკუტში კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (WBO) მსუბუქწონოსანთა სატიტულო ორთაბრძოლით დაიწყო. ეს დაპირისპირება იმითაც იყო საინტერესო, რომ ერთი, ანუ მოცილე სუპერნახევრადმსუბუქი წონითი კატეგორიის უბადლო მოკრივის სახელით სარგებლობს, მაგრამ ამჯერად მსუბუქწონოსანთა ეშელონში გადაბარგდა. მეორე, ანუ ის, ვისაც ტიტულის დაცვა უწევდა, მსუბუქწონოსანთა დივიზიონის გამორჩეული მოკრივე გახლავთ. ერთი სიტყვით, შაბათის დაპირისპირებაში ბრაზილიელი ასელინო ფრეიტასი ყაზახ არტურ გრიგორიანს ორგანიზაციის უმთავრეს სარტყელს ეცილებოდა.

გერმანიაში, ჰამბურგში მცხოვრებ გრიგორიანს, ისევე როგორც ფრეიტასს, ჩატარებული ორთაბრძოლების საკმაოდ შთამბეჭდავი ანკეტა აქვს. ყაზახ-სომეხს 36 მატჩი აქვს ჩატარებული, აქედან 22 - ნოკაუტით მოგებული. ორგანიზაციის ჩემპიონის სარტყელი 1996 წლიდან საკუთრებაში აქვს, ყოველ შემთხვევაში, შაბათამდე 17-ჭერადა დაცული. "ჰქონდა" იმიტომ, რომ ბრაზილიელთან შეხლა მისთვის საბედისწერო გამოდგა. 12-რაუნდიან დაპირისპირებაში განაჩენი მსაჯებმა გამოიტნეს. თუმცა, ფრეიტასის უპირატესობა მაინც აშკარად იგრძნობოდა. იგრძნობოდა მეოთხე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე რაუნდებში, როდესაც მეტოქე ამდენჯერვე ნოკდაუნში გაუშვა. შესაძლოა, გრიგორიანს მეთვრამეტედაც შეენარჩუნებინა ტიტული, რომ არა დაშავებული მხრის გამო გაცდენილი წელიწადი. როგორც უნდა იყოს, ორგანიზაციას მსუბუქწონოსანთა დივიზიონს ფრეიტასის სახით ახალი ჩემპიონი ჰყავს. ჩემპიონი, რომელმაც რინგი 35-ედ დატოვა დაუმარცხებელმა.

ახლა გასული წლის იანვარ-თებერვალს გადავავლოთ თვალი. წლის დასაწყისი იმით იყო გამორჩეული, რომ გაავსტრალიელებულ რუს კონსტანტინ ცზიუს 19 იანვარს ამერიკელ ჯესი ჯეიმს ლეიხასთან მოუხდა შერკინება. ორთაბრძოლამდე მეტოქეთა საკრივო ნუსხა ასე გამოიყურებოდა: კონსტანტინ ცზიუ: 29-1-0, აქედან 23 - ნოკაუტით; ჯეიმს ლეიხა: 43-5-2, აქედან 17 - ნოკაუტით. რუს-ავსტრალიელისა და ამერიკელის დაპირისპირება ავსტრალიაში, მელბურნში, 30 ათასი მაყურებლის წინაშე შედგა და იგი მეექვსე რაუნდის მიწურულს შეჩერდა. უფრო სწორად, ამერიკელის სეკუნდანტებმა ბრძოლის შეჩერება მოითხოვეს, რადგან მათ შეგირდს თვალიდან სისხლი წამოუვიდა და ყურიც დაუშავდა. ერთი სიტყვით, სუპერმსუბუქი წონის აბსოლუტური ჩემპიონის ცზიუს უპირატესობა აშკარა იყო. რაკი რუს-ავსტრალიელზე ვლაპარაკობთ, იმასაც დავძენთ, რომ ცზიუს წლეულს, 7 თებერვალს, მოსკოვში ამერიკელ შარმბა მიტჩელთან მოუწევს შებმა.

იანვარი იმითაც იყო საყურადღებო, რომ კარიერაში პირველი მარცხი იწვნია ვერონ ფორესტმა. პირველივე რაუნდში ფორესტი ნოკდაუნში ჩავარდა. იგივე განმეორდა მესამეშიც. ამის შემხედვარე რეფერი იძულებული გახდა, ბრძოლა შეეჩერებინა. ფაქტია, მოვლენათა ასეთ განვითარებას არავინ ელოდა. ყველასთვის მოულოდნელად, ნიკარაგუელმა მაიორგამ ასოციაციისა (WBA) და საბჭო (WBC) საჩემპიონო ქამრები გაერთიანა. სხვათა შორის, ივლისში ნიკარაგუელმა დაამტკიცა, რომ ფორესტის დამარცხება შემთხვევითობა არ ყოფილა. ანუ, იანვრის მატჩის მსგავსად, მაიორგამ ფორესტი ხელმეორედ დასცა. თუმცა, ნიკარაგუელმა 2003 წელი მაჟორულ ნოტზე მაინც ვერ დაასრულა. წლის ბოლოს, 13 დეკემბერს, მაიორგამ კორი სპინქსთან ქულებით წააგო.

თებერვალი უფრო წამიერ გაელვებას ჰგავდა, ვიდრე მომქანცველ სარინგო დაპირისპირებებს. 2003 წლის თებერვალში, თუ კი რამ შეიძლება გამოირჩეს, ეს ბრიტანელ ლენოქს ლუისთან მარცხის შემდეგ რინგზე წამიერად დაბრუნებული მაიკ ტაიოსნის უტიტულო ჩხუბია. "რკინის მაიკისა" და კლიფორდ ეტიენის 22 თებერვლის შეხლა 49 წამს გაგრძელდა. უფრო სწორად, ტაისონს ხუთი ათეული წამი დასჭირდა იმისთვის, რომ ეტიენი ნოკაუტში ჩაეგდო. მიუხედავად ამისა, ტაისონისა და ეტიენის ბრძოლამ ბევრი კითხვაც წარმოშვა. რა თქმა უნდა, ეს კითხვები ტაისონის ფორმას უკავშირდებოდა. ანუ, 49 წამი საკმარისია თუ არა იმისთვის, რომ "რკინის მაიკის" რეალურ ფორმაზე ვიმსჯელოთო. ერთი რამ ფაქტია: მას შემდეგ ტაისონი რინგს აღარ გაჰკარებია.

TV-სპორტი

ორშაბათი. 5 დეკემბერი

НТВ+ФУТБОЛ
09:00 NBA TV. NBA-ს დღიური
09:30 NBA TV - NBA შიგნიდან
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ესპანეთის ჩემპიონატი.
15:00 პორტუგალიის ჩემპიონატი. "სპორტინგი" - "ბენფიკა"
16:45 თავისუფალი დარტყმა
17:00 ჩემპიონთა ლიგის ფინალები. ფინალი-2003. "იუვენტუსი" – "მილანი"
19:00 ესპანეთის ჩემპიონატი
20:45 თავისუფალი დარტყმა
21:00 სახვალიო ტელეპროგრამა
21:05 განვლილი სეზონის საუკეთესო მატჩები. ბრაზილიის ჩემპიონატი. "პონტე პრეტა" – "კორინთიანსი"
22:50 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:45 საფეხბურთო არდადეგების დღეებში. გერმანიის ჩემპიონატი. "ბორუსია" – "ბაიერი"
01:30 01:30-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
04:30 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: ენდრიუ ტონეი
05:30 NBA TV. დღიური
06:00 NBA TV. "DENVER NUGGETS" - "SAN ANTONIO SPURS". პირდაპირი ტრანსლაცია

НТВ+СПОРТ
11:00, 14:00, 16:35 პრესცენტრი
11:15, 20:30 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:15 აერობიკა
11:45 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. პლეი-ოფი
14:40 "საჭადრაკო მიმოხილვა"
15:10 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი საფრანგეთში. ქალები. სლალომი. პირდაპირი ტრანსლაცია
16:00 ასი წლის შემდეგ. პროგრამა ძიუდოზე
16:50 ჰოკეი. მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი ფინეთში. მატჩი მე-3 ადგილისთვის. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (17:35) "NHL - პლიუსი"
18:50 "რკინის ფაქტორი". მის ოლიმპია 2003. ნაწილი მეორე
20:00 "ორშაბათამდე მივატანთ"
20:35 სახვალიო ტელეპროგრამა
20:45 ჰოკეი. მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი ფინეთში. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:30 "NHL - პლიუსი"
23:45 პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. ასელინო ფრეიტასი – არტურ გრიგორიანი
01:25 ახალი ამბები
01:40 ჩოგბურთი. "Hopman Cup" ავსტრალიაში. რუსეთი - საფრანგეთი

EUROSPORT
11:30 რალი – სპორტ დაკარი
12:00 ოლიმპიური თამაშები. ოლიმპიადის კულტურული პროგრამა
12:15 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასი საფრანგეთში
13:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი ავსტრიაში
15:00 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასი საფრანგეთში
15:15 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასი საფრანგეთში
16:15 რალი – სპორტ დაკარი
16:45 ჩოგბურთი. საჩოგბურთო ისტორიები
17:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი
18:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი ავსტრიაში
20:00 ფრენბურთი. ოლიმპიური შესარჩევი ტურნირი
20:30 ფრენბურთი. ოლიმპიური შესარჩევი ტურნირი
22:30 ფეხბურთი. ევროგოლები
01:00 მხედრული ორთაბრძოლები. მებრძოლთა კლუბი
02:00 რალი – რეიდ დაკარი
02:45 მულტისპორტი. კვირის სტუმარი
03:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი ავსტრიაში
04:00 რალი – რეიდ დაკარი.

ЗЛЛЗЗЛЗЛ ЛЗЛЗЗЛЗЛ

08.00 Дзюдо. **09.30** Ирландские танцы. **10.00** Дзюдо. **11.00** Ирландские танцы. **12.00** Дзюдо. **13.00** Ирландские танцы. **14.00** Дзюдо. **15.00** Ирландские танцы. **16.00** Дзюдо. **17.00** Ирландские танцы. **18.00** Дзюдо. **19.00** Ирландские танцы. **20.00** Дзюдо. **21.00** Ирландские танцы. **22.00** Дзюдо. **23.00** Ирландские танцы.

სტინგი წლის ადამიანია



ტონი ბენეტი, ელვის კოსტელო, ელტონ ჯონი და დეივ მეთიუსი – ეს ის მუსიკოსები არიან, რომლებიც 6 თებერვალს, ექსკლუზიურად სტინგისთვის შეასრულებენ კომპოზიციებს. ეს მოხდება ხმის ჩამწერი ხელოვნებისა და მეცნიერების ნაციონალური აკადემიის მიერ მოწყობილ ყოველწლიურ ცერემონიალზე MusiCares-ზე, რომლის დროსაც სტინგს წლის ადამიანად აირჩევენ. გალა-საღამო ქალვერ სიტიში, სონის სტუდიაში შედგება. კონცერტზე ასევე გამოვლენ შარლ აზნავური, დაიდო, დაიანა კრალი, კეი.დი. ლენგი, ჯონ მაიერი, რუფუს ვაინრაიტი და ვაინონა. თითოეული მომღერალი "ფოლისის" ან სტინგის სიმღერას იმღერებს.

საღამოზე შეგროვებული თანხა MusiCares-ის (ითარგმნება დაახლოებით ასე: "ზრუნავს მუსიკა") ფონდში გადაირიცხება და მუსიკის ინდუსტრიაში მოღვაწე ადამიანებს დაეხმარება. უნდა ითქვას, რომ წინა წლებში მსგავს ღონისძიებებზე მილიონ დოლარზე მეტიც შეგროვებულა. MusiCares-ის წლის ადამიანის ტიტული კი სტინგამდე ბონოს, ბილი ჯოელს, პოლ საიმონს, ბონი რაიტს, ქუინსი ჯონსს, ფილ ქოლინზსა და სტივი უანდერსაც მიუღიათ.

"ყოველთვის ვცდილობთ ხოლმე, ისეთი მუსიკოსი შევარჩიოთ, რომელიც ძალიან ნიჭიერი და სახელგანთქმულია და ამავე დროს ქველმოქმედებასა და ფილანტროპიასაც ეწევა", - აცხადებს აკადემიის პრეზიდენტი ნილ პორტნოუ და დასძენს, რომ სტინგის ამ პრიზით დაჯილდოებაზე უკვე წლებია, ფიქრობდნენ.

რაც შეეხება თავად სტინგს, ისიც ბედნიერი ჩანს. მან რამდენიმე ხნის წინ არანაკლებ საპატიო ტიტული – "ბილბორდის" საუკუნის ჯილდო მიიღო, თუმცა, MusiCares-საც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს: "ეს ფონდი იმ მუსიკოსებისთვისაა, ვისაც ჩემზე ნაკლებად გაუმართლათ, ვინც ქუჩაში მოღვაწეობს, ანდა ნარკოტიკებს ვერ ანებებს თავს. ისინი რეკავენ MusiCares-ში და იქაც კითხვებით ავსებენ: "რა გჭირდებათ? ბინის თანხაა გადასახდელი? რეაბილიტაციის პროგრამის გადასახადი..." ამიტომაც ვფიქრობ, რომ ეს ფონდი დიდ საქმეს აკეთებს და ძალიან ვამაყობ, რომ წელს მე დამაჯილდოვეს".

წინა წლებში სტინგი თავის მეუღლესთან, ტრუდი სტაილერთან ერთად დიაბეტით დაავადებულ ბავშვებს, შიდსიანებს ეხმარებოდა და თანამშრომლობდა საერთაშორისო ორგანიზაციასთან Amnesty International.

ქორწილი ჭინსითა და ბეისბოლის კეპით

რეპორტიორებმა ბევრი ინანეს, მაგრამ მაინც ვერაფერი შეცვალეს – შაბათ დილას ბრიტნი სპრისი მათ გარეშე დაქორწინდა. ყოველ შემთხვევაში "ფიფლ.ქომ"-ზე დაყრდნობით, გუშინ ასე იტყობინებოდა, "ესოშიეიტიდ პრესიც" და "როიტერიც".

ამ ცნობების მიხედვით, 22 წლის პოპ-ვარსკვლავი ლას ვეგასში თავის თანატოლ და ბავშვობის მეგობარ ჯეისონ ალენ ალექსანდერზე დაქორწინდა. ისინი ჯვრის დასაწერად ლიტლ უაიტის ეკლესიაში კაზინო-სასტუმრო "პალმსიდან" მივიდნენ და მაშინ გაიგეს, რომ დაქორწინებას სპეციალური ლიცენზიის გარეშე ვერ შეძლებდნენ. შემდეგ წყვილი ლიმუზინით ქორწინების ბიუროში წავიდა, ლიცენზია მიიღო და უკან, ეკლესიაში დაბრუნდა. "ესოშიეიტიდ პრესმა" მოიპოვა ხელმოწერილი ქორწინების მოწმობის ფოტოც. როგორც ფიფლ.ქომი ირწმუნება, პატარძალს საქორწინო ცერემონიალზე ჯინსის შარვალი ეცვა და თავზე ბეისბოლის კეპი ეხურა. საკურთხეველამდე ის სასტუმროს მომსახურე პერსონალმა მიიყვანა. თუმცა, გუშინ კომენტარს ამ ამბავზე არც სპირსის აგენტები აკეთებდნენ და არც ლიტლ უაიტის წარმომადგენლები.

ალექსანდერი და სპირსი ბავშვობიდან იცნობენ ერთმანეთს. ისინი ორივენი ლუიზიანადან, კერძოდ კი, კენტვუდიდან არიან. ბრიტნიმ მშობლიური ქალაქი და ბავშვობის მეგობარი თინეიჯერობის ასაკში მიატოვა, მაშინ, როდესაც თავისი სადებიუტო ალბომით Baby One More Time სახელი მთელ მსოფლიოში გაითქვა. მას შემდეგ ბრიტნის სახელს ბევრი ცნობილი მამაკაცის გვერდით მოიხსენებდნენ. სულ ბოლოს ლუიზიანელმა გოგონამ მაყურებელს თავი, მადონასთან მხურვალე ამბორითა და ჰოლივუდის ბულვარზე საკუთარი ვარსკვლავის ჩადგმით შეახსენა.

მისი მეოთხე ალბომი In The Zone ნოემბერში გამოვიდა და ალბომების ჩარტებისკენაც იოლად გაიკვალა გზა. თუ ქორწინებამ არ შეუშალა ხელი, სპირსის საკონცერტო ტურნე 2 მარტს, სან დიეგოში უნდა დაიწყოს.

სკანვორდი

გერმანელი ჩოგბურთელი

კუბელების გამუშრობული ნანილი სიმღერაში

ქალაქი ჩინეთში

ე. ვოინიჩის რომანი

ჩინელი მეცნიერი ქალი

მერეთის კოშკი

სავაჭრო და ღამის გასართობი ადგილი

თეატრის ქართველი რეჟისორი

უმაღლესი სამხედრო ან სამოქალაქო წოდება ჩვენ ოსმალეთში

ოფიცრის წოდება რუსულ კავალერიაში

"1001 ღამის" პერსონაჟი

ნამოდგანის მშობლიური გამოსახულება

პროფესიონალი მომღერალი და მოცეკვავე ქალი იაპონიაში

არქტიკის ნორვეგიელი მკვლევარი

ურანგი სავსტრალიელი მომღერალი ქალი

ბრძა ნანლავის ქალი დანამატის ანთება

ფილმი ს. ბალაშოვილის მონანიება

მტაცებელი ფრინველი

ჯანდაცვის დარგი

ქართველი კინორეჟისორი

რასინის ტრაგედია

საშეცდილო ცეკვა

სცენის მხატვრული გაფორმება

ფიდი სახაზავი

იტალიელი კინომსახიობი ქალი

მუსიკალურ-დრამატული ნანარმოები

კურორტი ყირიმში

ქალაქი ინდოეთში

სამხედრო შენაერთი ძველ რომში

ა. პუშკინის ნანარმოების გმირი

"მილანის" მცველი

ქალაქი ოჰაიოს შტატში

N1-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხი: პრომპვნე; ტროპიკი; პრესტო; იპოდრომი; კონტრაბასი; ოკამი; ისლამაბადი; გრამოფონი; რაბი; ფაღკი; კოკაინი; ბარდო; ბანდერასი; აბაზი; ეკერტონი; ძილა; მარფონე; მორაბანი; ტანკი; ერთაოზი; დილემა; ევანდასტა; ბორჯომი; კალევალა; არტალა; დირექტივა; მელანომა; ღასკერი; ნიკა; მონე; მანჯგალა

ქმარიც ასეთი უნდა!

პოპ-ვარსკვლავი შანია ტვეინი დიდ წარმატებას თავის მეუღლეს, მატ ლანჯს უმადლის. ყოველ შემთხვევაში, თავად კანადელი მომღერალი სწორედ ამ აზრისაა. "მატმა შემქმნა, სწორედ მისი წყალობით ვარ ასეთი," მოახსენა 38 წლის შანიამ ჟურნალ TV Movie-ს კორესპონდენტს.

მასზე ოცი წლით უფროსი სამხრეთაფრიკელი ლანჯი ჯერ კიდევ ბრაიან ადამსს "ქაჩავდა". ტვენთან ერთად მან კომპაქტ-დისკი Come On Over შექმნა, რომელიც ყველა დროის ყველაზე წარმატებული ქანთრი-პოპ-ალბომი გახლავთ.

შანია ტვეინი

შანიამ და მატმა ერთმანეთი 90-იანი წლების დასაწყისში, კონცერტზე გაიცნეს, შემდეგ კი პარიზში საქორწილო კონტრაქტს მოაწერეს ხელი. მას აქეთია, მატი შანიასთვის სიმღერებს ქმნის. მათ ვაჟი ჰყავთ, ჟენევის ტბასთან ცხოვრობენ და ახალ სამშობლოში, შვეიცარიაში, ჩინებულად გრძნობენ თავს. "აქაური ხალხი ძალიან დელიკატურია, და მეც ჩემი პირადი ცხოვრებით ვტკბები," ამბობს შანია.

კამბოჯელი გლეხების დასახმარებლად

გლეხების ქომაგი ანჯელინა ჯოლი

ანჯელინა ჯოლი საქველმოქმედო პროგრამაში ჩაერთო, რომლის წყალობითაც კამბოჯელ გლეხებს გარეული ცხოველების ხოცვა და დაჭერა აღარ მოუწევთ. კამბოჯის განვითარების პროგრამის ხელმძღვანელმა თქვა, რომ 300 ოჯახს ძროხები ეყოლება და ამ ძროხების მიერ გაჩენილი პირველი ხბოც მათ დარჩებათ. დანარჩენ ხბოებს ისინი სხვა ოჯახებს გადასცემენ და ასე აშენდება კამბოჯა.

ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთში პროექტის განხორციელებისთვის ჯოლიმ 1,5 მილიონი ამერიკული დოლარი გადარიცხა. საქმე ის გახლავთ, რომ ვარსკვლავს კამბოჯაში საკუთარი სახლი აქვს. "სამარხების მძარცველების" გადაღებების შემდეგ მშვენიერი ანჯელინა კამბოჯაში "ტოტალურად შეყვარებულია".

განცხადება

შპს "ფორტუნა 2003" აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულ პირებს, გთხოვთ მოგვმართოთ 10 დღის განმავლობაში მისამართზე: თბილისი, ლილოს დასახლება, კახეთის გზატკეცილი.

ტელ: 94-25-74 დავით კვიტაიშვილი.
საქ. კანონი "მეწარმეთა" შესახებ 14.2

რობორ გადარჩა ტომი



ტომ კრუზი

დღეს, ბერლინში, პოტსდამის მოედანზე განლაგებულ სონის ცენტრში, ტომ კრუზის ახალი ფილმის, „უკანასკნელი სამურაის" ევროპული პრემიერა იმართება. ამ ისტორიულ სათავგადასავლო ფილმში კრუზი ამერიკის სამოქალაქო ომის ვეტერანს თამაშობს.

ახალ ზელანდიაში, „უკანასკნელი სამურაის" გადაღების დროს, კრუზი სიკვდილს ბეწვზე გადაურჩა. მსახიობმა ჟურნალ TV Movie-ს უამბო, რომ მექანიკური ცხენის დეფექტურობის გამო მას ბრძოლის დროს კინაღამ თავი წააცალეს. გადარჩენას ის იაპონელ მოფარიკავეს, ჰიროიუკი სანადას უმადლის. „მან მოახერხა და ხმალი ჩემს კისერთან ორ სანტიმეტრში გააჩერა," თქვა მსახიობმა.

გასუქებული ლამაზმანი

შარლის თერონი გასუქებამდე

ახალი ფილმისთვის "მონსტრი" ყოფილმა მოდელმა, შარლიზ თერონმა ცამეტი კილოგრამი მოიმატა. "უამრავ მიწის თხილს ვჭამდი და ყველაფერს გეახლებოდით, რასაც ნაღები ან ყველი ჰქონდა მოსხმული," მოჰყვა 28 წლის შარლიზი ამერიკულ ჟურნალ "ჯეინისთვის" მიცემულ ინტერვიუში. "გარდა ამისა, საღამოობით ვჭამდი და საერთოდ არ ვინძრეოდი".

ასეთმა თავდადებამ სასურველი შედეგი გამოიღო: "მონსტრი" და მასში გადაღებული ფერ-ხორციანი ქალბატონი კრიტიკოსებმა ერთხმად მოიწონეს.

თერონი ფილმში მეძავს თამაშობს, რომელიც სერიული მკვლელი ხდება. მისი გმირი რეალური პიროვნებაა, ვინმე ეილინ ვორნოსი, რომელიც 2002 წლის ოქტომბერში, ფლორიდაში გაასამართლეს. მსახიობმა აღიარა, რომ თავდაპირველად ამ როლზე უარის თქმას აპირებდა, ვინაიდან ის მისგან მეტისმეტად დიდ ძალისხმევას მოითხოვდა – არც გასუქებაა იოლი საქმე! "თან მეშინოდა, რომ ეს ჩემს კარიერას ავნებდა, მე ხომ კიდევ ათიოდე წელი ვაპირებდი მოდელის გარეგნობის ქალების როლის შესრულებას. ახლა კი მშვიდად ვარ. მსუქანი ვარ, მაგრამ მაინც არ გამოვიყურები ურიგოდ".

წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.